

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე  
2009, №1

## ადმინისტრაციული

## წარმოების

## საკითხები

1. ქმედების განხორციელების დავალება
2. დისკრეციული უფლებამოსილება
  - დისკრეციული უფლებამოსილება
  - დისკრეციული უფლებამოსილების გადამეტება
3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა
  - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა
  - აქტის ბათილად ცნობის შეზღუდვა
  - ახალი აქტის გამოცემის დავალება
  - მხარის კანონიერი ნდობა
4. აქტის არარად აღიარება
5. ადმინისტრაციული წარმოება
  - ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციულ წარმოებისათვის დადგენილ მოთხოვნათა დარღვევა
  - ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების წესი

# 1. ქმედების განხორციელების დავალეზა

## განჩინება

#ბს-574-552-(კ-08)

30 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალეზა

### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 10 აგვისტოს ი. ბ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს მიმართ, ქმედების განხორციელების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 2007 წლის 4 ივლისს განცხადებით მიმართა მოპასუხე შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს, თბილისში, ... ქ. #10-ში მდებარე #29 ბინიდან ყოფილი მესაკუთრის, ზ. კ-ძისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლების თაობაზე. ხსენებული ბინის 48/2238, რაც ზ. კ-ძის საკუთრებას წარმოადგენდა, მან შეიძინა აუქციონის წესით და სასამართლოს აღმასრულებლის განკარგულების საფუძველზე, საკუთრების უფლებით, აღრიცხა საჯარო რეესტრში. მოსარჩელის განმარტებით, მის განცხადებას ერთვოდა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და აღმასრულებლის განკარგულება.

2007 წლის 6 აგვისტოს მოსარჩელეს დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს უფროსის #27/11/6-3-ბ/56 წერილით ეცნობა, რომ მისი განცხადების საფუძველზე განსახორციელებელი გამოსახლების ღონისძიებები შს მინისტრის 2007 წლის 24 მაისის #747 ბრძანების საფუძველზე შეჩერდა, ვინაიდან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ა. და ლ. კ-ძეები წარმოდგენდნენ სადავო ბინის მართლზომიერ მფლობელებს.

მოსარჩელის მოსაზრებით, მოპასუხის ქმედება გამოსახლების ღონისძიებების შეჩერების შესახებ უკანონოა, ვინაიდან შს მინისტრის 2007 წლის 24 მაისის ბრძანების მე-7 მუხლით განსაზღვრულია საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების შეჩერების წინაპირობები, რომლებიც არ ითვალისწინებს იმ საფუძველს, რაც 2007 წლის 6 აგვისტოს წერილს დაედო საფუძველად.

მოსარჩელის მითითებით, ასევე, არასწორია მოპასუხის შეფასება, რომ ა. და ლ. კ-ძეები სადავო ბინის მართლზომიერ მფლობელებს წარმოადგენენ, რადგან ისინი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით ცნობილ იქნენ მესაკუთრეებად და არა მფლობელებად, რაც განსხვავებული ცნებებია. კ-ძეები სადავო ფართის მესაკუთრეებად საჯარო რეესტრში აღრიცხულნი არასდროს ყოფილან და აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ფართის მესაკუთრე იყო მხოლოდ ზ. კ-ძე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მათ მიერ გამოსახლების პროცესში მოპასუხისათვის არ ყოფილა წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერი საკუთრების უფლების შესახებ, რითაც დადასტურდებოდა მათი საკუთრების უფლება, ხოლო ისინი ფართზე მესაკუთრეებად იყვნენ ცნობილნი და არა მართლზომიერ მფლობელებად, შესაბამისად, უკანონოა მოპასუხის ქმედება კ-ძეების ბინიდან გამოსახლების პროცედურების შეჩერების შესახებ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე და 33-ე მუხლების თანახმად, მოპასუხეს დავალეზოდა მის საკუთრებაში არსებული სადავო ბინის ხელყოფის ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების გატარება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 აგვისტოს განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ ა. და ლ. კ-ძეები.

მოპასუხის წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სარჩელი არ ცნეს არც მესამე პირებმა და მოითხოვეს მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ი. ბ-შვილის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 21 მარტის

გადაწყვეტილებით ლ. და ა. კ-ძეები ცნობილ იქნენ თბილისში, ... ქ. #10-ში მდებარე #29 ბინის 1/3-1/3-ის მესაკუთრეებად.

ზემოხსენებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში არ გასაჩივრებულა და იგი გასაჩივრდა სააპელაციო წესით მხოლოდ შეგებულ სარჩელზე უარის თქმის ნაწილში, რომელიც გაუქმდა და თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილებითაც სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გაუქმდა იმ ნაწილში, რაზეც მან ახალი გადაწყვეტილება მიიღო და კვლავ ახალი გადაწყვეტილება იქნა ამ ნაწილში გამოტანილი, ხოლო დანარჩენ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სასამართლოს გადაწყვეტილება ა. და ლ. კ-ძეებისათვის სადავო ბინაზე საკუთრების უფლების მინიჭების შესახებ კანონიერ ძალაში შევიდა მაშინვე, როგორც კი სააპელაციო წესით მოხდა გადაწყვეტილების მხოლოდ სხვა ნაწილის გასაჩივრება და გავიდა სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა. შესაბამისად, ითვლება, რომ ამ საკითხზე არსებობს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც ადგენს, რომ მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

ამავე მუხლის მესამე ნაწილი კი ადგენს, რომ თუ ხდება უძრავ ნივთზე საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოსაგან, კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გზით, გარდა სავარაუდო ხელყოფის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევისა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის #747 ბრძანებით დამტკიცდა «საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესი». აღნიშნული წესის მე-2 მუხლის «ბ» ქვეპუნქტი ადგენს მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ცნებას - ასეთად მიიჩნევა: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს ნივთზე აღნაგობის, უზურფრუქტის, სერვიტუტის, იპოთეკის (მხოლოდ ბინაში ცხოვრების უფლებით), იჯარის, ქირავნობის, ან თხოვების უფლებას, საჯარო რეესტრში არარეესტრირებული ქირავნობის ან თხოვების ხელშეკრულება, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს (კერძო აბიტრაჟის) გადაწყვეტილება ან საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონით გათვალისწინებული დოკუმენტი, ლტოლვილის, ან იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმობა, ან ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა ლტოლვილის ან დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილის შესახებ, ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის უფლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი.

სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში არსებობს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის #747 ბრძანებით დამტკიცებული «საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესი» მე-2 მუხლის «ბ» ქვეპუნქტით დადგენილი დოკუმენტი, რაც გულისხმობს, რომ ბ-შვილსა და კ-ძეებს შორის არსებობს გარკვეული უფლებრივი დავა, რომელზე მსჯელობაც სცილდება ადმინისტრაციული ორგანოს - შს სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებს. სასამართლომ ჩათვალა, რომ შს მინისტრის 2007 წლის 24 მაისის #747 ბრძანებით დამტკიცებული «საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესი» მოცემულ შემთხვევებზე არ ვრცელდება და შს სამმართველოს არ აძლევს უფლებას, ფაქტობრივად შეიჭრას სამოქალაქო სასამართლოს კომპეტენციაში და სამოქალაქო უფლებათა შეფასების შედეგად უფლებრივი დავა გადაწყვიტოს. ამდენად, ამ წესით ა. და ლ. კ-ძეების გამოსახლების პროცედურების წარმოება დაუშვებელია, რის გამოც ი. ბ-შვილს უარი უნდა ეთქვას მოპასუხისათვის შს მინისტრის 2007 წლის 24 მაისის #747 ბრძანებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით ა. და ლ. კ-ძეების გამოსახლების პროცედურების განხორციელების დავალებაზე.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა ი. ბ-შვილმა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით ი. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. ბ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის

სამმართველოს დავალა აღკვეთოს ი. ბ-შვილის საკუთრებაში არსებული ბინის (მდებარე, ქ. თბილისში, ... ქ. #10-ში, ბინა #29, წილობრივი მონაცემით 48/2238) ხელყოფა და სხვაგვარი ხელშეშლა, შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის #747 ბრძანების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის #747 ბრძანებით დამტკიცებული «საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის» მე-2 მუხლის «ბ» ქვეპუნქტით დადგენილი დოკუმენტი, რაც გულისხმობდა, რომ ბ-შვილსა და კ-ძეებს შორის არსებობდა გარკვეული უფლებრივი დავა, რომელზე მსჯელობაც სცილდებოდა ადმინისტრაციული ორგანოს - შს სამმართველოს კომპეტენციის სფეროს, ვინაიდან საქმის მასალებით დგინდება, რომ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით ლ. და ა. კ-ძეები ცნობილ იქნენ ქ. თბილისში, ... ქ. #10-ში მდებარე #29 ბინის 1/3-1/3 წილების მესაკუთრებად. აღნიშნულ ნაწილში ხსენებული გადაწყვეტილება არავის გაუსაჩივრებია, რის გამოც იგი იმავე წელს შევიდა კანონიერ ძალაში.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ლ. და ა. კ-ძეებმა თავიანთი წილები არ აღრიცხეს საჯარო რეესტრში, თუმცა მათ ამის შესაძლებლობა (თუნდაც სააღსრულებო ფურცლის გამოწერისა და სასამართლო გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების მოთხოვნის გზით) ჰქონდათ 2002 წლიდან.

საქმის მასალებით ასევე დგინდება, რომ 2006 წლის 10 აგვისტოს განმეორებით საჯარო აუქციონის ჩატარების შემდეგ, სადავო ბინის მესაკუთრე გახდა ი. ბ-შვილი.

ამრიგად, ის ბინა, რომელიც საკუთრებაში გააჩნდა ზ. კ-ძეს და რომლის 1/3-1/3-ის მესაკუთრეები 2002 წლიდან შეიძლება გამხდარიყვნენ მისი ოჯახის წევრები ლ. და ა. კ-ძეები, 2006 წლის 11 აგვისტოს #01/17-472 სააღსრულებო განკარგულების საფუძველზე საკუთრებაში გადაეცა ი. ბ-შვილს.

სასამართლო აღმასრულებლის ზემოაღნიშნული განკარგულების საფუძველზე ი. ბ-შვილი გახდა ქ. თბილისში, ... ქ. #10-ში მდებარე #29 ბინის მესაკუთრე.

საქმის მასალებით და მხარეთა განმარტებებით, ასევე, დგინდება, რომ არც აუქციონის შედეგები და არც საჯარო რეესტრის ჩანაწერი კ-ძეების მიერ არ ყოფილა გასაჩივრებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეს - შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს არ ჰქონდა არანაირი სამართლებრივი საფუძველი, არ დაეკმაყოფილებინა ი. ბ-შვილის მოთხოვნა და არ გამოეხსნა მის საკუთრებაში არსებული ბინიდან მოქ. ზ. კ-ძე და მისი ოჯახის წევრები. ცხადია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილება #ას-1446-370-05 არ უნდა დასდებოდა საფუძველად იმ მოსაზრებას, რომ ლ. და ა. კ-ძეები წარმოადგენდნენ ხსენებული ბინის მართლზომიერ მფლობელებს, რადგან, როგორც აღინიშნა, მითითებული სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ ხსენებული ბინა გასხვისდა აუქციონზე და მისი შემძენი გახდა ი. ბ-შვილი. ამ უკანასკნელის უფლებრივი სტატუსი კი სადავოდ არავის გაუხდია.

ამრიგად, შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს 2007 წლის 6 აგვისტოს წერილი, რომლითაც ი. ბ-შვილს ეცნობა, რომ შეჩერებულ იქნა მისი ბინიდან კ-ძეების ოჯახის გამოსახლების ღონისძიებები, უკანონო იყო.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ა. და ლ. კ-ძეებმა.

კასატორები საკასაციო საჩივარში მიუთითებდნენ, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა «შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის #747 ბრძანებით დამტკიცებული «საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ხსენებული წესის მე-2 მუხლის «ბ» ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტია - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს უძრავ ნივთზე აღნაგობის, უზურფრუქტის, სერვიტუტის, იპოთეკის (მხოლოდ მასში ცხოვრების უფლებით), იჯარის ქირავნობის ან თხოვების უფლებას, საჯარო რეესტრში არარეგისტრირებული ქირავნობის, ან თხოვების ხელშეკრულება, კანონიერ ძალაში შესული (კერძო არბიტრაჟის) გადაწყვეტილება ან «საცხოვრებელი სადგომის სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ» კანონით გათვალისწინებული დოკუმენტი, ლტოლვილის, ან იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმობა, ან ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა ლტოლვილის ან დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილის შესახებ (მხოლოდ ლტოლვილთა ან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებისათვის), ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის თანახმად, ა. და ლ. კ-ძეებს ადმინისტრაციულ ორგანოში არ წარუდგენიათ ზემოაღნიშნულ მუხლში ჩამოთვლილი დოკუმენტებიდან არც ერთი, ხოლო მათ მიერ წარდგენილი 2005 წლის 7 სექტემბრის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება კი არ წარმოადგენს მართლზომიერი ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

კასატორის განმარტებით, აღნიშნული მსჯელობა არამართლზომიერია, ვინაიდან შსს მინისტრის #747 ბრძანების მე-2 მუხლის «ბ» პუნქტი განსაზღვრავს იმ დოკუმენტების ჩამონათვალს, რომელიც ამ წესისათვის წარმოადგენს მართლზომიერი ფლობის ან/და სარგებლობის დოკუმენტს და ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტი კი ძალაში შესული გადაწყვეტილებაა. აღნიშნული დოკუმენტი შეიძლება არ

წარმოდგენდეს სამოქალაქო კოდექსის დებულებებით განსაზღვრულ მართლზომიერი მფლობელობის (ფართო სამოქალაქო ინტერპრეტაციით) დამადასტურებელს, მაგრამ ისინი ამ წესისთვის ითვლებიან მართლზომიერ მფლობელებად, რაც თავისთავად გამორიცხავს სამართალდამცავი ორგანოების ჩარევას გამოსახლების პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვდნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისთვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. და ა. კ-ძეების საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია მატერიალური და საპროცესო ნორმების მართებული გამოყენებისა და განმარტების საფუძველზე, რის გამოც არ არსებობს მისი გაუქმების პროცესუალური წინამძღვრები.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით კასატორები - ლ. და ა. კ-ძეები ცნობილ იქნენ ქ. თბილისში, ... ქ.10-ში მდებარე #29 ბინის 1/3-1/3-ის მესაკუთრეებად. მითითებულ ნაწილში გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და შევიდა კანონიერ ძალაში.

დადგენილია, რომ ლ. და ა. კ-ძეებმა თავიანთი წილები არ აღიცხეს საჯარო რეესტრში და სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა აღუსრულებელი.

2006 წლის 10 აგვისტოს განმეორებითი საჯარო აუქციონის ჩატარების შემდგომ, სადავო ბინის მესაკუთრე გახდა პროცესუალური მოწინააღმდეგე - ი. ბ-შვილი, რომელზეც ქ. თბილისში, ... ქ. 10-ში მდებარე #29 ბინა, აღმასრულებლის განკარგულებით აღირიცხა, საჯარო რეესტრში.

აუქციონის შედეგები და საჯარო რეესტრის ჩანაწერი ლ. და ა. კ-ძეებს სადავო არ გაუხდიათ.

წინამდებარე დავის არსებითად სწორად გადაწყვეტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოების დადგენა-გამოკვლევას, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება არის თუ არა კასატორების მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი საკმარისი საფუძველი და მითითებული გადაწყვეტილების არსებობის პირობებში, შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველო იყო თუ არა უფლებამოსილი, განეხორციელებინა ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებები.

შს მინისტრის 2007 წლის 24 მაისის #747 ბრძანებით დამტკიცებული «საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესების» მე-8 მუხლის შესაბამისად, საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს, აღკვეთის ღონისძიების დასრულებამდე უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა.

გალსახაა, რომ წინამდებარე აქტის საფუძველზე სამართლებრივი დაცვის მექანიზმი მოქმედებს მხოლოდ მართლზომიერი მფლობელის და/ან მოსარგებლის მიმართ.

იმავე ბრძანების მეორე მუხლის «ბ» ქვეპუნქტში მართლზომიერი მფლობელობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელ ერთ-ერთ დოკუმენტად მიიჩნევა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება. გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ ამ დოკუმენტს, საკასაციო სასამართლო არ მსჯელობს იმავე მუხლით განსაზღვრულ სხვა საფუძველებზე.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შეფასებამდე, საკასაციო სასამართლო ასევე საჭიროდ მიიჩნევს იმსჯელოს თავად მფლობელობის სამართლებრივ არსზე.

მფლობელობა მიეკუთვნება სანივთო სამართლით განსაზღვრულ უფლებებს, რომლის რეგულაციებიც მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 155-162-ე მუხლებში. სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით. ქონებაზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელება მფლობელობის კონსტიტუციური ელემენტია, თუმცა მფლობელობის დაცვა შესაძლებელია მოხდეს იქ, სადაც საკუთრების ვარაუდია და არა იქ, სადაც ასეთი ვარაუდი არ არსებობს. მხოლოდ ნივთის ფაქტობრივი ფლობა არ იძლევა საკმარის საფუძველს, მფლობელი მიჩნეულ იქნეს მართლზომიერ მფლობელად. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, მართლ-ზომიერ მფლობელად ითვლება ყველა ის პირი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე ახორციელებს ნივთის მიმართ ფაქტობრივ ბატონობას. შესაბამისად, მართლზომიერი მფლობელობა ნაწარმოები უნდა იყოს მესაკუთრის მფლობელობით.

სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან გამიჯნავს მფლობელობისა და საკუთრების უფლებას. მფლობელი შეიძლება იყოს როგორც მესაკუთრე, ისე, არამესაკუთრე, მაგრამ როგორც აღინიშნა,

სავალდებულოა, მფლობელობა მომდინარეობდეს მესაკუთრისაგან, ანუ მფლობელის უკან იდგეს მესაკუთრის ნება.

მართლზომიერი მფლობელობის, როგორც სამართლებრივი ცნების ანალიზი, საკასაციო სასამართლოს არ აძლევს საფუძველს გაიზიაროს კასატორის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. და ა. კ-მეები ცნობილ იქნენ ქ. თბილისში, ... ქ. 10-ში მდებარე #29 ბინის 1/3-1/3-ის მესაკუთრედ, ქმნის სადავო ბინაზე ამ პირთა მართლზომიერი მფლობელობის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო ცალსახად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე კასატორებს სადავო ბინაზე წარმოეშვათ წილობრივი საკუთრების უფლება. მაგრამ აქვე მიუთითებს, მართლოდენ უფლების აღიარება არ წარმოადგენს საკუთრების წარმოშობის საკმარის საფუძველს. საჭიროა მითითებული უფლების რეალიზება კანონით დადგენილი წესით, რაც კასატორებს არ მოუხდენიათ.

დავის განხილვის პერიოდისათვის ბინის მესაკუთრეს წარმოადგენს ი. ბ-შვილი, რომლის საკუთრების უფლებაც კასატორებს ასევე სადაოდ არ უქცევიათ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, მართლოდენ ის გარემოება, რომ სადავო ბინის ფაქტობრივ მფლობელებს წარმოადგენენ კასატორები, არ ქმნის საკმარის საფუძველს, რათა ეს პირები მიჩნეულ იქნენ მართლზომიერ მფლობელებად, კასატორები თავად ბინის მესაკუთრეს არ წარმოადგენენ, ხოლო ფაქტობრივი მფლობელობა მოპოვებული აქვთ მესაკუთრის ნების გარეშე.

ზემოაღნიშნული გარემოებები საკასაციო სასამართლოს აძლევს უფლებამოსილებას, დაასკვნას შემდეგი: მიუხედავად სასამართლო გადაწყვეტილების არსებობისა, კასატორებს საკუთრების უფლება ბინაზე არ მოუპოვებიათ, რაც გამორიცხავს ამ შემთხვევაში მფლობელობაში მესაკუთრის ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო გარკვეულწილად იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ გამოსასახლებელი პირის მხრიდან ფორმალური საფუძვლის, ამ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების წარდგენა შესაძლოა იქცეს გამოსახლების შეწყვეტის საკმარის საფუძვლად, მაგრამ აქვე ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, იხელმძღვანელოს შს მინისტრის 2007 წლის 24 მაისის #747 ბრძანებით დამტკიცებული წესების 8.1 მუხლით და არა იმავე წესების მე-7 მუხლით. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩელი დაყენებულია ქმედების განხორციელების მოთხოვნით, დავა ექცევა სასამართლო კონტროლ ქვეშ, რაც გამორიცხავს პროცესში მონაწილე პირთა კანონიერი უფლებების შელახვის ფაქტს და არ იძლევა დავის განმეორებით, ანუ გამოსახლების მოთხოვნით სასამართლოში წარმართვის აუცილებლობას.

რაც შეეხება სარჩელის დაუშვებლობის საკითხს, საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას აღნიშნულის თაობაზე და თვლის, რომ სარჩელი მართებულადაა დაყენებული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე.

შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს 2007 წლის 6 აგვისტოს #27/11/6-3-ბ/56 წერილით ი. ბ-შვილს უარი ეთქვა ქმედების განხორციელებაზე. ამდენად წინამდებარე შემთხვევაში სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობა. ამასთან, საგულისხმოა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მიმართულია არა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არამედ ფაქტობრივი შედეგის დადგომისაკენ. ღონისძიება, რომლის განხორციელებასაც პირი ითხოვს, მიმართულია იქითკენ, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ იმოქმედოს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, მიმართულია კონკრეტული ფაქტობრივი მიზნის მიღწევისაკენ.

გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ უარი განაცხადა იმოქმედოს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, აღნიშნული დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას სარჩელი აღძრას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე ანუ მოითხოვოს ისეთი ქმედების (გამოსახლების) განხორციელება, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. რაც შეეხება კანონიერი ინტერესის არსებობის საკითხს, საკუთრებითი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, აღნიშნული, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I მუხლის II ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. და მ. კ-ძეების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**2. დისკრეციული უფლებამოსილება**

**დისკრეციული უფლებამოსილება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-861-823(კ-07) 6 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ჩინჩალაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**სარჩელის საგანი:** ქმედებების განხორციელების დავალება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2005 წლის 21 ოქტომბერს ვ. ბ-შვილმა, შ. ნ-ძემ, გ. ბ-ძემ, მ. ჯ-იამ, ფ. ა-ელმა, მ. კ-შვილმა, ნ. ტ-შვილმა, ე. ტ-ძემ, დ. კ-ვამ, ზ. ბ-ძემ, ი. ი-ვამ, ლ. ბ-ძემ, მ. გ-ურმა, ო. ე-ძემ და გ. წ-ელმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე საქართველოს მთავრობის მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად, საქართველოში მოქმედი სამართალი იყო ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი მონაწილე ქვეყნებს (მათ შორის, საქართველოსაც) ავალდებულებდა, გამოეყვინათ, აღერიცხათ უბინაო და ბინით ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახები და მიეღოთ საკანონმდებლო ზომები საცხოვრისზე უფლებების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფოს მიერ უბინაოთათვის და ბინით ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებისათვის ქონების გადაცემა კანონიერი იყო იმ შემთხვევაშიც, თუ მათ არ გააჩნდათ ამ ქონებაში გადასახდელი ფული. მოსარჩელებს ბინის ასაშენებელი თანხა გადახდილი ჰქონდათ მთლიანად და კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული ოჯახების მიმართ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 9 ოქტომბრის #983 დადგენილებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება «სახელმწიფო ვალის შესახებ» კანონით აღიარებული იყო სახელმწიფო სამინაო ვალად, რომლის დასაფარავად საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ოქტომბრის #592 ბრძანებულება, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 2001 წლის 27 დეკემბრის #1-3/915 ბრძანება და «საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლი ითვალისწინებდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთების კომპენსაციის სახით გადაცემას ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებზე. ქ. თბილისის მერიის შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 2001 წლის 14 ივნისის #89 დადგენილების შესაბამისად, 2002 წლის 30 იანვარს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიზნობრივად გადაეცა ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე საკონსტრუქტორო ბიუროს დაუმთავრებელი კარკასული შენობა კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული აკადემიის თანამშრომლებზე გასანაწილებლად, მათ მიმართ სახელმწიფო ვალის დაფარვის მიზნით, რომლის გასაყიდი ფასი განისაზღვრა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს 2003 წლის 23 ოქტომბრის #01/01-01/224 ბრძანებით. 2004 წლის 4 თებერვალს ფინანსთა და ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრების მიერ ვიზირებული საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების პროექტი კანონით გათვალისწინებულ თანდართულ მასალებთან ერთად, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ გადაუგზავნა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიას, რომელიც შესაბამის კომისიაში განხილვის შემდეგ უნდა წარედგინათ საქართველოს პრეზიდენტისთვის დასამტკიცებლად, მაგრამ საქართველოს მთავრობაში განხორციელებული

სტრუქტურული ცვლილებების გამო, შესაბამისი დოკუმენტაციის პაკეტი 2004 წლის 27 აპრილს გადაეგზავნა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს #232/8 წერილით, რომლითაც პრემიერ-მინისტრმა ეკონომიკის მინისტრს სთხოვა ხსენებული საკითხის საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარდგენა.

მოსარჩელეთა მტკიცებით, პრემიერ-მინისტრმა 2004 წლის 14 ივლისს კონტროლზე აყვანილი #256/28 წერილით ხელმეორედ მიმართა ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა მინისტრებს იმის თაობაზე, რომ დაეჭვებინათ საკითხის წარდგენა მთავრობის სხდომაზე. აღნიშნულის შემდეგ, მთავრობის კანცელარიიდან არა ერთხელ გაიგზავნა წერილები იმავე მოთხოვნით ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, რომელიც აცხადებდა, რომ მთავრობის სხდომაზე შესაბამისი მასალები წარდგენილი იქნებოდა ახლო მომავალში, მაგრამ ზემოხსენებული კარკასული შენობის კოოპერატიულ ბინათმშენებლებზე გადაცემის საკითხი გაურკვეველი მიზეზით კვლავ ფერხდებოდა იმავე სამინისტროს მიერ. ფინანსთა სამინისტრომ და მეცნიერებათა აკადემიამაც მიმართეს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აღნიშნულ საკითხზე რეაგირების დაჩქარების თხოვნით, თუმცა უშედეგოდ. მოსარჩელეთა განცხადების საფუძველზე, 2005 წლის მარტში ხსენებული საკითხი განიხილეს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტებში, რომლებმაც პრემიერ-მინისტრსა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართეს თხოვნით შეესრულებინათ «საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონის მე-9 მუხლი და პრემიერ-მინისტრის 2004 წლის 14 ივლისის #256/28 დავალება ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე კარკასული შენობის კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებზე გადაცემის თაობაზე, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. მოსარჩელეთა განმარტებით, ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროები ზემოაღნიშნული საკითხის განხილვის გაჭიანურების მიზეზად მიუთითებდნენ «სახელმწიფო სამინაო ვალის შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ» მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის #10-8 დადგენილებაზე, მაშინ, როდესაც ხსენებული დადგენილება ყოფილი კოოპერატივების დაზარალებული წევრებისათვის კომპენსაციის გაცემის შეწყვეტას არ ითვალისწინებდა, ხოლო «საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონი და პრეზიდენტის 1999 წლის 12 ოქტომბრის #592 ბრძანებულება ითვალისწინებდა კოოპერატივის წევრებზე ბინის სანაცვლოდ ფულადი ან ქონებრივი კომპენსაციის გაცემას. გარდა ამისა, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უმიზეზოდ გააჭიანურა შესაბამისი კანონის მოთხოვნისა და პრემიერ-მინისტრის 2004 წლის 21 აპრილის #232/8 და 2004 წლის 14 ივლისის #256/28 წერილობითი დავალებების შესრულება ქ. თბილისში, ... ქუჩაზე მდებარე კარკასული შენობის კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ წევრებზე კომპენსაციის სახით გადაცემის შესახებ, რითაც დაირღვა კანონი და შეილახა მოსარჩელეთა უფლებები. მოსარჩელეთა განცხადების საფუძველზე, პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხის შესწავლა დაავალა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს, რომელმაც შესაბამისი მასალების სათანადოდ შესწავლის შემდეგ გააკეთა დასკვნა იმის თაობაზე, რომ ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე კარკასული შენობისა და მასზე დამაგრებული მიწის ფართობის პირდაპირი მიყიდვის ფორმით კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში დაზარალებულ მეცნიერ-თანამშრომელთათვის გადაცემის პროცესის გაჭიანურება წარმოადგენდა კანონის მოთხოვნათა და აღნიშნულ პირთა უფლებების დარღვევას.

მოსარჩელეთა განმარტებით, მათ მთავრობის სახელზე წარადგინეს ადმინისტრაციული საჩივარი, რაც გახდა ზემოაღნიშნული საკითხის მთავრობის 2005 წლის 6 ივლისის სხდომაზე განხილვის საფუძველი. მთავრობის ხსენებული სხდომის საოქმო ჩანაწერის მიხედვით, ინფორმაცია მიღებულ იქნა რა ცნობად, ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებს დევალათ მთავრობის მომდევნო სხდომაზე წარედგინათ პროექტი იმავე საკითხის მოგვარების თაობაზე. მიუხედავად ამ დავალებისა, აღნიშნულ სამინისტროებს შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტი მთავრობისთვის არ წარუდგენიათ, რითაც პირდაპირი და უშუალო ზიანი მიადგა მოსარჩელეთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტიც ადასტურებდა, რომ ხსენებული საკითხის გაჭიანურებით ირღვეოდა კანონი და ითხოვა პრემიერ-მინისტრის შესაბამისი დავალების შესრულება. ასევე არ შესრულდა პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის #1879-რს დადგენილება, რომლის თანახმად, მთავრობას დავალებული ჰქონდა «საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა საფუძველზე, დროულად მოემზადებინა და პრეზიდენტისთვის დასამტკიცებლად წარედგინა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო საპრივატიზებო ქონების გადაცემის შესახებ კონკრეტული პროექტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეებმა მოითხოვეს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის #1879-რს დადგენილებისა და მთავრობის 2005 წლის 6 ივლისის სხდომის #30 ოქმის შესრულების მიზნით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» კანონის, მთავრობის 2004 წლის 10 ივლისის #57 დადგენილებით დამტკიცებული მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, აღიარებული ვალის სანაცვლოდ, ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე მშენებარე კარკასის პირდაპირი განკარგვის წესით მათთვის გადაცემის საკითხთან დაკავშირებით, მთავრობას დავალებოდა პრეზიდენტის განკარგულების პროექტის დროული მომზადება, მისი განხილვა და პრეზიდენტისთვის წარდგენა.



საქართველოს მთავრობამ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომლითაც არ ცნო სარჩელი, აღნიშნა, რომ იგი იყო უსაფუძვლო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

შესაგებლის ავტორის მტკიცებით, მოსარჩელები თავიანთ მოთხოვნას ასაბუთებდნენ იმით, რომ ქ. თბილისის მერიის შუამდგომლობითა და მეცნიერებათა აკადემიის 2001 წლის 4 ივნისის #89 დადგენილების საფუძველზე სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2002 წლის 30 იანვარს მიზნობრივად გადაეცა ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე მეცნიერებათა აკადემიის საკონსტრუქტორო ბიუროს დაუმთავრებელი კარკასული შენობა, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ იმავე აკადემიის თანამშრომელთა მიმართ სახელმწიფო ვალის დასაფარავად.

შესაგებლის ავტორის განმარტებით, ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 20 სექტემბრის #1-1/102 ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების» პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა და «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებდა და შესაბამის პირობებს ადგენდა საქართველოს პრეზიდენტი. იმავე დებულების მე-2 მუხლი განსაზღვრავდა პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების ორგანიზების საკითხებს და მიუთითებდა, რომ პირდაპირი მიყიდვის ფორმით სახელმწიფო ქონების შესყიდვის მსურველი განცხადებით მიმართავდა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და წარადგენდა ხსენებული დებულებით განსაზღვრულ დოკუმენტებს. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო განიხილავდა შემოსულ განცხადებებს ერთი თვის ვადაში, რის შემდეგაც წინადადებას წარუდგენდა პრეზიდენტს, რომელიც საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, იღებდა შესაბამის გადაწყვეტილებას და ადგენდა პირდაპირი მიყიდვის წესით გასაყიდი ქონების პირობებს. აღნიშნული ნათლად მეტყველებდა იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილება იყო.

შესაგებლის ავტორის მტკიცებით, ზემოაღნიშნული დებულება ასევე განსაზღვრავდა სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების ორგანიზების საკითხებს და არ მიუთითებდა პრეზიდენტისთვის წინადადებების წარდგენამდე მისი მთავრობის სხდომაზე განხილვის აუცილებლობაზე და არც მთავრობას აკისრებდა ასეთი წინადადებების წარდგენის ვალდებულებას. რაც შეეხებოდა მოსარჩელების მიერ მითითებულ მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლს, მასში აღნიშნული იყო, რომ მთავრობის სხდომას განსახილველად დადგენილი წესით შეიძლება წარდგენოდა საკითხი, რომელიც კონსტიტუციისა და კანონმდებლობის საფუძველზე, მთავრობის კომპეტენციას განეკუთვნებოდა, მათ შორის, პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების პროექტები. არც აღნიშნული ნორმა აკისრებდა მთავრობას საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების განხილვის ვალდებულებას, რამდენადაც ხსენებული ნორმა განსაზღვრავდა მათი განხილვის შესაძლებლობას და არა მის აუცილებლობას ან ვალდებულებას.

შესაგებლის ავტორის განმარტებით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეთა მოთხოვნა, სასამართლოს გადაწყვეტილებით მთავრობას დავალდებოდა ისეთი ქმედების განხორციელება, რომელსაც კანონმდებლობა მას არ ავალდებულებდა, მოკლებული იყო ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს, ამასთან, სასამართლოს მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება დაადგენდა სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების მანამდე დადგენილი წესისგან სრულიად განსხვავებულ წესს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 9 ნოემბრის განჩინებით მოცემულ საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირებად ჩაებნენ ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე საქართველოს მთავრობას დაევალა მოსარჩელეთათვის, აღიარებული ვალის სანაცვლოდ, ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე მეცნიერებათა აკადემიის ხელსაწყოთმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროს ადმინისტრაციულ-ლაბორატორიული დაუმთავრებელი მშენებარე კორპუსის პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის შესახებ პრეზიდენტის განკარგულების პროექტის მომზადება და პრეზიდენტისთვის მისი წარდგენა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ« ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ქმედების განხორციელების თაობაზე, იმავე კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, სარჩელი შეიძლება აღძრულიყო ისეთი მოქმედების განხორციელების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, ხოლო ხსენებული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სარჩელი იყო დასაშვები, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ და საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილად უნდა ყოფილიყო მიჩნეული, რომ საქართველოს მთავრობის 1992 წლის 9 ოქტომბრის #983 დადგენილებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ბინათმშენებლობის

მიმართ არსებული ვალი სახელმწიფოს მიერ აღიარებული იყო სახელმწიფოს შიდა ვალად, რაც ასევე დადასტურებული იყო „სახელმწიფო ვალის შესახებ» კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ» ქვეპუნქტით.

საქალაქო სასამართლომ დადგინდა, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 2001 წლის 14 ივნისის #89 დადგენილებით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სახელმწიფო საშინაო ვალის დასაფარავად, მიზნობრივად გადაეცა ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე მეცნიერებათა აკადემიის ბალანსზე რიცხული ხელსაწყოთმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროს დაუმთავრებელი ადმინისტრაციულ-ლაბორატორიული კორპუსი მეცნიერებათა აკადემიაში მომუშავე კოოპერატიულ ბინათმშენებელთა დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულის შესაბამისად კი, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს 2003 წლის 23 ოქტომბრის #01/01-01/224 ბრძანებით დადგინდა აღნიშნული ქონების საწყისი გასაყიდი ფასი და საშინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციას ეთხოვა სახელმწიფო საშინაო ვალის სანაცვლოდ მშენებარე კორპუსის მიმღებთა შესახებ ინფორმაციის წარდგენა. საქმეში წარმოდგენილი იყო ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს 2003 წლის 4 თებერვლის #04-02/14 მიმართვა სახელმწიფო კანცელარიისადმი, რომლითაც წარდგენილ იქნა ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული პრეზიდენტის განკარგულების პროექტი „ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე მეცნიერებათა აკადემიის ხელსაწყოთმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროს ადმინისტრაციულ-ლაბორატორიული დაუმთავრებელი მშენებარე კორპუსის და მასზე დამაგრებული 7300 კვ.მ მიწის ნაკვეთის #645, #656, #648, #652 და #641 საშინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის შესახებ», თანდართული განმარტებითი ბარათით.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ პრეზიდენტის ზემოაღნიშნული განკარგულების პროექტი მოაშადა და პრეზიდენტს წარუდგინა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რადგან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი იყო, რომ საქართველოში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად წარმოშობილი ვალდებულების ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით, შესაბამის პირთა თანხმობისას, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს 2001 წლიდან 2005 წლის ჩათვლით პრეზიდენტისთვის წარედგინა წინადადებები მათთვის გარკვეული საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების (წილის, აქციების, შენობა-ნაგებობების და სხვა) პირდაპირი ფორმით გადაცემის შესახებ, რომლის დროსაც ბინის სანაცვლოდ მისაღები საკომპენსაციო თანხა ჩაითვლებოდა გადაცემული სახელმწიფო ქონების ღირებულებად. მართალია, აღნიშნული წინადადებები მომზადებული და პრეზიდენტისთვის წარდგენილ იქნა, მაგრამ განხორციელებული საკანონმდებლო და სტრუქტურული ცვლილებების თანახმად, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» კანონის მე-5 მუხლით განისაზღვრა მთავრობის კომპეტენცია, მათ შორის, სამინისტროების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი, სახელმწიფო ქონებისა და სახელმწიფო საშინაო ვალის მართვა.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მითითება იმ გარემოებაზე, რომ, რადგან სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებდა პრეზიდენტი, რაც მისი დისკრეციული უფლებამოსილება იყო, არც ერთი ნორმატიული აქტით არ იყო დადგენილი პრეზიდენტისთვის წინადადების მიწოდებამდე მისი მთავრობის სხდომაზე განხილვის ვალდებულება და არც მთავრობას ეკისრებოდა ამგვარი წინადადებების წარდგენის ვალდებულება.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ, მართალია, პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაწყვეტილების მიღება პრეზიდენტის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა, მაგრამ, ამასთანავე, მთავრობის 2004 წლის 9 ივლისის #57 დადგენილებით დამტკიცებული მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლის შესაბამისად, მთავრობის სხდომას განსახილველად შეიძლებოდა წარდგენოდა საკითხები, რაც მთავრობის კომპეტენციას მიეკუთვნებოდა, მათ შორის, საკითხები, რომლებიც ეხებოდა პრეზიდენტის აქტების პროექტებს, სახელმწიფო ქონების მართვის განხორციელებას და სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალის მართვის უზრუნველყოფას. ამდენად, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო ქონების პირდაპირი წესით მიყიდვას და ამასთან, დაკავშირებული იყო სახელმწიფო საშინაო ვალის სანაცვლოდ სახელმწიფო ქონების გადაცემასთან, აუცილებელი იყო, განხილულიყო მთავრობის სხდომაზე, რადგან აღნიშნული სწორედ მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს განეკუთვნებოდა, ხოლო ხსენებული რეგლამენტის 39-ე მუხლით დადგენილი იყო, რომ, თუ სამართლებრივი აქტის პროექტი ითვალისწინებდა პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის მიღებას, ამ შემთხვევაში აღნიშნულ დოკუმენტს უნდა დართოდა პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის პროექტიც. საქმეში წარმოდგენილი იყო ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მომზადებული პრეზიდენტის განკარგულების პროექტი, რომელიც 2005 წლის 9 სექტემბრის #16/421 წერილით გაეგზავნა შესათანხმებლად ფინანსთა სამინისტროს, რაც იმ დრომდე არ იყო შეთანხმებული და ჭიანჭურდებოდა გაურკვეველი მიზეზით.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონითა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2004 წლის 20 სექტემბრის #1-1/102 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულებით» ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ევალეზებოდა პრეზიდენტისთვის სათანადო

წინადადებების წარდგენა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული საკითხი ეხებოდა ასევე სახელმწიფო საშინაო ვალს, რომლის აღრიცხვა, მართვა და მომსახურება, მთავრობის 2004 წლის 21 მაისის #39 დადგენილებით დამტკიცებული «საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულებით» გათვალისწინებული ამავე სამინისტროს ფუნქცია იყო, აუცილებელი იყო აღნიშნული საკითხი შეთანხმებული ყოფილიყო ფინანსთა სამინისტროსთან. ამასთან, მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული იყო, რომ, თუ სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებული საკითხი ეხებოდა, აგრეთვე, სხვა სამინისტროს და მათ შორის ვერ ხერხდებოდა თანხმობის მიღწევა, საკითხი განიხილებოდა მთავრობის სხდომაზე და მის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა მთავრობა. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული საკითხი ეხებოდა, როგორც ეკონომიკური განვითარების, ისე ფინანსთა სამინისტროებს და მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ იქნა მომზადებული პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის პროექტი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ და გაგზავნილი შესათანხმებლად ფინანსთა სამინისტროში, მისი განხილვა იმ დრომდე ჭიანჭურდებოდა, ამიტომ, ხსენებული საკითხი განხილული უნდა ყოფილიყო მთავრობის სხდომაზე. რაც შეეხებოდა იმ გარემოებას, რომ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 6 ივლისის #30 და 2006 წლის 8 თებერვლის #5 სხდომების ოქმებით ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროებს დაევალებათ გადაწყვეტილების პროექტის მომზადება და მთავრობის სხდომაზე წარდგენა, ხოლო ხსენებული დავალება არ სრულდებოდა, აღნიშნულის კონტროლი, ასევე მოპასუხის პრეროგატივა იყო, რადგან მთავრობის რეგლამენტის 30-ე მუხლის თანახმად, ოქმის სახით გაფორმებული დავალება სავალდებულო იყო შესასრულებლად აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებისა და თანამდებობის პირთათვის, ხოლო დავალების შესრულების ვადა მითითებული იყო იმავე რეგლამენტის 31-ე მუხლში, რაც მთლიანად უგულვებელყოფილი იყო, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების – ფინანსთა სამინისტროს, ისე მოპასუხე საქართველოს მთავრობის მიერ.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის #1879-რს დადგენილებით საქართველოს მთავრობას დაევალა „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა საფუძველზე, დროულად მოემზადებინა და პრეზიდენტისთვის წარედგინა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო საპრივატიზებო ქონების გადაცემის შესახებ კონკრეტული პროექტები, რაც იმ დრომდე არ იყო შესრულებული, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება არ უნდა ყოფილიყო კანონსაწინააღმდეგო, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე მთავრობის უმოქმედობით ირღვეოდა საქართველოს კანონმდებლობა, რაც ეწინააღმდეგებოდა სამართლის ზოგად პრინციპებსაც – სამართალური თეორიის სტაბილურობის, კეთილსინდისიერებისა და კანონიერების პრინციპებს, აღნიშნულით კი მოსარჩელეებს ადგებოდათ პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი და ილაზებოდა კანონით დაცული მათი უფლებები, რომლებიც სწორედ „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ», „სახელმწიფო ვალის შესახებ» კანონებითა და არა ერთი კანონქვემდებარე აქტით იყო დაცული.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33<sup>1</sup> მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების შესრულებაზე უკანონო იყო და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანდა გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებდა განეხორციელებინა ეს მოქმედება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მთავრობამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო უკანონო და უნდა გაუქმებულიყო. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის დასაბუთებული პოზიცია და მიიჩნია, რომ პრეზიდენტის განკარგულების პროექტი, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო ქონების პირდაპირი წესით მიყიდვას და ამასთან, დაკავშირებული იყო სახელმწიფო საშინაო ვალის სანაცვლოდ სახელმწიფო ქონების გადაცემასთან, აუცილებლად უნდა განხილულიყო მთავრობის სხდომაზე. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო დაეყრდნო მთავრობის 2004 წლის 9 ივლისის #57 დადგენილებით დამტკიცებულ მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლს. აღნიშნული მუხლით განსაზღვრული იყო, რომ მთავრობის სხდომას განსახილველად შეიძლებოდა წარდგენოდა საკითხები, რაც მთავრობის კომპეტენციას მიეკუთვნებოდა, მათ შორის, პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების პროექტები. ამდენად, ხსენებული ნორმა ითვალისწინებდა მხოლოდ შესაძლებლობას, მთავრობას განეხილა პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები, ანუ მას არ ჰქონდა სავალდებულო ხასიათი, რის გამოც სასამართლოს მოსაზრება, რომელმაც აუცილებლად მიიჩნია ზემოაღნიშნული საკითხის მთავრობის სხდომაზე განხილვა, იყო უსაფუძვლო. გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზაციის პროცედურა სრულად იყო მოწესრიგებული კანონმდებლობით, კერძოდ, ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 20 სექტემბრის #1-1/102 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების» პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-6

მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებდა პრეზიდენტი. ამდენად, სასამართლომ საქმეში არსებული მასალებისა და ფაქტობრივი გარემოებების საწინააღმდეგოდ, მიუთითა რა მოცემული საკითხის მთავრობის სხდომაზე აუცილებელ, სავალდებულო განხილვაზე, გასცდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს და გასაჩივრებული გადაწყვეტილებით კანონსაწინააღმდეგოდ, ფაქტობრივად, დაადგინა ამ საკითხის განხილვა-გადაწყვეტის ახალი წესი.

აპელანტის მტკიცებით, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასევე არასწორად იყო მითითებული, რომ, თითქოს მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, ეკონომიკური განვითარების სამინისტროში არა ერთხელ იქნა მომზადებული პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელიც გაგზავნილი იყო შესათანხმებლად ფინანსთა სამინისტროში და მისი განხილვა ჭიანჭურდებოდა, ამიტომ, საკითხი განხილული უნდა ყოფილიყო საქართველოს მთავრობის სხდომაზე.

აპელანტის განმარტებით, მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლის თანახმად, თუ სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებული საკითხი ეხებოდა, აგრეთვე, სხვა სამინისტროს და, მათ შორის, ვერ ხერხდებოდა თანხმობის მიღწევა, საკითხი განიხილებოდა მთავრობის სხდომაზე და ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა საქართველოს მთავრობა. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელმა ამ ნორმის გამოყენების აუცილებელ პირობად მიიჩნია სამინისტროთა შორის თანხმობის მიუღწევლობა, რასაც მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მომხდარა. საქმეში არ იყო წარმოდგენილი არავითარი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ფინანსთა სამინისტრომ დაიწუნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის პროექტი ან უარი განაცხადა მის შეთანხმებაზე. ამდენად, ამ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროებს შორის სარჩელის საგნის, ანუ საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის თაობაზე შეუთანხმებლობა. შესაბამისად, არასწორი იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნა, აღნიშნული მოტივით საკითხის მთავრობის სხდომაზე განხილვის აუცილებლობის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მარტის განჩინებით მოწინააღმდეგე მხარე ი. ი-ვას უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნენ გვანცა და ნურკი სამხარაძეები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით მთავრობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 18 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე საქართველოს მთავრობას დაევალა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების კონკრეტული პროექტის მომზადება და პრეზიდენტისთვის მისი წარდგენა, მოსარჩელეთათვის აღიარებული ვალის სანაცვლოდ, როგორც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები) გადაცემის შესახებ ერთი თვის ვადაში.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სასამართლო გასცდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს და მთავრობას დაავალა ისეთი რამ, რაც კანონმდებლობით მას სავალდებულოდ შესასრულებლად არ ეკისრებოდა, კერძოდ, მთავრობის 2004 წლის 9 ივლისის #57 დადგენილებით დამტკიცებული მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლის თანახმად, მთავრობას ჰქონდა შესაძლებლობა და არა ვალდებულება, მთავრობის სხდომაზე განეხილა და გადაეწყვიტა პრეზიდენტისთვის სამართლებრივი აქტების პროექტების წარდგენის საკითხი. აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ დაავალა რა მთავრობას პრეზიდენტის განკარგულების შესაბამისი პროექტის მომზადება და წარდგენა, კანონსაწინააღმდეგოდ, ფაქტობრივად, დაადგინა ამ საკითხის განხილვა-გადაწყვეტის ახალი წესი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული მოსაზრება იყო აშკარად მცდარი, რადგან მთავრობის დავალდებულება, მოემზადებინა პრეზიდენტის განკარგულების პროექტი, არ მომდინარეობდა სასამართლოსგან, რომელიც არ გასცდენია თავისი კომპეტენციის ფარგლებს, არამედ გამომდინარეობდა პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის შესაბამისი დადგენილებიდან, რომელშიც სიტყვასიტყვით იყო მითითებული, რომ მთავრობას დავალდებოდა, „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ» კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა საფუძველზე, დროულად მოემზადებინა და საქართველოს პრეზიდენტისთვის დასამტკიცებლად წარედგინა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო საპრივატიზებო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები) გადაცემის შესახებ კონკრეტული პროექტები.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაწვრილებით და საფუძვლიანად იყო დასაბუთებული, თუ რატომ უნდა დავალდებოდა მთავრობას პრეზიდენტის განკარგულების პროექტის მომზადება კონკრეტულ მოსარჩელეებთან დაკავშირებით, ხოლო სასამართლოს აღნიშნული მოსაზრებები ვერ იქნა გაბათილებული აპელანტის მიერ. ამრიგად, პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, თუმცა საქალაქო სასამართლოს არ უნდა დაევალებინა მთავრობისათვის მოემზადებინა პრეზიდენტისთვის წარსადგენად ისეთი შინაარსის განკარგულების პროექტი, რომლითაც აღიარებული ვალის სანაცვლოდ, მოსარჩელებისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით უშუალოდ უნდა

გადაცათ ქ. თბილისში, . . . ქ. #7-ში მდებარე დაუმთავრებელი მშენებარე კორპუსი. პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის ზემოხსენებული დადგენილებით მთავრობას ზოგადად დაევალა, რომ მას პრეზიდენტისთვის დასამტკიცებლად წარედგინა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო საპრივატიზებო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები) გადაცემის შესახებ კონკრეტული პროექტები. ამდენად, მთავრობის დისკრეციული უფლებამოსილება იყო, თვითონ განესაზღვრა, სახელმწიფო გამგებლობაში არსებული თუ რომელი შენობა-ნაგებობები ან მიწის ნაკვეთები გადაეცა მოსარჩევეებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ ამ ნაწილში არასწორად განმარტა ზემოაღნიშნული სამართლის ნორმა, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის (გაუქმების), მთავრობის სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ მთავრობას დავალებოდა პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების პროექტის მომზადება და მისთვის წარედგინა, სრულიად საფუძვლიანი იყო და იგი პირდაპირ გამომდინარეობდა პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის ზემოაღნიშნული დადგენილებიდან. უფრო მეტიც, ხსენებულ დადგენილებაში ნათლად იყო მითითებული, რომ მთავრობას დროულად უნდა მოემზადებინა და პრეზიდენტისთვის დასამტკიცებლად წარედგინა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო საპრივატიზებო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები) გადაცემის შესახებ კონკრეტული პროექტები. ხსენებული დადგენილების მიღებიდან გასული იყო თითქმის 2 წელი, მაგრამ მთავრობამ არათუ დროულად, არამედ საერთოდ არ შეასრულა ამ დადგენილების დანაწესები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მთავრობას ზუსტად უნდა განსაზღვროდა ვადა, რათა მას აღესრულებინა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მითითებული დადგენილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა მთავრობამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უკანონოა და უნდა გაუქმდეს. სააპელაციო სასამართლო ხსენებული გადაწყვეტილების მიღებისას, ძირითადად, დაეყრდნო პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის ზემოხსენებულ დადგენილებას და მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა იყო საფუძვლიანი და იგი პირდაპირ გამომდინარეობდა პარლამენტის აღნიშნული დადგენილებიდან, რომლის თანახმად, მთავრობას დაევა „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა საფუძველზე, დროულად მოამზადოს და პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარედგინოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო საპრივატიზებო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები) გადაცემის შესახებ კონკრეტული პროექტები.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ პარლამენტის ზემოხსენებულ დადგენილებაში მითითებული დავალება უნდა შესრულებულიყო „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების საფუძველზე. „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონი კი ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული 2006 წლის 1 იანვრიდან. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, აგრეთვე, ისიც, რომ პარლამენტის აღნიშნულ დადგენილებაში მითითებული საკანონმდებლო აქტები, რომელთა მოთხოვნათა შესრულების მიზნითაც იქნა გამოცემული ხსენებული დადგენილება, სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის იურიდიულად ძალადაკარგულ აქტებს წარმოადგენდა, კერძოდ, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მე-4, მე-5 პუნქტები და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები, რომლებშიც მითითებული იყო, რომ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 2001 წლიდან 2005 წლის ჩათვლით პრეზიდენტისთვის უნდა წარედგინათ წინადადებები მათთვის გარკვეული საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების (მიწის ფართობები) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული ნორმატიული აქტების ხსენებული ნორმები მიღებული იყო 2001 წლიდან 2005 წლამდე ვადით. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით კი, ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს იმ შემთხვევაში, თუ გავიდა ვადა, რომლითაც იგი იქნა მიღებული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის ზემოაღნიშნული დადგენილება იურიდიული ძალის არმქონეა, ვინაიდან „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, იურიდიული ძალა არა აქვს ძალადაკარგულად გამოცხადებული საკანონმდებლო აქტის საფუძველზე მიღებულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი გამოცხადებული ძალადაკარგულად.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის დადგენილებიდან გამომდინარე, რომლითაც მთავრობას ევალებოდა პრეზიდენტისთვის წარედგინა

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე საპრივატიზებო ქონების გადაცემის შესახებ კონკრეტული პროექტები, დაადგინა, რომ სახელმწიფოს გამგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების ან მიწის ნაკვეთების აღნიშნულ პირებზე გადაცემა იყო საქართველოს მთავრობის დისკრეციული უფლებამოსილება. სააპელაციო სასამართლომ, გარდა იმისა, რომ იურიდიული ძალის არმქონე დადგენილებიდან გამომდინარე, განსაზღვრა ხსენებული დისკრეციული უფლებამოსილება, არ გაითვალისწინა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის, მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» კანონის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტის, ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 20 სექტემბრის #1-1/102 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების» პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები, რომელთა თანახმად, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს და შესაბამის პირობებს ადგენს პრეზიდენტი. ამდენად, სახელმწიფო ქონების მოსარჩევეებისთვის გადაცემა პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილებაა, რამდენადაც ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებით მინიჭებული უფლებიდან გამომდინარე, მხოლოდ პრეზიდენტია უფლებამოსილი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ლ» ქვეპუნქტის შესაბამისად, შეარჩოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

კასატორის მტკიცებით, აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ არასწორად განმარტა სამართლის ნორმა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაწვრილებით და საფუძვლიანად იყო დასაბუთებული, თუ რატომ უნდა დავალებოდა მთავრობას პრეზიდენტის განკარგულების პროექტის მომზადება კონკრეტულ მოსარჩევეებთან დაკავშირებით და მცდარად მიიჩნია მისი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სასამართლომ, დაავალა რა მთავრობას პრეზიდენტის აქტის პროექტის მომზადება და წარდგენა, ფაქტობრივად, კანონსაწინააღმდეგოდ დაადგინა ამ საკითხის განხილვა-გადაწყვეტის ახალი წესი. მთავრობის მოსაზრება გამომდინარეობდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან, რომელშიც მითითებულია, რომ პრეზიდენტის განკარგულების პროექტი, რომელიც ეხება სახელმწიფო ქონების პირდაპირი წესით მიყიდვას და ამასთან, დაკავშირებულია სახელმწიფო საშინაო ვალის სანაცვლოდ სახელმწიფო ქონების გადაცემასთან, აუცილებელია განხილულ იქნეს მთავრობის სხდომაზე. ამრიგად, პირველი ინსტანციის სასამართლომ განსაზღვრა, ხოლო სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აღნიშნული საკითხის მთავრობის სხდომაზე განხილვის აუცილებლობა და სავალდებულოობა და არ გაითვალისწინა, რომ მთავრობის 2004 წლის 9 ივლისის #57 დადგენილებით დამტკიცებული მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლის თანახმად, მთავრობის სხდომას განსახილველად შეიძლება წარედგინოს საკითხები, რომლებიც მთავრობის კომპეტენციას მიეკუთვნება, მათ შორის, პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების პროექტები. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს მთავრობის მიერ პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის მხოლოდ შესაძლებლობას და იგი მთავრობას არ აკისრებს მათი განხილვის ვალდებულებას, ანუ მას არა აქვს სავალდებულო ხასიათი და შესაბამისად, სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება არის უსაფუძვლო.

კასატორის მტკიცებით, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების პროცედურა სრულად არის მოწესრიგებული კანონმდებლობით, კერძოდ, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულებით», რომლის მე-2 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ქონების შესყიდვის მსურველი განცხადებით მიმართავს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და წარუდგენს განსაზღვრულ დოკუმენტებს. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო იხილავს შემოსულ განცხადებას ერთი თვის ვადაში, რის შემდეგაც სათანადო წინადადებებს წარუდგენს პრეზიდენტს, რომელიც საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და ადგენს პირდაპირი მიყიდვის წესით გასაყიდი ქონების პირობებს. ამ საკითხის მომწესრიგებელი აღნიშნული ნორმების საწინააღმდეგოდ, სასამართლომ სრულიად ახალი პროცედურა განსაზღვრა და მიუთითა, რომ აუცილებელი იყო ასეთი საკითხები განეხილა მთავრობას, რაც არ შეესაბამება სამართლის არც ერთ ნორმას.

კასატორის მოსაზრებით, საკასაციო საჩივარში მოყვანილი არგუმენტების საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შეფასება და კანონშესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანა მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 სექტემბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მთავრობის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 17 სექტემბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2007 წლის 28 ნოემბრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინებით მთავრობის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 24 იანვარს, 11.00 საათზე.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მეცნიერებათა აკადემიისადმი ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს (ამჟამად ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო) 2000 წლის 31 აგვისტოს წერილის მიხედვით, ქ. თბილისის მერიას განცხადებით მიმართეს 645-ე კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში გაწევრიანებულმა მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლებმა, რომლებმაც დასვეს საკითხი მათ მიერ კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში შეტანილი თანხების სანაცვლოდ, გადასცემოდათ ქ. თბილისში, ... ქუჩაზე მდებარე მეცნიერებათა აკადემიის საკონსტრუქტორო ბიუროს მშენებარე შენობა საცხოვრებელი ბინების მოსაწყობად. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსადმი (ამჟამად ეკონომიკური განვითარების სამინისტრო) მეცნიერებათა აკადემიამ 2002 წლის 30 იანვრის წერილით ითხოვა ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე ხელსაწყომშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროს დაუმთავრებელი, კარკასული შენობა, მიმდებარე 0,5 ჰა მიწის ნაკვეთით შეტანილიყო საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადასაცემი ობიექტების ნუსხაში მიზნობრივად, მეცნიერებათა აკადემიაში მომუშავე კოოპერატიულ ბინათმშენებელთა მიმართ არსებული სახელმწიფო ვალის დასაფარავად. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 2001 წლის 14 ივნისის #89 დადგენილების საფუძველზე, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს (ამჟამად ეკონომიკური განვითარების სამინისტრო) გადაეცა ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე მეცნიერებათა აკადემიის საკონსტრუქტორო ბიუროს დაუმთავრებელი ადმინისტრაციულ-ლაბორატორიული კორპუსი, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ იმავე აკადემიის თანამშრომელთა მიმართ სახელმწიფო სამინივო ვალის დასაფარავად. 2003 წლის 4 თებერვალს ფინანსთა და ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრების მიერ ვიზირებული პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების პროექტი დანართის სახით თანდართულ მასალებთან ერთად, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ (ამჟამად ეკონომიკური განვითარების სამინისტრო) გადაუგზავნა სახელმწიფო კანცელარიას. პრემიერ-მინისტრმა 2004 წლის 14 ივლისის კონტროლზე აყვანილი #256/28 წერილით მთავრობის კანცელარიის კონტროლის დეპარტამენტის უფროსის წერილის საფუძველზე, მიმართა ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა მინისტრებს იმის თაობაზე, რომ დაეჭარებინათ კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისათვის საკომპენსაციო თანხების ნაცვლად, პირდაპირი მიყიდვის წესით ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე მეცნიერებათა აკადემიის საკონსტრუქტორო ბიუროს დაუმთავრებელი ადმინისტრაციული კორპუსისა და მასზე დამაგრებული 7300 კვ.მ მიწის ფართის გადაცემის საკითხის წარდგენა მთავრობის სხდომაზე. მთავრობის კანცელარიისადმი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2004 წლის 2 ნოემბრის წერილის თანახმად, პრემიერ-მინისტრის 2004 წლის 14 ივლისის #256/28 დავალების შესრულების უზრუნველსაყოფად, ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე მეცნიერებათა აკადემიის ხელსაწყომშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროს ადმინისტრაციულ-ლაბორატორიული დაუმთავრებელი მშენებარე კორპუსისა და მასზე დამაგრებული მიწის ფართის დადგენილი წესით კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ მოქალაქეებზე გადაცემის მიზნით, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ ახლო პერიოდში წარდგენილი იქნებოდა შესაბამისი წინადადებები მთავრობის სხდომაზე განსახილველად.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მთავრობის კანცელარიისადმი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2004 წლის 29 ნოემბრის წერილის მიხედვით, ეკონომიკური განვითარების სამინისტროში მიმდინარეობდა კომპლექსური რეფორმა, რომლის დასრულებისთანავე მის მიერ გატარდებოდა ღონისძიებები პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების პროექტის მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარდგენისათვის. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტებმა, შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და პრემიერ-მინისტრს მიმართეს თხოვნით ამ საკითხზე უმოკლეს დროში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა და დავალიანების დაფარვის პრაქტიკული განხორციელების თაობაზე. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2005 წლის 27 აპრილისა და 2005 წლის 3 მაისის წერილებით მიიჩნია, რომ ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე დაუმთავრებელი შენობისა და მასზე დამაგრებული მიწის პირდაპირი მიყიდვის ფორმით კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში დაზარალებულ მეცნიერ-თანამშრომელთათვის გადაცემის პროცესის გაჭიანურება წარმოადგენდა აღნიშნულ პირთა უფლებების დარღვევას. მთავრობის 2005 წლის 6 ივლისის #30 ოქმით ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად და ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებს დაევალით მთავრობის შემდეგ სხდომაზე წარედგინათ პროექტი იმავე საკითხის მოგვარების თაობაზე. ფინანსთა სამინისტროსადმი ეკონომიკური

განვითარების სამინისტროს 2005 წლის 9 სექტემბრის წერილის თანახმად, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ფინანსთა სამინისტროს შესათანხმებლად წარუდგინა პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების პროექტი თანდართულ განმარტებით ბარათთან ერთად. მთავრობის კანცელარიის იურიდიულმა დეპარტამენტმა პრემიერ-მინისტრისადმი წარუდგინა მოხსენებით ბარათში მიუთითა, რომ მოსარჩელეთათვის ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე მეცნიერებათა აკადემიის ხელსაწყოთმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროს დაუმთავრებელი კარკასული შენობის, სახელმწიფო ვალის დასაფარავად, გადაცემის საკითხზე კონკრეტული გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა 2005 წლის 6 ივლისს მთავრობის სხდომაზე. მთავრობის 2006 წლის 8 თებერვლის #5 სხდომის ოქმით ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად და ფინანსთა სამინისტროს დაევალა ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან, ქ. თბილისის მერიასა და მთავრობის კანცელარიის იურიდიულ დეპარტამენტთან ერთად, მთავრობის შემდეგ სხდომაზე წარედგინა გადაწყვეტილების პროექტი განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის #1879-რს დადგენილებაზე, რომლის მიხედვით, მთავრობას დაევალა „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა საფუძველზე, დროულად მოემზადებინა და პრეზიდენტისთვის წარედგინა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო საპრივატიზებო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები) გადაცემის შესახებ კონკრეტული პროექტები. აღნიშნული პროექტების დასრულების შემდეგ ამ პროცესის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში გარკვეული კორექტივების შეტანის შემთხვევაში არ უნდა მომხდარიყო კომპენსაციით დაუკმაყოფილებელ კოოპერატივის წევრთა პირობების გაუარესება.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ იგი სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა მთავრობისთვის პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების პროექტის მომზადებისა და მისთვის წარდგენის დავალების შესახებ, სრულიად საფუძვლიანია და იგი პირდაპირ გამომდინარეობს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის ზემოაღნიშნული დადგენილებიდან, რადგან ხსენებულ დადგენილებაში ნათლად და სიტყვასიტყვით იყო მითითებული, რომ მთავრობას დაევალებოდა, „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა საფუძველზე, დროულად მოემზადებინა და პრეზიდენტისთვის დასამტკიცებლად წარედგინა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო საპრივატიზებო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები) გადაცემის შესახებ კონკრეტული პროექტები.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ პარლამენტის ზემოხსენებულ დადგენილებაში მითითებული დავალება უნდა შესრულებულიყო „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების საფუძველზე, ხოლო „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონი ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული 2006 წლის 1 იანვრიდან, პარლამენტის აღნიშნულ დადგენილებაში მითითებული საკანონმდებლო აქტები კი, რომელთა მოთხოვნათა შესრულების მიზნითაც იქნა გამოცემული ხსენებული დადგენილება, სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის იურიდიულად ძალადაკარგულ აქტებს წარმოადგენდა, კერძოდ, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები, რომლებშიც მითითებული იყო, რომ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს (ამჟამად ეკონომიკური განვითარების სამინისტრო), ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 2001 წლიდან 2005 წლის ჩათვლით პრეზიდენტისთვის უნდა წარედგინათ წინადადებები მათთვის გარკვეული საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების (მიწის ფართობები) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ და შესაბამისად, აღნიშნული ნორმატიული აქტების ხსენებული ნორმები მიღებული იყო 2001 წლიდან 2005 წლამდე ვადით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხსენებული საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება არ ათავისუფლებს მთავრობას პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის #1879-რს დადგენილებით მისთვის დაკისრებული ვალდებულების შესრულებისაგან.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის, მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტის, ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 20 სექტემბრის #1-1/102 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები, რომელთა თანახმად, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს და შესაბამის პირობებს ადგენს პრეზიდენტი და ამდენად, სახელმწიფო ქონების მოსარჩელეთათვის გადაცემა პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილებაა, რამდენადაც ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებით მინიჭებული უფლებიდან გამომდინარე, მხოლოდ პრეზიდენტი უფლებამოსილი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.



საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორი სადავოდ ხდის იმას, რაც, ამ შემთხვევაში საერთოდ არ არის სადავო, კერძოდ, მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ სახელმწიფო ქონების მოსარჩელებისთვის გადაცემა პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილებაა და მხოლოდ პრეზიდენტია უფლებამოსილი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აღიარებული ვალის სანაცვლოდ, მოსარჩელეთათვის სახელმწიფო ქონების გადაცემა, შეიძლება ითქვას, ორი ნაწილისაგან შედგება, კერძოდ, სახელმწიფო საპრივატიზაციო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთი) გადაცემის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტის მომზადებისაგან, პრეზიდენტისათვის მისი წარდგენისაგან და სახელმწიფო ქონების შესაბამისი პირებისათვის გადაცემისაგან, რომელთა განხორციელებაზე უფლებამოსილ სუბიექტებს წარმოადგენენ, შესაბამისად, მთავრობა და საქართველოს პრეზიდენტი. ამდენად, უდავოა, რომ სახელმწიფო ქონების მოსარჩელებისთვის გადაცემა საქართველოს პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილება იყო, რომლის განსახორციელებლად აუცილებელი იყო საქართველოს მთავრობის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტის მომზადება.

ზემოაღნიშნულის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 30 მაისის სხდომაზე მოსარჩელეთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობას, თუნდაც პრეზიდენტს უნდა დარჩენოდა დისკრეციული უფლებამოსილება, რომ თვითონ გადაეწყვიტა, თუ რომელი ობიექტი უნდა გადასცემოდათ მოსარჩელებს და ისინი თანახმა იყვნენ სხვა ობიექტის მიღებაზეც.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს მთავრობის 2004 წლის 9 ივლისის #57 დადგენილებით დამტკიცებულ მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, მთავრობის სხდომას განსახილველად დადგენილი წესით შეიძლება წარედგინოს საკითხი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის საფუძველზე, მთავრობის კომპეტენციას განეკუთვნება, მათ შორის, ამავე პუნქტის «ა» ქვეპუნქტის თანახმად – პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების პროექტები.

კასატორი აღნიშნავს, რომ მთავრობის 2004 წლის 9 ივლისის #57 დადგენილებით დამტკიცებული მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლი ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის მხოლოდ შესაძლებლობას და იგი საქართველოს მთავრობას არ აკისრებს მათი განხილვის ვალდებულებას, ანუ მას არა აქვს სავალდებულო ხასიათი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი დავას არ უნდა იწვევდეს, რადგან, ჯერ ერთი, საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია არა მთავრობის სხდომაზე საკითხის განხილვის შესაძლებლობაზე ან ვალდებულებაზე, არამედ არაამომწურავად არის განსაზღვრული მთავრობის სხდომაზე განსახილველ საკითხთა წრე ამავე ქვეპუნქტში ჩამოთვლილი საკითხებით, რომლებიც შემოფარგლულია საქართველოს მთავრობის კომპეტენციით, ანუ ხაზგასმულია იმაზე, თუ რა საკითხები შეიძლება წარედგინოს საქართველოს მთავრობის სხდომას განსახილველად, რასაც ადასტურებს საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-20 მუხლის პირველი პუნქტიც, რომლის თანახმად, მთავრობის სხდომაზე განიხილება ის საკითხები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობისა და ამ რეგლამენტის შესაბამისად, განეკუთვნება მთავრობის კომპეტენციას. მეორეც, მთავრობის რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული საკითხების ჩამონათვალი შედის ხსენებული პუნქტის «ი» და «ლ» ქვეპუნქტებით რეგლამენტირებული საკითხები, შესაბამისად, სახელმწიფო ქონების მართვის განხორციელება და სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალების მართვის უზრუნველყოფა.

მთავრობის საკასაციო საჩივარზე საკასაციო წარმოდგენილ შესაგებელში მოსარჩელეთა წარმომადგენლები თემურ გოგასაძე და ლევან ლობჯანიძე მიუთითებენ, რომ ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ქონების მოსარჩელებისათვის გადაცემა პრეზიდენტის დისკრეციული უფლებამოსილებაა, სასამართლოს ექვექცემ არ დაუყენებია, რასაც ადასტურებს თვით სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ მთავრობას დაავალა არა სახელმწიფო ქონების მოსარჩელებისათვის გადაცემა, არამედ პრეზიდენტის განკარგულების პროექტის მომზადება და პრეზიდენტისთვის მისი წარდგენა მოსარჩელეთათვის აღიარებული ვალის სანაცვლოდ, მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო ქონების გადაცემის შესახებ, ხოლო პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის შესაბამისი დავალებებით დასტურდება, რომ სარჩელში წარმოდგენილი საკითხი – პრეზიდენტის განკარგულების პროექტის მომზადება ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე კარკასული შენობის მოსარჩელეთათვის გადაცემის შესახებ და მისი პრეზიდენტისთვის წარდგენა მთავრობის განსახილველი საკითხია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამის სამინისტროებს მოსთხოვენ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტის არა მთავრობის სხდომაზე, არამედ პირდაპირ პრეზიდენტისთვის წარდგენას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამის თაობაზე მოპასუხის მოსაზრების უსაფუძვლობას.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების პროცედურა სრულად არის მოწესრიგებული საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულებით», რომლის მე-2 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ქონების შესყიდვის მსურველი განცხადებით მიმართავს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და წარუდგენს განსაზღვრულ დოკუმენტებს, ხოლო ეკონომიკური განვითარების სამინისტრო იხილავს შემოსულ განცხადებას ერთი თვის ვადაში, რის შემდეგაც სათანადო

წინადადებებს წარუდგენს პრეზიდენტს, რომელიც საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და ადგენს პირდაპირი მიყიდვის წესით გასაყიდი ქონების პირობებს. კასატორი ამტკიცებს, რომ ამ საკითხის მომწესრიგებელი აღნიშნული ნორმების საწინააღმდეგოდ, სასამართლომ სრულიად ახალი პროცედურა განსაზღვრა და მიუთითა, რომ აუცილებელი იყო, ასეთი საკითხები განეხილა მთავრობას, რაც არ შეესაბამება სამართლის არც ერთ ნორმას.

საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების მიღებისა და აღნიშნული გადაწყვეტილების მთავრობის მიერ საკასაციო წესით გასაჩივრების შემდეგ, გამოცემულ იქნა ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 20 სექტემბრის #1-1/1415 ბრძანება (ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე), რომლითაც დამტკიცდა «სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ» დებულება. ხსენებული ბრძანებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2004 წლის 20 სექტემბრის #1-1/102 ბრძანება „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე«, ანუ ამჟამად აღარ მოქმედებს ზემოაღნიშნული დებულება, რომელზეც მიუთითებს კასატორი საქართველოს მთავრობა და იყენებს საკასაციო საჩივრის დასაბუთებისათვის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამჟამად მოქმედი, ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 20 სექტემბრის #1-1/1415 ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ» დებულების მე-6 პუნქტში გარკვევით არის მითითებული, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვა ხორციელდება პრეზიდენტის გადაწყვეტილებით საქართველოს მთავრობის წარდგინების საფუძველზე, ხოლო საკითხს ამზადებს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება მთლიანად ააგო პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის #1879-რს დადგენილებაზე და ძირითადად, გამოიყენა ხსენებული დადგენილება, რაზეც კასატორიც მიუთითებს საკასაციო საჩივარში. ამასთან, მართალია, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მართებულად მიუთითა, რომ მთავრობის დისკრეციული უფლებამოსილება იყო, თვითონ განესაზღვრა, სახელმწიფო გამგებლობაში არსებული თუ რომელი შენობა-ნაგებობები ან მიწის ნაკვეთები გადაეცა მოსარჩელებისთვის, მაგრამ იმავდროულად, პარლამენტის ხსენებული დადგენილების ზუსტი შესაბამისობით, იმავე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით მოპასუხე საქართველოს მთავრობას დაავალა პრეზიდენტის განკარგულების კონკრეტული პროექტის მომზადება და პრეზიდენტისთვის მისი წარდგენა მოსარჩელეთათვის აღიარებული ვალის სანაცვლოდ, როგორც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები) გადაცემის შესახებ. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა მოსარჩელებისათვის მათზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები) გადაცემის შესახებ. მიზნობრივად განაწილებულ სახელმწიფო ქონებაზე ხაზგასმამ კი გამოიწვია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სხვადასხვაგვარი გაგება მხარეების მხრიდან, ანუ მიზნობრიობაზე მითითებამ წარმოშვა აზრთა სხვადასხვაობა ამ საკითხთან დაკავშირებით, რასაც ადასტურებს საკასაციო სასამართლოს სხდომაზე ამის შესახებ მხარეთა განმარტებებიც, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის სხდომაზე მთავრობის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, როგორც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოდის, მოსარჩელებს მიზნობრივად უნდა გადაეცეთ კონკრეტული შენობა, კერძოდ, ქ. თბილისში, ... ქუჩაზე მდებარე კარკასული შენობა. საკასაციო სასამართლოს იმავე სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა კი მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოსარჩელები გულისხმობენ, როგორც ქ. თბილისში, ... ქუჩაზე მდებარე ქონებას, რაც პირველ რიგში არის მათთვის სასურველი, ასევე ნებისმიერ ფორმატში შეიძლება იქნეს განხილული სხვა გონივრული და მისაღები ვარიანტი ქონების გადაცემის შესახებ.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მთავრობამ თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში თვითონ უნდა განსაზღვროს, თუ რომელი სახელმწიფო საპრივატიზაციო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთი) თაობაზე უნდა მოამზადოს და წარუდგინოს პრეზიდენტს განკარგულების პროექტი შესაბამისი ქონების მოსარჩელეთათვის, როგორც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისათვის გადაცემის მიზნით (აღიარებული ვალის სანაცვლოდ), ანუ თვითონ უნდა შეაფასოს, პრეზიდენტის მის მიერ მოსამზადებელ განკარგულების პროექტში მოსარჩელეთა მიერ სარჩელში მითითებული, თუ სხვა ქონება უნდა იქნეს შეტანილი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ლ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს დისკრეციული უფლებამოსილების რეალიზების დროს საჯარო და კერძო

ინტერესების პროპორციულობის პრინციპის დაცვა, რომლის მატერიალური შინაარსი მდგომარეობს საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერ გაწონასწორებასა და მათ მართლზომიერ დაბალანსებაში. ამასთან, დაუშვებელია სხვა ნებისმიერი ორგანოსა თუ პირის ჩარევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკუთარი, მისთვის კანონმდებლობით ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, რასაც შეიძლება, საბოლოო ჯამში, შედეგად მოჰყვეს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოსთვის მინიჭებული თავისუფალი მოქმედების შეზღუდვა და აღნიშნული უფლებამოსილების რეალიზებაში მისთვის დაბრკოლებების შექმნა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დასარეგულირებლად კონკრეტული ქმედებების განხორციელება - პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების პროექტის დროულად მომზადება და პრეზიდენტისთვის მისი წარდგენა სწორედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ლ» ქვეპუნქტით რეგლამენტირებულ მთავრობის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასევე მიუთითა, რომ პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის #1879-რს დადგენილების მიღებიდან გასული იყო თითქმის 2 წელი, მაგრამ მთავრობამ არათუ დროულად, არამედ საერთოდ არ შეასრულა ამ დადგენილების დანაწესები, რის გამოც მთავრობას ზუსტად უნდა განსაზღვროდა ვადა, რათა მას აღესრულებინა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მითითებული დადგენილება. სააპელაციო სასამართლომ მთავრობას ამისათვის განუსაზღვრა ერთი თვის ვადა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ერთთვიანი ვადა არ არის გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც მთავრობა შეძლებდა პრეზიდენტის განკარგულების კონკრეტული პროექტის მომზადებისა და პრეზიდენტისთვის მისი წარდგენის თაობაზე დავალების შესრულებას, მოსარჩელეთათვის აღიარებული ვალის სანაცვლოდ, როგორც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებზე მიზნობრივად განაწილებული სახელმწიფო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები) გადაცემის შესახებ. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია მთავრობას დაევალოს დროულად, გონივრულ ვადაში განხორციელოს საკასაციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით მისთვის დავალებული ქმედებები.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მართალია, სააპელაციო სასამართლომ არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიიღო მოცემულ საქმეზე, მაგრამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში «მიზნობრივად» განაწილებულ სახელმწიფო ქონებაზე მითითებისა და მთავრობისათვის ერთი თვის ვადის არასწორად მიცემის გამო, აღნიშნული გადაწყვეტილება ექვემდებარება შეცვლას სარეზოლუციო ნაწილში დასახელებული ორი ელემენტის კუთხით, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია «მიზნობრიობაზე» მითითება მისი დივერგენტული გაგების გამორიცხვის უზრუნველყოფისთვის, ასევე, კასატორი მთავრობის შეზღუდვა ერთთვიანი ვადით მისთვის დავალებული ქმედებების განხორციელებაში, ამასთან, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ აღნიშნული როდი ნიშნავს კასატორი მთავრობის მიერ მისთვის დავალებული ქმედებების განხორციელების გაჭიანურებას, არამედ გულისხმობს ხსენებული ქმედებების იმ ვადაში განხორციელებას, რაც ჩვეულებრივ, გონივრული გაგებით საჭიროა მათი რეალიზებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრების: ვ. ბ-შვილის, შ. ნ-ძის, გ. ბ-ძის, მ. ჯ-იას, ფ. ა-ელის, მ. კ-შვილის, ნ. ტ-შვილის, ე. ტ-ძის, დ. კ-ვას, ზ. ბ-ძის, გ. და ნ. ს-ძეების (ი. ი-ვას უფლებამონაცვლეები), ლ. ბ-ძის, მ. გ-ურის, ო. ე-ძის, გ. წ-თლის სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ და მოპასუხე მთავრობას დაევალება, დროულად მოამზადოს და წარუდგინოს პრეზიდენტს განკარგულების პროექტი მოსარჩელეთათვის, როგორც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისათვის, აღიარებული ვალის სანაცვლოდ, სახელმწიფო საპრივატიზაციო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთი) გადაცემის შესახებ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს მთავრობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრების - ვ. ბ-შვილის, შ. ნ-ძის, გ. ბ-ძის, მ. ჯ-იას, ფ. ა-ელის, მ. კ-შვილის, ნ. ტ-შვილის, ე. ტ-ძის, დ. კ-ვას, ზ. ბ-ძის, გ. და ნ. ს-ძეების (ი. ი-ვას უფლებამონაცვლეები), ლ. ბ-ძის, მ. გ-ურის, ო. ე-ძის, გ. წ-თლის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; დაევალოს მოპასუხე საქართველოს მთავრობას, დროულად მოამზადოს

და წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს განკარგულების პროექტი მოსარჩელეთათვის, როგორც საბინაო-სამშენებლო კოორპერატივის წევრებისათვის, აღიარებული ვალის სანაცვლოდ, სახელმწიფო საპრივატიზაციო ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთი) გადაცემის შესახებ;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## დისკრეციული უფლებების გადამეტება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ბს-1110-1062(კ-07) 8 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ჩინჩალაძე,

ლ. მურუსიძე

**სარჩელის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის დავალება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 1 ივლისს შპს «ბ. დ-ქემ» სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2005 წლის 8 აპრილს მონაწილეობა მიიღო სააუქციონო ვაჭრობაში, სადაც სხვა ქონებასთან ერთად, გასაყიდად იყო გამოტანილი ქ. ბათუმში, ... ქ. #40-ში მდებარე არასაცხოვრებელი 259,9 კვ.მ 378,31 კვ.მ მიწის ნაკვეთთან ერთად და იგი მითითებულ იქნა მე-13 ლოტად. შპს «ბ. დ-ქემ» მიერ წინასწარ, ბეს სახით გადახდილ იქნა 60600 ლარი. იმდენად, რამდენადაც ხსენებულ სააუქციონო ვაჭრობაში #13 ლოტთან, ანუ ზემოაღნიშნულ ქონებასთან მიმართებაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ შპს «ბ. დ-ქემ» და სხვა მსურველი ამ ქონების შეძენისა არ ყოფილა, შესაბამისად, გამარჯვებაც დარჩა მას. 2005 წლის 11 აპრილს შპს «ბ. დ-ქემ» დირექტორს გადასცეს დოკუმენტი სახელწოდებით - «სააუქციონო ვაჭრობა ლოტი #13» და ამ დოკუმენტის შინაარსიდან ჩანდა, რომ იგი დამტკიცებულ იქნა ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 11 აპრილის #115 ბრძანებით და ხელმოწერილი იყო თავმჯდომარის მოადგილის, აუქციონის წამყვანის, მდივნისა და მყიდველის - შპს «ბ. დ-ქემ» დირექტორის მიერ. ამ დოკუმენტზე შპს «ბ. დ-ქემ» დირექტორის მიერ ხელმოწერა განხორციელდა მისთვის დასახელებული დოკუმენტის გადაცემის დღეს. 2005 წლის 20 აპრილს ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე რიცხული ქონების, არასაცხოვრებელი ფართების და ობიექტების პრივატიზების შედეგად, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესებით, მიღება-ჩაბარების მუდმივმოქმედ კომისიასა და აუქციონში გამარჯვებულ შპს «ბ. დ-ქემ» წარმომადგენელს შორის გაფორმდა აუქციონზე გატანილი ქონების მიღება-ჩაბარების აქტი. 2005 წლის 28 აპრილს აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს «ბ. დ-ქემს» შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება აღნიშნულ ქონებაზე. 2005 წლის 18 მაისს შპს «ბ. დ-ქემ» დირექტორის მიერ გადახდილ იქნა 64585 ლარი, რითაც სრულად დაიფარა ხსენებული ობიექტის აუქციონზე დაფიქსირებული ღირებულება. 2005 წლის 27 მაისს შპს «ბ. დ-ქემს» დირექტორის წარმომადგენლისათვის მოულოდნელად ცნობილი გახდა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 20 მაისის #184 ბრძანების თაობაზე, რომლის სარეზოლუციო ნაწილში მითითებულ იყო, რომ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს «ბ. დ-ქემს» შორის 2005 წლის 28 აპრილს გაფორმებული #1-5569 ხელშეკრულების 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტის მოთხოვნების შესრულებლობის გამო, ამ სამინისტროს მიერ ცალმხრივად უნდა მოშლილიყო ზემოაღნიშნული ხელშეკრულება; ცნობად იქნა მიღებული, რომ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს «ბ. დ-ქემს» შორის 2005 წლის 28 აპრილს გაფორმებული #1-5569 ხელშეკრულების 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტის მოთხოვნების შესრულებლობის გამო, ამ სამინისტროს მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, მყიდველს არ ენიჭებოდა საკუთრების უფლება ობიექტზე, არ უბრუნდებოდა შეტანილი ბე და არ აუნაზღაურდებოდა დანახარჯები.

მოსარჩელის მტკიცებით, მოგვიანებით მისთვის ასევე ცნობილი გახდა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 30 მაისის #197 ბრძანების თაობაზეც, რომლის სარეზოლუციო ნაწილში აღნიშნული იყო, რომ 2005 წლის 18 მაისს შპს «ბ. დ-ქემს» მიერ ბიუჯეტში გადახდილი 64585 ლარი უნდა ჩათვლილიყო არასწორად ჩარიცხულ თანხად; ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ეთხოვა, უბრუნველყო 64585 ლარის შპს «ბ. დ-ქემს» ანგარიშსწორების ანგარიშზე გადარიცხვა. ამდენად, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ ცალმხრივად მოშალა ამ სამინისტროსა და შპს «ბ. დ-ქემს» შორის 2005 წლის 28 აპრილს გაფორმებული #1-5569

ხელშეკრულება ქ. ბათუმში, ... ქ. #40-ში მდებარე არასაცხოვრებელი 259,9 კვ.მ-ისა და 378,41 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნასყიდობის თაობაზე, თითქოსდა შპს «ბ. დ-მის» მხრიდან ამ ხელშეკრულების 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტის მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო და მიიღო გადაწყვეტილება შპს «ბ. დ-მის» მიერ 2005 წლის 18 მაისს ბიუჯეტში გადახდილი 64585 ლარის ამავე საწარმოსათვის დაბრუნების თაობაზე, ხოლო 60600 ლარის დაბრუნებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ იგი ზეს წარმოადგენდა.

მოსარჩელის განმარტებით, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 20 მაისის #184 და 2005 წლის 30 მაისის #197 ბრძანებები იყო უკანონო. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს «ბ. დ-მის» შორის 2005 წლის 28 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტში მითითებული იყო მყიდველის ვალდებულებაზე, აუქციონზე შეძენილი სახელმწიფო ქონების საბოლოო ფასი გადაეხადა სააუქციონო ვაჭრობის ოქმის ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. გაუგებარი იყო, რატომ მიიჩნია ხსენებულმა სამინისტრომ აღნიშნული ხელშეკრულების მოცემული მოთხოვნა დარღვეულად, მაშინ, როდესაც სააუქციონო ვაჭრობის ოქმი მყიდველს არ ჩაჰბარებია და თუკი აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი სააუქციონო ვაჭრობის ოქმად მიიჩნევდა დოკუმენტს სახელწოდებით - «სააუქციონო ვაჭრობა ლოტი #13», აღნიშნული არასწორი იყო, რადგან მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ ტერმინი - «ლოტი» არ ცვლიდა ტერმინს - «ოქმი» და მათ სხვადასხვა სამართლებრივი დატვირთვა ჰქონდა. შესაბამისად, თუკი ხსენებული ხელშეკრულების 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, მყიდველს - შპს «ბ. დ-მის» აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო ფასი უნდა გადაეხადა სააუქციონო ვაჭრობის ოქმის ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, შესაბამისად, მოცემული ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო მას შემდეგ, რაც მას ჩაჰბარებოდა დოკუმენტი სახელწოდებით - «სააუქციონო ვაჭრობის ოქმი» და გამომდინარე იქიდან, რომ მას არ ჩაჰბარებია ამ სახელწოდების დოკუმენტი, შესაბამისად, არც იმავე ხელშეკრულების ზემოაღნიშნულ მუხლში მითითებული ვადის ათვლა დაწყებულა და ვერც ამ მუხლის მოთხოვნის შეუსრულებლობას ექნებოდა ადგილი. ამასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელი იყო საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის #414 ბრძანებულება «საქმის წარმოების ერთიანი წესების» დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ». ხსენებული წესების პირველ მუხლში მითითებული იყო, რომ «საქმის წარმოების ერთიანი წესები» იყო ნორმატიული ხასიათის დოკუმენტი და სავალდებულო შესასრულებლად სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმისა. ამ წესების პირველი თავის მიხედვით კი ოქმი იყო მმართველობითი დოკუმენტი და ხსენებულ თავში განთავსებული მე-20 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული იყო, რომ ოქმის ტექსტი შედგებოდა შესავალი და ძირითადი ნაწილებისაგან, შესავალ ნაწილში კი შეივსებოდა შემდეგი რეკვიზიტები: თავმჯდომარე, მდივანი, ესწრებოდნენ, დღის წესრიგი, ოქმის ბლანკზე ეს რეკვიზიტები შეიძლება დაბეჭდილი ფორმით ყოფილიყო. იმავე წესების 28-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული იყო ყველა სისტემის დოკუმენტის აუცილებელ რეკვიზიტებზე: დოკუმენტის ავტორი დაწესებულების დასახელება, დოკუმენტის ავტორი დაწესებულების კოდი, დოკუმენტის სახეობის ან დოკუმენტის უნიფიცირებული ფორმის (მათ შორის, სათაურის) სახელწოდება, ტექსტის სათაური, დოკუმენტის სახეობის კოდი და თარიღი. ამ წესების 27-ე მუხლში კი მითითებული იყო, რომ, როგორც წესი, დოკუმენტი უნდა გაფორმებულიყო ბლანკზე, რომელიც შეესაბამებოდა სახელმწიფო სტანდარტს, მას უნდა ჰქონოდა აუცილებელი რეკვიზიტების კომპლექსი და მათი განლაგების სტაბილური წესი. დასახელებული წესების 26-ე მუხლში აღნიშნული იყო, რომ დოკუმენტების გაფორმებისას საჭირო იყო წესების დაცვა, რომლებიც უზრუნველყოფდა მათ იურიდიულ ძალას.

მოსარჩელის მტკიცებით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელი იყო, რომ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ შპს «ბ. დ-მისთვის» გადაცემული დოკუმენტი სახელწოდებით - «სააუქციონო ვაჭრობა ლოტი #13» არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო სააუქციონო ვაჭრობის ოქმად, რადგან მის სახელწოდებაში არ იყო მითითებული, რომ იგი იყო სააუქციონო ვაჭრობის ოქმი, მას საერთოდ არ გააჩნდა შესავალი ნაწილი, რადგან მასში არ იყო აღნიშნული თავმჯდომარე, მდივანი, ვინ ესწრებოდა, დღის წესრიგი, ასევე მასში არ იყო მითითებული დოკუმენტის ავტორი დაწესებულების სახელწოდება, ანუ მასში არ იყო მითითებული, რომ მოცემული დოკუმენტი შედგენილი იყო სააუქციონო კომისიის მიერ («სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ» სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 31 მარტის #1-3/151 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, «გამყიდველი» ღია აუქციონის ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით, ქმნიდა მუდმივმოქმედ კომისიას). აღნიშნულ დოკუმენტზე თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი ისე აწერდნენ ხელს, რომ მასში არ იყო მითითებული, რისი თავმჯდომარის მოადგილე ან რისი მდივანი აწერდა მას ხელს. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის #414 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქმისწარმოების ერთიანი წესების» 26-ე მუხლის მიხედვით, დოკუმენტის გაფორმებისათვის საჭირო იყო წესების დაცვა, რომლებიც უზრუნველყოფდა მათ იურიდიულ ძალას. შესაბამისად, ზემოაღნიშნული დოკუმენტი სახელწოდებით - «სააუქციონო ვაჭრობა ლოტი #13» არ შეიძლება მიჩნეულიყო იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტად და მით უმეტეს, სააუქციონო ვაჭრობის ოქმად.

მოსარჩელის განმარტებით, «სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ» სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 31 მარტის #1-3/150 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის თანახმად, დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის მიღების მომენტიდან «მყიდველს» «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ოქმში მითითებულ საბანკო დაწესებულებაში უნდა შეეტანა ნაღდად ან გადარიცხვით ფულადი თანხა, რომელიც შეესატყვისებოდა მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს, ხოლო «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას მყიდველს საბოლოო თანხა უნდა დაეფარა არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადისა. გაუგებარი იყო, დოკუმენტში სახელწოდებით - «სააუქციონო ვაჭრობა ლოტი #13» სად მიეთითა, რომ იგი იყო აუქციონის შედეგების ოქმი, რომლის ჩაბარების დღიდანაც აითვლებოდა ფასის სრულად დაფარვის ვადა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელი იყო, რომ მოსარჩელის მარწმუნებლისთვის გადაცემული დოკუმენტი სახელწოდებით - «სააუქციონო ვაჭრობა ლოტი #13» არ შეიძლება მიჩნეულიყო არც სააუქციონო ვაჭრობის და არც აუქციონის შედეგების ოქმად და ასეთად იგი არც მის მარწმუნებელს მიუჩნევია, რაც იმას ნიშნავდა, რომ (არც ხელშეკრულებით და არც კანონით გათვალისწინებული) აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის ვადის ათვლა მისი მარწმუნებლის მიმართ არასოდეს დაწყებულა. შესაბამისად, მის მიერ დროულად იქნა დაფარული ნაყიდი ობიექტის ფასი და არ არსებობდა საფუძველი აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 20 მაისის #184 და 2005 წლის 30 მაისის #197 ბრძანებების გამოცემისა და ზემოხსენებული ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლისათვის. აღნიშნული კი ნიშნავდა იმას, რომ დასახელებული ბრძანებები ეწინააღმდეგებოდა კანონს, რაც, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის თანახმად, იყო მათი ბათილობის საფუძველი. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 20 მაისის #184 ბრძანება გამოიგა მას შემდეგ, რაც მოსარჩელის მარწმუნებლის მიერ დაფარულ იქნა ნაყიდი ქონების მთლიანი ღირებულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 20 მაისის #184 და 2005 წლის 30 მაისის #197 ბრძანებების ბათილად ცნობა, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დავალდებულება, შპს «ბ. დ-ძეზე» გაცემა საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა ქ. ბათუმში, ... ქ. #40-ში მდებარე არასაცხოვრებელ 259,9 კვ.მ-სა და 378,41 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 12 ივლისის განჩინებით მოსარჩელე შპს «ბ. დ-ძის» განცხადება დაკმაყოფილდა; შეჩერდა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 20 მაისის #184 და 2005 წლის 30 მაისის #197 ბრძანებების მოქმედება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე შპს «ბ. დ-ძის» სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 20 მაისის #184 და 2005 წლის 30 მაისის #197 ბრძანებები; აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაევალა შპს «ბ. დ-ძეზე» გაცემა საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა ქ. ბათუმში, ... ქ. #40-ში მდებარე არასაცხოვრებელ 259,9 კვ.მ-სა და 378,41 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალების მიხედვით, დადგინდა, რომ 2005 წლის 8 აპრილს შპს «ბ. დ-ძე» მონაწილეობა მიიღო სააუქციონო ვაჭრობაში, სადაც სხვა ქონებასთან ერთად, გასაყიდად გამოტანილი იყო ქ. ბათუმში, ... ქ. #40-ში მდებარე არასაცხოვრებელი 259,9 კვ.მ 378,41 კვ.მ მიწის ნაკვეთთან ერთად. შპს «ბ. დ-ძის» მიერ წინასწარ, ზეს სახით იქნა გადახდილი 60600 ლარი. რადგან ამ სააუქციონო ვაჭრობაში მონაწილეობდა მხოლოდ შპს «ბ. დ-ძე», გამარჯვებაც დარჩა მას. 2005 წლის 11 აპრილს შპს «ბ. დ-ძეს» გადაეცა დოკუმენტი სახელწოდებით - «სააუქციონო ვაჭრობა ლოტი #13». 2005 წლის 20 აპრილს ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე რიცხული ქონების, არასაცხოვრებელი ფართებისა და ობიექტების პრივატიზების შედეგად, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესებით, მიღება-ჩაბარების მუდმივმოქმედ კომისიასა და შპს «ბ. დ-ძის» წარმომადგენელს შორის გაფორმდა აუქციონზე გატანილი ქონების მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო 2005 წლის 28 აპრილს აღნიშნულ ქონებაზე აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს «ბ. დ-ძის» შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელეს სააუქციონო ვაჭრობის ოქმის ჩაბარებიდან 20 დღის განმავლობაში უნდა გადაეხადა აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო ფასი და მოპასუხეს, თანხის სრულად დაფარვის შემთხვევაში, უნდა მიეცა მისთვის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. 2005 წლის 18 მაისს შპს «ბ. დ-ძის» მიერ სრულად დაიფარა ხსენებული ობიექტის აუქციონზე დაფიქსირებული ღირებულება. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 20 მაისის #184 ბრძანებით მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება მოიშალა ცალმხრივად, ამ ხელშეკრულების 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევის გამო, ხოლო იმავე მინისტრის 2005 წლის 30 მაისის #197 ბრძანებით შპს «ბ. დ-ძის» მიერ ბიუჯეტში გადახდილი 64585 ლარი ჩაითვალა არასწორად გადარიცხულ თანხად და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ეთხოვა აღნიშნული თანხის მისთვის უკან დაბრუნება. დასახელებულ ბრძანებებს არ დაეთანხმა შპს «ბ. დ-ძის» წარმომადგენელი და მოითხოვა მათი გაუქმება.

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ 2005 წლის 28 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების მოშლა იყო უკანონო, ვინაიდან მოპასუხემ ვერ დაასაბუთა მოსარჩელისთვის სააუქციონო ვაჭრობის ოქმის ჩაბარების ფაქტი და აქედან გამომდინარე, ამ ხელშეკრულების პირობები არ დარღვეულა. რაც შეეხებოდა მის მიერ ჩაბარებულ დოკუმენტს, რომლის სახელწოდება იყო - «სააუქციონო ვაჭრობა ლოტი #13», იგი არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო ხსენებულ ხელშეკრულებაში მითითებულ ოქმად, ვინაიდან არ აკმაყოფილებდა ასეთი ოქმის შედგენისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ, აღნიშნულ დოკუმენტს საერთოდ არ გააჩნდა შესავალი ნაწილი, მასში არ იყო აღნიშნული თავმჯდომარე, მდივანი, დამსწრეები და სხვა, ასევე, მასში არ იყო მითითებული, რომ იგი შედგენილი იყო სააუქციონო კომისიის მიერ და იგი იყო ის დოკუმენტი, ანუ ოქმი, რომლის ჩაბარებიდანაც უნდა მომხდარიყო ვადის ათვლა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის წარმომადგენლის მითითება სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლებოდა, თუკი ვალდებულება არ შესრულდებოდა ისეთი გარემოების გამო, რაც მოვალის ბრალით არ იყო გამოწვეული.

საქალაქო სასამართლო ასევე დაეთანხმა მოსარჩელის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხის მიერ 2005 წლის 20 და 30 მაისს გამოცემული #184 და #197 ბრძანებები ეწინააღმდეგებოდა სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მოთხოვნებსაც, კერძოდ, თუ მოპასუხე ფიქრობდა, რომ შპს «ბ. დ-ემ» არ შეასრულა ვალდებულება და არ გადაიხდა ზემოხსენებული ობიექტის საბოლოო ღირებულება, იგი ვალდებული იყო, იმავე ხელშეკრულების მოშლამდე მიეცა მოსარჩელისათვის ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადა ან გაფრთხილება, რაც არ გაუკეთებია. როგორც საქმის მასალებით იყო დადგენილი, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ ხელშეკრულება მოშალა მას შემდეგ, რაც ვალდებულება უკვე შესრულებული იყო, რითაც დაარღვია «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, პრივატიზებისას მყიდველზე საკუთრების უფლება გადადიოდა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდეგ, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა კი გაცივმოდა თანხის მთლიანად გადახდის დადასტურებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ამდენად, საგვებით მართებული იყო მოსარჩელის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ 2005 წლის 18 მაისის შემდეგ, როცა მან გადაიხდა ობიექტის საბოლოო ღირებულება, მოპასუხე ვალდებული იყო გაეცა მასზე საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ კი, ნაცვლად საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისა, მოშალა შესაბამისი ხელშეკრულება.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ, ვინაიდან შესაბამისი ხელშეკრულებაში მითითებული იყო სააუქციონო ვაჭრობის ოქმის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში ობიექტის საბოლოო ფასის გადახდაზე და მოსარჩელის მიერ დარღვეულ იქნა აღნიშნული მოთხოვნა, ამიტომ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ვალდებული იყო მოეშალა შესაბამისი ხელშეკრულება. აღნიშნულს საქალაქო სასამართლო არ დაეთანხმა თუნდაც იმ მოტივით, რომ თუ მოპასუხე მიიჩნევდა, რომ ვალდებულების შესრულების ვადა დადგა 2005 წლის 11 მაისს და მოსარჩელემ დაარღვია ვალდებულება, კერძოდ, არ გადაიხდა საბოლოო ფასი დადგენილ ვადაში, მაშინ ხელშეკრულება უნდა მოეშალა მაშინვე. მიუხედავად ამისა, მოპასუხემ ხელშეკრულება მოშალა მხოლოდ 2005 წლის 20 მაისს, როცა ვალდებულება შესრულებული იყო და შპს «ბ. დ-ემს» უკვე გადახდილი ჰქონდა ნაღდი ანგარიშსწორებით ქონების საბოლოო ფასი. გარდა ამისა, მოპასუხემ ვერ დაასაბუთა, რომ ამ ხნის განმავლობაში მან განიცადა რაიმე ზიანი. სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელი იყო, თუ ვალდებულების დარღვევა იყო უმნიშვნელო, მით უმეტეს, ამ შემთხვევაში დგინდებოდა, რომ მოსარჩელეს არ დაურღვევია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, კერძოდ, ამ ხელშეკრულების 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტის მოთხოვნა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგებოდა და ის პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავდა მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანდა გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს «ბ. დ-მის» მოთხოვნა იყო კანონიერი და არსებობდა მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც სარჩელი უნდა დაკმაყოფილებულიყო: ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 20 მაისის #184 და 2005 წლის 30 მაისის #197 ბრძანებები და აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დავალებოდა, გაეცა შპს «ბ. დ-მეზე» საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა ქ. ბათუმში, ... ქ. #40-ში მდებარე არასაცხოვრებელ 259,9 კვ.მ-სა და 378,41 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2005 წლის 8 აპრილს შპს «ბ. დ-ემ» მონაწილეობა მიიღო აუქციონში, სადაც სხვა ქონებასთან ერთად, გასაყიდად გამოტანილი იყო ქ. ბათუმში, ... ქ. #40-ში მდებარე არასაცხოვრებელი 259,9 კვ.მ 378,41 კვ.მ მიწის ნაკვეთთან ერთად. სააუქციონო ვაჭრობაში მხოლოდ შპს «ბ. დ-ემ» მონაწილეობდა და გამარჯვებულად იგი გამოცხადდა, რომელმაც წინასწარ, ბეს სახით გადაიხადა 60600 ლარი. გასაყიდი ობიექტის ფასმა შეადგინა 68554 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. 2005 წლის 11 აპრილს შპს «ბ. დ-ის» დირექტორმა ჩაიბარა დოკუმენტი სახელწოდებით - «სააუქციონო ვაჭრობა ლოტი #13», ანუ აუქციონის ოქმი. 2005 წლის 20 აპრილს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო 2005 წლის 28 აპრილს აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს «ბ. დ-ემს» შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის 2.1 მუხლის თანახმად, მყიდველი ვალდებული იყო, სააუქციონო ვაჭრობის ოქმის ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში გადაეხადა აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო ფასი. შპს «ბ. დ-ემ» კი სააუქციონო ვაჭრობის ოქმის ჩაბარებიდან დარჩენილი თანხა, სახელმწიფო ქონების საბოლოო ფასი - 64585 ლარი გადაიხადა 2005 წლის 18 მაისს, ანუ 1 თვის დაგვიანებით. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 20 მაისის #184 ბრძანებით მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება მოიშალა ცალმხრივად, ამ ხელშეკრულების 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევის გამო. ამავე ხელშეკრულების 2.1 მუხლის მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, ამ სამინისტროს მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, მყიდველს არ ეძლეოდა საკუთრების უფლება ობიექტზე, არ უზრუნველბოდა შეტანილი ბე და არ აუნაზღაურდებოდა დანახარჯები. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 30 მაისის #197 ბრძანებით შპს «ბ. დ-ის» მიერ ბიუჯეტში გადახდილი 64585 ლარი ჩაითვალა არასწორად გადარიცხულ თანხად და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ეთხოვა აღნიშნული თანხის უკან დაბრუნება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ დავის გადაწყვეტისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო კოდექსის ნორმები და განმარტა, რომ მოცემული დავა უნდა გადაწყვეტილიყო სპეციალური კანონის - «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის საფუძველზე, რომელიც არეგულირებდა სახელმწიფო ქონების აუქციონის, კონკურსისა და პირდაპირი მიყიდვის წესებს. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტზე და განმარტა, რომ აუქციონი ჩატარდა 2005 წლის 8 აპრილს. ამდენად, თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო 2005 წლის 8 მაისამდე, იმის მიუხედავად, სააუქციონო ოქმი იქნებოდა თუ არა ჩაბარებული მყიდველისთვის, რაც წარმოადგენდა ხსენებული კანონის იმპერატიულ მოთხოვნას და ამ ვადის დარღვევა არ წარმოშობდა იმ სამართლებრივ შედეგს, რაც აუქციონის ჩატარებას უკავშირდებოდა.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სააუქციონო ვაჭრობის ლოტი #13 შეიცავდა ყველა იმ სავალდებულო მონაცემს, რაც აუცილებელი იყო სააუქციონო ვაჭრობის ოქმისათვის. იგი გაფორმებული იყო სპეციალურ ბლანკზე, რომელიც შეიქმნა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ. ამდენად, მოსარჩელის მოსაზრება, რომ, რადგან «სააუქციონო ვაჭრობის ოქმს» ეწერა «ლოტი», იგი არ შეიძლება ჩათვლილიყო სააუქციონო ვაჭრობის ოქმად, იყო უსაფუძვლო. ამ სამინისტროს მიერ სიტყვა «ლოტი» გამოიყენებოდა, როგორც სპეციალური ტერმინი, რომელიც არ ცვლიდა სიტყვა «ოქმის» დანიშნულებას, მით უფრო, რომ 2005 წლის 11 აპრილს შესაბამის ქურნალში ხელის მოწერისას შპს «ბ. დ-ის» წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჩაიბარა სააუქციონო ვაჭრობის ოქმი.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, შპს «ბ. დ-ის» მიერ დარღვეული იყო «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და 2005 წლის 28 აპრილის ზემოხსენებული ხელშეკრულების 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტის მოთხოვნები, რის გამოც არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა შპს «ბ. დ-ემ», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 აპრილის განჩინებით შპს «ბ. დ-ის» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დარღვეული იყო მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის მოთხოვნები. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, სწორი შეფასება არ მისცა საქმის მასალებს, სრულყოფილად არ იქნა გამოკვლეული საქმის მასალები და დადგენილი ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრული იყო, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება იყო შეუძლებელი.



საკასაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი იყო დასაბუთებული, კერძოდ, საკასაციო სასამართლომ «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განმარტა, რომ საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზება ხორციელდებოდა საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო კოდექსის, ამ კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა სახელმწიფო ქონების პრივატიზების მოწესრიგებისათვის სპეციალურ კანონთან – «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონთან ერთად, რომელიც არეგულირებდა სახელმწიფო ქონების აუქციონის, კონკურსისა და პირდაპირი მიყიდვის წესებს, შესაბამისი სამართალურთიერთობის გადასაწყვეტად ასევე დაადგინა სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენება, რომელიც აწესრიგებდა პრივატიზების შედეგად მიღებული ქონების ხელშეკრულების ფორმით გადაცემის უფლებას, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება ამ ნაწილში მიღებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევით.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე გადაწყვიტა მოცემული დავა, რომ არ გამოუკვლეოდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ, «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას მყიდველს თანხა უნდა დაეფარა არა უმეტეს 30 კალენდარულ დღეში. მითითებული ნორმით დადგენილი არ იყო პირობა, თუ საიდან უნდა მომხდარიყო თანხის საბოლოო დაფარვისათვის გათვალისწინებული 30-დღიანი ვადა. ამასთან, მხარეთა შორის გაფორმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, საბოლოო ანგარიშსწორებისათვის მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განისაზღვრა 30-დღიანი ვადაში თანხის საბოლოო დაფარვა, რომლის ათვლა იწყებოდა მყიდველისათვის სააუქციონო ოქმის ჩაბარებიდან.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ესარგებლა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით და მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე დაედგინა: თუ როდის გახდა ცნობილი აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის შპს «ბ. დ-მის» მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების ღირებულების გადახდის ფაქტი, კერძოდ, როდის აისახა ამ სამინისტროს ანგარიშზე შპს «ბ. დ-მის» მიერ შეძენილი ქონების ღირებულების გადახდის საბოლოო თანხა, რამდენადაც, ამ საქმის მასალების თანახმად, შპს «ბ. დ-მის» მიერ აღნიშნული თანხა გადახდილი იყო 2005 წლის 18 მაისს, ხოლო ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, სამინისტროს მიერ ხელშეკრულება ცალმხრივად მოიშალა იმავე წლის 20 მაისს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოეკვლია, 2005 წლის 20 მაისს, როცა გამოიცა ბრძანება ხელშეკრულების მოშლის თაობაზე, ამ სამინისტროსათვის ცნობილი იყო თუ არა მყიდველის მიერ შეძენილი ქონების საბოლოო ღირებულების გადახდის ფაქტი, ასევე უნდა ემსჯელა, იმ პირობებში, თუ აღნიშნული სამინისტრო თვლიდა, რომ შპს «ბ. დ-მის» მიერ ვალდებულების შესრულების ათვლის მომენტი დაიწყო დოკუმენტის – «სააუქციონო ვაჭრობა ლოტი #13» ჩაბარებიდან, ანუ 2005 წლის 11 მაისიდან, რატომ განხორციელდა იმავე სამინისტროს მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლა 2005 წლის 20 მაისს – მხოლოდ 9 დღის შემდეგ.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ემსჯელა იმ გარემოებაზე, თუ როდის იქნა პირი ქონების მყიდველის და როდის აუქციონზე გამარჯვებულის სტატუსს, რამდენადაც სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულებით» აღნიშნული ტერმინები გამოიწველი იყო და მათ სხვადასხვა სამართლებრივი დატვირთვა ჰქონდა, კერძოდ, ამ დებულების 4.5 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ქონება ითვლებოდა გაყიდულად იმ მონაწილეზე, ვინც გამყიდველს შესთავაზებდა ყველაზე მაღალ ფასს, ხოლო 7.6 მუხლის მიხედვით, აუქციონის შედეგების დამტკიცების შესახებ «გამყიდველის» გადაწყვეტილების მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში «გამარჯვებული» ვალდებული იყო «გამყიდველთან» გაეფორმებინა ხელშეკრულება (რომელიც უნდა დამოწმებულიყო სანოტარო წესით) ქონების მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად, რომელიც წარმოადგენდა მის განუყოფელ ნაწილს. ხსენებული დებულების 7.9 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლება «გამყიდველიდან» «მყიდველს» გადაეცემოდა სახელმწიფო ქონების ღირებულების სრულად დაფარვის შემდეგ, შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მომენტიდან, ხოლო უძრავი ქონების პრივატიზებისას საკუთრების უფლება გადადიოდა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

საკასაციო სასამართლომ არადამაჯერებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა «ლოტი #13-ის» სააუქციონო ვაჭრობის ოქმად მიჩნევის თაობაზე, არასაკმარისი მოტივაციის გამო. სასამართლოს შეფასება უნდა მიეცა მტკიცებულებისთვის – «სააუქციონო ვაჭრობა ლოტი #13-თვის» – იგი ფორმალურად წარმოადგენდა თუ არა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ» დებულების 4.6 მუხლით რეგლამენტირებულ სააუქციონო ვაჭრობის ოქმს, რომლის თანახმად, სააუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დგებოდა ოქმი, რომელშიც ასახული უნდა ყოფილიყო ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები, ამასთან, ოქმი ინომრებოდა ქრონოლოგიური მიმდევრობით, მას ხელს აწერდა მყიდველი, «მეაუქციონე», მდივანი და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე.

საკასაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა კასაციის მოტივი იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის დარღვევით, რამდენადაც სააპელაციო სასამართლომ ისე გააუქმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომ სარეზოლუციო ნაწილში არ ჩამოყალიბდა, დაკმაყოფილდა თუ არა შპს «ბ. დ-მის» სარჩელი, მაშინ, როცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში უნდა ყოფილიყო სასამართლოს დასკვნა სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად, ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, რაც მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ უგულებელყოფილი იყო.

ამასთან, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასაციის მოტივი მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის გამოუყენებლობის თაობაზე სადავო აქტის გამოცემისას და სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე განმარტა, რომ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს წარმოადგენდა წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენდა მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მომხდარიყო კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემცობი წესების დადგენა. ამასთან, იმავე კოდექსის 342-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უშუალოდ მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს უპირატესობა ენიჭებოდა სტანდარტულ პირობებთან შედარებით.

საკასაციო სასამართლომ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების» 5.1 მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის მიღების მომენტიდან «მყიდველს» «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ოქმში მითითებულ საბანკო დაწესებულებაში უნდა შეეტანა ნაღდად ან გადარიცხვით ფულადი თანხა, რომელიც შეესატყვისებოდა მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს. ამასთან, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტით დადგინდა პირობა, რომლითაც მყიდველის ვალდებულებად განისაზღვრა აუქციონზე შეძენილი სახელმწიფო ქონების საბოლოო ფასის გადახდა სააუქციონო ვაჭრობის ოქმის ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, რაც წარმოადგენდა ამ ხელშეკრულების კონტრაქტებს შორის შეთანხმების შედეგად განსაზღვრულ პირობას. იმავე დებულების მე-6 მუხლის თანახმად, თუ გამყიდველი პირობების გარეშე გამოცხადებულ აუქციონში დადგენილ ვადებში არ გადაიხდიდა ქონების გამოსასყიდ თანხას, მას არ გადაეცემოდა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი ბე არ უბრუნდებოდა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, როგორც სპეციალური კანონმდებლობით - სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების» 5.1 მუხლით, ასევე, მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების პირობით, აუქციონზე გასაყიდი ქონების ღირებულების გადახდის ვადად განისაზღვრა სააუქციონო ოქმის ჩაბარებიდან 30 დღე. ამდენად, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნდა ვალდებულება, სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის თანახმად, მყიდველისთვის - შპს «ბ. დ-მისათვის» ვალდებულების შესრულებისათვის მიეცა დამატებითი ვადა ან გაფრთხილება ხელშეკრულების პირობების შესრულებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად, სახეზე იყო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება იყო შეუძლებელი. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით, კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოეკვლია ზემოთ მითითებული გარემოებები და დავა გადაეწყვიტა მოქმედი საპროცესო და მატერიალური კანონმდებლობის შესაბამისად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინებით აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიიჩნია, რომ 2005 წლის 8 აპრილს შპს «ბ. დ-მემ» მონაწილეობა მიიღო სააუქციონო ვაჭრობაში, სადაც სხვა ქონებასთან ერთად, გასაყიდად გამოტანილი იყო ქ. ბათუმში, ... ქ. #40-ში მდებარე არასაცხოვრებელი 259,9 კვ.მ 378,41 კვ.მ მიწის ნაკვეთთან ერთად. სააუქციონო ვაჭრობაში მხოლოდ შპს «ბ. დ-მემ» მონაწილეობდა და გამარჯვებულად იგი გამოცხადდა, რომელმაც წინასწარ, ბეს სახით გადაიხადა 60600 ლარი. გასაყიდი ობიექტის ფასმა შეადგინა 68554 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. 2005 წლის 11 აპრილს შპს «ბ. დ-მემ» ჩაიბარა დოკუმენტი სახელწოდებით - «სააუქციონო ვაჭრობა ლოტი #13». 2005 წლის 20 აპრილს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო 2005 წლის 28 აპრილს აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს «ბ. დ-მეს» შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის

2.1 მუხლის თანახმად, მყიდველი ვალდებული იყო, სააუქციონო ვაჭრობის ოქმის ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში გადაეხადა აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო ფასი. შპს «ბ. დ-მემ» კი, სააუქციონო ვაჭრობის ოქმის ჩაბარებიდან, დარჩენილი თანხა, სახელმწიფო ქონების საბოლოო ფასი – 64585 ლარი გადაიხადა 2005 წლის 18 მაისს. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 20 მაისის #184 ბრძანებით მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება მოიშალა ცალმხრივად, ამ ხელშეკრულების 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევის გამო. იმავე ხელშეკრულების 2.1 მუხლის მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, აღნიშნული სამინისტროს მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, მყიდველს არ ენიჭებოდა საკუთრების უფლება ობიექტზე, არ უზრუნველბოდა შეტანილი ბე და არ აუნაზღაურდებოდა დანახარჯები.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლომ «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განმარტა, რომ საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზება ხორციელდებოდა საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო კოდექსის, ამ კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა სახელმწიფო ქონების პრივატიზების მოწესრიგებისათვის სპეციალურ კანონთან – «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონთან ერთად, რომელიც არეგულირებდა სახელმწიფო ქონების აუქციონის, კონკურსისა და პირდაპირი მიყიდვის წესებს, შესაბამისი სამართალ-ურთიერთობის გადასაწყვეტად დაადგინა ასევე სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენება, რომლებიც აწესრიგებდა პრივატიზების შედეგად მიღებული ქონების ხელშეკრულების ფორმით გადაცემის უფლებას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში უშუალოდ მხარეთა შორის ჩამოყალიბდა წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულების შეთანხმებული პირობები, რასაც უპირატესობა ენიჭებოდა სტანდარტულ პირობებთან შედარებით. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების» 5.1 მუხლის მიხედვით, დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის მიღების მომენტიდან «მყიდველს» «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ოქმში მითითებულ საბანკო დაწესებულებაში უნდა შეეტანა ნაღდი ანგარიშსწორებით ან გადარიცხვით ფულადი თანხა, რომელიც შეესატყვისებოდა მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს. ამასთან, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტით დადგინდა პირობა, რომლითაც მყიდველის ვალდებულებად განისაზღვრა აუქციონზე შეძენილი სახელმწიფო ქონების საბოლოო ფასის გადახდა სააუქციონო ვაჭრობის ოქმის ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, რაც წარმოადგენდა ამ ხელშეკრულების კონტრაპენტებს შორის შეთანხმების შედეგად განსაზღვრულ პირობას. იმავე დებულების მე-6 მუხლის თანახმად, თუ გამყიდველი პირობების გარეშე გამოცხადებულ აუქციონში დადგენილ ვადებში არ გადაიხდიდა ქონების გამოსასყიდ თანხას, მას არ გადაეცემოდა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი ბე არ უზრუნველბოდა. შესაბამისად, როგორც სპეციალური კანონმდებლობით – სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების» 5.1 მუხლით, ასევე მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობით, აუქციონზე გასაყიდი ქონების ღირებულების გადახდის ვადად განისაზღვრა სააუქციონო ოქმის ჩაბარებიდან 30 დღე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ «სააუქციონო ვაჭრობა ლოტი #13» არ აკმაყოფილებდა ოქმისათვის სავალდებულო მოთხოვნებს და ამასთან, ხსენებული ოქმი შპს «ბ. დ-მეს» არ ჩაბარებია, რადგან სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ» დებულების 4.6 მუხლით რეგლამენტირებული სააუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დგებოდა ოქმი, რომელშიც ასახული უნდა ყოფილიყო ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები, იგი ინომრებოდა ქრონოლოგიური მიმდევრობით, მას ხელს აწერდა მყიდველი, «მეაუქციონე», მდივანი და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსის 2007 წლის 7 ივნისის წერილიდან ირკვეოდა, რომ შპს «ბ. დ-მის» მიერ ბიუჯეტში გადახდილი 64585 ლარი სახელმწიფო ხაზინის ერთიანი შემოსავლების ანგარიშზე აისახა 2005 წლის 18 მაისს. აქედან გამომდინარე, ცხადი იყო, რომ ამ სამინისტროსათვის შპს «ბ. დ-მის» მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების ღირებულების გადახდის ფაქტი ცნობილი იყო 2005 წლის 18 მაისს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს «ბ. დ-მეს» ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ან სპეციალური კანონების მოთხოვნები არ დაურღვევია და ყველა პირობა შესრულებული ჰქონდა ნაკლის გარეშე, ამასთან, მას აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო ფასი გადახდილი ჰქონდა ოქმის ჩაბარების გარეშე, რის გამოც «ლოტი #13-ის» ხელმოწერიდან ვადის ათვლა იყო უკანონო.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ ხელშეკრულება მოშალა მას შემდეგ, რაც ვალდებულება შესრულებული იყო, რითაც დაარღვია «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, პრივატიზებისას მყიდველზე საკუთრების უფლება გადადიოდა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდეგ, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა კი გაიცემოდა თანხის მთლიანად გადახდის დადასტურებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ამდენად, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი აჭარის ა/რ ფინანსთა

და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 20 მაისის #184 და 2005 წლის 30 მაისის #197 ბრძანებები და აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დავალებოდა, შპს «ბ. დ-ძეუ» გაეცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა ქ. ბათუმში, ... ქ. #40-ში მდებარე 259,9 კვმ არასაცხოვრებელ ფართსა და 378,41 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი აღნიშნავს, რომ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს «ბ. დ-ძეუ» შორის გაფორმებულ იქნა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის 2.1 მუხლის თანახმად, «მყიდველმა» აიღო ვალდებულება, გადაეხადა ობიექტის საბოლოო გამოსასყიდი ღირებულება სააუქციონო ვაჭრობის ოქმის ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. შპს «ბ. დ-ძეუ» სააუქციონო ვაჭრობის ოქმი ჩაჭარდა 2005 წლის 11 აპრილს. მყიდველის მიერ ნასყიდობის საგნის ღირებულება გადახდილ იქნა 2005 წლის 18 მაისს. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 20 მაისის #184 ბრძანებით ცალმხრივად იქნა მოშლილი აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს «ბ. დ-ძეუ» შორის 2005 წლის 28 აპრილს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება. მყიდველს არ გადაეცა საკუთრების უფლება ობიექტზე, არ დაუბრუნდა შეტანილი ბე და არ უნაზღაურდა გაწეული დანახარჯები. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 30 მაისის #197 ბრძანებით შპს «ბ. დ-ძის» მიერ ბიუჯეტში გადახდილი 64585 ლარი ჩაითვალა არასწორად გადახდილ თანხად და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ეთხოვა თანხის დაბრუნების უზრუნველყოფა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ, როგორც «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტითა და «სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულებით», ასევე მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებით, პრივატიზებული ობიექტის ღირებულების გადახდის ვადად განისაზღვრა სააუქციონო ვაჭრობის ოქმის ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღე, წინააღმდეგ შემთხვევაში «მყიდველს» არ გადაეცემოდა საკუთრების უფლება ობიექტზე, არ უბრუნდებოდა ბე და არ უნაზღაურდებოდა გაწეული ხარჯები. კასატორი სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ მოსაზრებას ეთანხმება და აღნიშნავს, რომ ძირითად სადავო მომენტს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოება - სააუქციონო ვაჭრობის ოქმი არ ჩაჭარებია შპს «ბ. დ-ძის», ვინაიდან «სააუქციონო ვაჭრობის ლოტი #13» არ აკმაყოფილებს სააუქციონო ვაჭრობის ოქმის სავალდებულო, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კასატორის მტკიცებით, შპს «ბ. დ-ძის» მიერ ქ. ბათუმში, ... ქ. #40-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის შესყიდვის შესახებ განაცხადის წარდგენისას განმცხადებლის მიერ ხელმოწერით იქნა დადასტურებული, რომ იგი გაეცნო «სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულებით» დადგენილ სანქციებს, კერძოდ, იმ გარემოებას, რომ დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის მიღების მომენტიდან «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უნდა მოეხდინა ობიექტის საბოლოო გამოსასყიდი ღირებულების გადახდა. ამასთან, იგი ასევე გაეცნო «სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების» მე-4 მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილ მოთხოვნას იმის შესახებ, რომ აუქციონში გამარჯვებულმა საჯარო ვაჭრობის დამთავრების შემდგომ უნდა წარუდგინოს აუქციონის მდივანს «მონაწილის ბილეთი» და ხელი მოაწეროს აუქციონის შედეგების ოქმს. ასევე, იგი ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაეცნო ამ დებულების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილ მოთხოვნას იმის შესახებ, რომ თუკი აუქციონის შედეგების ოქმზე ხელს არ მოაწერს გამარჯვებული, მას ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი ბე არ უბრუნდება. კანონშესაბამო სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ სააუქციონო ვაჭრობის ამსახველი დოკუმენტი ვერ ჩაითვლება სააუქციონო ვაჭრობის ოქმად, ვინაიდან იგი არ აკმაყოფილებს «სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ» დებულების მოთხოვნებს და შესაბამისად, ამ დასკვნიდან გამომდინარე, შპს «ბ. დ-ძის» არ ჩაჭარებია აღნიშნული დოკუმენტი. კასატორი აღნიშნავს, რომ შპს «ბ. დ-ძის» სადავოდ არ გაუხდია სააუქციონო ვაჭრობის ამსახველი დოკუმენტის კანონშესაბამისობა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, არ ჰქონდა უფლება, ემსჯელა სააუქციონო ვაჭრობის ამსახველი დოკუმენტის კანონიერებაზე და უფლებამოსილი იყო მხოლოდ დაედგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, ჩაიბარა, თუ არა შპს «ბ. დ-ძის» შეთანხმებული სააუქციონო ვაჭრობის ოქმი, დოკუმენტი, რომელსაც, როგორც «გამყიდველმა», ასევე «მყიდველმა» უწოდეს - სააუქციონო ვაჭრობის ოქმი #13. აღნიშნულის გასარკვევად კი, უნდა გამოკვლეულიყო «მყიდველის» დამოკიდებულება მის მიერ ჩაბარებულ აქტთან. ამასთან, «ბ. დ-ძის» წარმომადგენელმა 2005 წლის 11 აპრილს შესაბამის ჟურნალში ხელმოწერით დაადასტურა და დაეთანხმა იმ ფაქტს, რომ მის მიერ ჩაბარებული დოკუმენტი წარმოადგენდა სააუქციონო ვაჭრობის #13 ოქმს.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას არ შეაფასა ის გარემოება, რომ «სააუქციონო ვაჭრობა ლოტი #13» დამტკიცებულია აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 11 აპრილის #115 ბრძანებით, რომლის პირველი პუნქტით დამტკიცდა 2005 წლის 8 აპრილს ჩატარებული სააუქციონო ვაჭრობის #13 ოქმი. აღნიშნული კი ცალსახად მიუთითებს,

რომ «სააუქციონო ვაჭრობა ლოტი #13» სააუქციონო ვაჭრობის ოქმია. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ ხსენებული ოქმი არ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. სააპელაციო სასამართლოს კონკრეტულად არ მიუთითებია, კანონის რა მოთხოვნას არ აკმაყოფილებს აღნიშნული ოქმი. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 31 მარტის #1-3/151 ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების» მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სააუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელშიც ასახული უნდა იყოს ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები, ოქმი ინომრება ქრონოლოგიური მიმდევრობით, მას ხელს აწერს «მყიდველი», «მეაუქციონე», მდივანი და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე. თუკი სასამართლო გულისხმობდა იმ მომენტს, რომ ამ ოქმს ხელს არ აწერს სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, პრივატიზების მუდმივმოქმედი კომისიის რეგლამენტის 2.2 მუხლის თანახმად, კომისიის თავმჯდომარის არყოფნის დროს მის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ხსენებულ დოკუმენტს ოქმი #13-ის ნაცვლად, აწერია ლოტი #13, აღნიშნული ვერ შეცვლის მის დანიშნულებას.

კასატორის მტკიცებით, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ მოსარჩელესთან დადებული ხელშეკრულება მოშალა მას შემდეგ, რაც შესაბამისი ვალდებულება უკვე შესრულებული იყო, რითაც დაარღვია «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები. «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის, «სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების», ასევე, მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების 2.1 მუხლის თანახმად, «მყიდველის» ვალდებულებას წარმოადგენდა, სააუქციონო ვაჭრობის ოქმის ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გადაეხადა ობიექტის საბოლოო გამოსასყიდი ღირებულება. სააუქციონო ვაჭრობის ოქმი «მყიდველს» ჩაჰბარდა 2005 წლის 11 აპრილს. შესაბამისად, შპს «ბ. დ-მის» ვალდებულებას წარმოადგენდა, ნასყიდობის საგნის საბოლოო გამოსასყიდი ღირებულება გადაეხადა 2005 წლის 11 მაისამდე, აღნიშნული ვალდებულება კი არ შესრულებულა. «მყიდველის» მიერ თანხის გადახდა მოხდა მხოლოდ 2005 წლის 18 მაისს. აქედან გამომდინარე, არ შესრულებულა აღებული ვალდებულება ნასყიდობის საგნის ღირებულების სააუქციონო ვაჭრობის ოქმის ჩაბარებიდან 30 კალენდარულ დღეში გადახდის შესახებ. მოპასუხე სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლა იმიტომ კი არ მოხდა, რომ შესაბამისი თანხა არ იყო გადახდილი, არამედ იმიტომ, რომ 30 დღეში არ მოხდა თანხის გადახდა.

კასატორის მტკიცებით, წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი ექვემდებარება დასაშვებად ცნობას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 დეკემბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 24 დეკემბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 21 თებერვლამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 21 თებერვლის განჩინებით აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 3 აპრილს, 12.00 საათზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შემოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2005 წლის 8 აპრილს შპს «ბ. დ-მემ» მონაწილეობა მიიღო აუქციონში, სადაც სხვა ქონებასთან ერთად, გასაყიდად გამოტანილი იყო ქ. ბათუმში, ... ქ. #40-ში მდებარე არასაცხოვრებელი 259,9 კვ.მ 378,41 კვ.მ მიწის ნაკვეთთან ერთად. სააუქციონო ვაჭრობაში მხოლოდ შპს «ბ. დ-მე» მონაწილეობდა და გამარჯვებულად იგი გამოცხადდა, რომელმაც წინასწარ, ბეს სახით გადაიხადა 60600 ლარი. გასაყიდი ობიექტის ფასმა შეადგინა 68554 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. 2005 წლის 11 აპრილს შპს «ბ. დ-მის» დირექტორმა ჩაიბარა დოკუმენტი სახელწოდებით - «სააუქციონო ვაჭრობა ლოტი #13». 2005 წლის 20 აპრილს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო 2005 წლის 28 აპრილს აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს «ბ. დ-მეს» შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება. შპს «ბ. დ-მემ» სააუქციონო ვაჭრობის ოქმის ჩაბარებიდან დარჩენილი თანხა, სახელმწიფო ქონების საბოლოო ფასი - 64585 ლარი გადაიხადა 2005 წლის 18 მაისს. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 20 მაისის #184 ბრძანებით ამ სამინისტროსა და შპს «ბ. დ-მეს» შორის 2005 წლის 28 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულება მოიშალა ცალმხრივად,

ამ ხელშეკრულების 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევის გამო. ამავე ხელშეკრულების 2.1 მუხლის მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, ამ სამინისტროს მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, მყიდველს არ ეძლეოდა საკუთრების უფლება ობიექტზე, არ უზრუნველბოდა შეტანილი ბე და არ უნაზღაურდებოდა დანახარჯები. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 30 მაისის #197 ბრძანებით შპს «ბ. დ-ძის» მიერ ბიუჯეტში გადახდილი 64585 ლარი ჩაითვალა არასწორად გადარიცხულ თანხად და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ეთხოვა აღნიშნული თანხის უკან დაბრუნება.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში მხარეთა შორის სადავო საკითხს წარმოადგენს, ჩაიბარა თუ არა შპს «ბ. დ-ძემ» სააუქციონო ვაჭრობის ოქმი, ხოლო «სააუქციონო ვაჭრობა ლოტი #13» წარმოადგენს თუ არა სააუქციონო ვაჭრობის ოქმს და შესაბამისად, დაიცვა თუ არა შპს «ბ. დ-ძემ» თანხის გადახდის ერთთვისანი ვადა. ძირითად სადავო მომენტს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოება – სააუქციონო ვაჭრობის ოქმი არ ჩაჰბარებია შპს «ბ. დ-ძეს», ვინაიდან «სააუქციონო ვაჭრობა ლოტი #13» არ აკმაყოფილებს სააუქციონო ვაჭრობის ოქმის სავალდებულო, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზება ხორციელდებოდა საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო კოდექსის, ამ კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე. ამდენად, კანონმდებელმა სახელმწიფო ქონების პრივატიზების მოწესრიგებისათვის სპეციალურ კანონთან – «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონთან ერთად, რომელიც არეგულირებდა სახელმწიფო ქონების აუქციონის, კონკურსისა და პირდაპირი მიყიდვის წესებს, შესაბამისი სამართალურთიერთობის გადასაწყვეტად დაადგინა ასევე სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენება. «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას მყიდველს საბოლოო თანხა უნდა დაეფარა არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადისა. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 31 მარტის #1-3/151 ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების» მე-7 მუხლის მიხედვით, დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის მიღების მომენტიდან «მყიდველს» «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ოქმში მითითებულ საბანკო დაწესებულებაში უნდა შეეტანა ნაღდად ან გადარიცხვით ფულადი თანხა, რომელიც შეესატყვისებოდა მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, მართალია, «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი ადგენდა სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას მყიდველის მიერ საბოლოო თანხის დაფარვას არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადისა, მაგრამ იმავე კანონით არ იყო განსაზღვრული, თუ რა მომენტიდან უნდა მომხდარიყო ამ 30-დღიანი ვადის ათვლა სააუქციონო ვაჭრობის გამართვის დღიდან, სააუქციონო ვაჭრობის ოქმის ჩაბარებიდან თუ სხვა პერიოდიდან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 31 მარტის #1-3/151 ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების» 4.5 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ქონება ითვლებოდა გაყიდულად იმ მონაწილეზე, ვინც გამყიდველს შესთავაზებდა ყველაზე მაღალ ფასს, ხოლო 7.6 მუხლის მიხედვით, აუქციონის შედეგების დამტკიცების შესახებ «გამყიდველის» გადაწყვეტილების მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში «გამარჯვებული» ვალდებული იყო, «გამყიდველთან» გაეფორმებინა ხელშეკრულება (რომელიც უნდა დამოწმებულიყო სანოტარო წესით), ქონების მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად, რომელიც წარმოადგენდა მის განუყოფელ ნაწილს. ხსენებული დებულების 7.9 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლება «გამყიდველიდან» «მყიდველს» გადაეცემოდა სახელმწიფო ქონების ღირებულების სრულად დაფარვის შემდეგ, შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მომენტიდან, ხოლო უძრავი ქონების პრივატიზებისას საკუთრების უფლება გადადიოდა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. იმავე დებულების 4.6 მუხლით რეგლამენტირებული იყო სააუქციონო ვაჭრობის ოქმი, რომლის თანახმად, სააუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დგებოდა ოქმი, რომელშიც ასახული უნდა ყოფილიყო ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები, ამასთან, ოქმი ინომრებოდა ქრონოლოგიური მიმდევრობით, მას ხელს აწერდა «მყიდველი», «მეაუქციონე», მდივანი და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტით დადგინდა პირობა, რომლითაც მყიდველის ვალდებულებად განისაზღვრა აუქციონზე შეძენილი სახელმწიფო ქონების საბოლოო ფასის გადახდა სააუქციონო ვაჭრობის ოქმის ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, რაც წარმოადგენდა ამ ხელშეკრულების კონტრაჰენტებს შორის შეთანხმების შედეგად განსაზღვრულ პირობას.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოადგენილ დოკუმენტში სახელწოდებით – «სააუქციონო ვაჭრობა ლოტი #13», საერთოდ არ არის მითითებული, რომ ხსენებული დოკუმენტი არის სააუქციონო ვაჭრობის ოქმი, მასში არც კი არის ნახსენები სიტყვა – «ოქმი», რომლის ჩაბარების დღიდანაც აითვლებოდა აუქციონზე რეალიზებული ობიექტის ფასის სრულად დაფარვის ვადა, ანუ აღნიშნული დოკუმენტის ჩაბარებისას, იმავე დოკუმენტით

კასატორისთვის გარკვევით და ნათლად არ განუმარტავთ, რომ ამავე დოკუმენტის ჩაბარებიდან (თუ იგი მიიჩნეოდა საერთოდ სააუქციონო ვაჭრობის ოქმად) უნდა გადაეხადა დანარჩენი თანხა ერთი თვის ვადაში, მით უმეტეს, რომ «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონით არ იყო დადგენილი დანარჩენი თანხის გადახდის ვადის ათვლის მომენტი, ხოლო მხარეთა შორის 2005 წლის 28 აპრილს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების 2.1 მუხლით განისაზღვრული 30-დღიანი ვადის ათვლის მომენტი არ იყო განსაზღვრული «სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ» კანონით.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ კანონშესაბამო სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ სააუქციონო ვაჭრობის ამსახველი დოკუმენტი ვერ ჩათვლება სააუქციონო ვაჭრობის ოქმად, ვინაიდან იგი არ აკმაყოფილებს «სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ» დებულების მოთხოვნებს და შესაბამისად, ამ დასკვნიდან გამომდინარე, შპს «ბ. დ-ძეს» არ ჩაჰბარებია აღნიშნული დოკუმენტი. კასატორი აღნიშნავს, რომ შპს «ბ. დ-ძეს» სადავოდ არ გაუხდია სააუქციონო ვაჭრობის ამსახველი დოკუმენტის კანონშესაბამისობა და შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, არ ჰქონდა უფლება, ემსჯელა სააუქციონო ვაჭრობის ამსახველი დოკუმენტის კანონიერებაზე და უფლებამოსილი იყო მხოლოდ დაედგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, ჩაიბარა თუ არა შპს «ბ. დ-ძემ» შეთანხმებული სააუქციონო ვაჭრობის ოქმი, დოკუმენტი, რომელსაც, როგორც «გამყიდველმა», ასევე «მყიდველმა» უწოდა – სააუქციონო ვაჭრობის ოქმი #13.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 3 აპრილის სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს «ბ. დ-ძეს» გააჩნია სუპერმარკეტი, ასევე, კაფე-ბარები, ახორციელებს სხვა საქმიანობასაც, მასში დასაქმებულია უამრავი ადამიანი და იმისათვის, რომ საფრთხე არ შეექმნას მის ფუნქციონირებას, მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოცემული საქმის შედეგს და იგი მზადაა საქმე დაასრულოს მორიგებით, რა მიზნითაც 100000 ლარსაც კი სთავაზობს აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, თუმცა უშედეგოდ.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ შპს «ბ. დ-ძე» ყველანაირად ცდილობდა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან მოცემული დავის მორიგებით დასრულებას, რათა იგი გადაწყვეტილიყო უშუალოდ მხარეთა მიერ დამოუკიდებლად და არა სასამართლოს მეშვეობით.

კასატორი მიუთითებს, რომ «მყიდველის» მიერ თანხის გადახდა მოხდა მხოლოდ 2005 წლის 18 მაისს და აქედან გამომდინარე, არ შესრულებულა აღებული ვალდებულება ნასყიდობის საგნის ღირებულების სააუქციონო ვაჭრობის ოქმის ჩაბარებიდან 30 კალენდარულ დღეში გადახდის შესახებ, მოპასუხე სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მოშლა იმიტომ კი არ მოხდა, რომ შესაბამისი თანხა არ იყო გადახდილი, არამედ იმიტომ, რომ 30 დღეში არ მოხდა ამ თანხის გადახდა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შპს «ბ. დ-ძესთან» დადებული ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლა უდავოა განხორციელდა სწორედ იმ მოტივით, რომ მოსარჩელემ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ გადაიხადა დანარჩენი თანხა – 64585 ლარი, ანუ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ შპს «ბ. დ-ძეს» გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გამოცემისას უკვე სრულად ჰქონდა გადახდილი აუქციონზე შეძენილი სახელმწიფო ქონების მთლიანი ღირებულება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ლ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლება-მოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. იმავე კოდექსის მე-7 მუხლის (საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა) მე-2 ნაწილის მიხედვით, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს დისკრეციული უფლებამოსილების რეალიზების დროს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის დაცვა, რომლის შინაარსი მდგომარეობს საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერ გაწონასწორებასა და მათ მართლზომიერ დაბალანსებაში. ამასთან, დაუშვებელია სხვა ნებისმიერი ორგანოსა თუ პირის ჩარევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკუთარი, მისთვის კანონმდებლობით ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, რასაც შეიძლება, საბოლოო ჯამში, შედეგად მოჰყვეს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოსთვის მინიჭებული თავისუფალი მოქმედების შეზღუდვა და აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებაში მისთვის დაბრკოლებების შექმნა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლით რეგლამენტირებული საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი, რაც იმაში გამოიხატა, რომ, ჯერ ერთი, კონკრეტული შემთხვევისთვის განისაზღვრა საკმაოდ დიდი ოდენობით ბეს თანხა – 60600 ლარი (თითქმის გასაყიდი ობიექტის ღირებულების ნახევარი), მეორეც, კასატორმა ვერ დაასაბუთა, თუ რა საჯარო ინტერესი იყო ჩადებული იმაში, რომ შპს «ბ. დ-ძეს» ცალმხრივად შეწყვეტოდა მასთან

დადებული ხელშეკრულება, ანუ რატომ მიანიჭა მან უპირატესობა საჯარო ინტერესს კერძო ინტერესთან შედარებით და ამის შესახებ საერთოდ არ აღუნიშნავს გასაჩივრებულ აქტებში. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამის შედეგად საჯარო ინტერესს დაუსაბუთებელი უპირატესობა მიენიჭა კერძო ინტერესთან მიმართებაში, მით უმეტეს, რომ მხარეთა შორის 2005 წლის 28 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში მყიდველს ბე არ უზრუნდება. გარდა ამისა, გაუგებარია, თუ რა ზიანი მიადგება საჯარო ინტერესს მოსარჩელესთან დადებული ხელშეკრულების შესრულებით, მით უმეტეს, რომ მოსარჩელე სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებით იხდის 100000 ლარს მორიგების პირობით, რაც ჯამში შეადგენს 225185 ლარს. აღნიშნული თანხა გაცილებით მეტია კონკრეტული პრივატიზებული სახელმწიფო ქონების მთლიან ღირებულებაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული აქტების გამოცემისას აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სრულყოფილად არ გამოუკვლეოდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და სათანადოდ არ შეუფასებია ისინი, რის შედეგადაც გამოსცა დაუსაბუთებელი აქტები. კასატორმა - აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ საკასაციო სასამართლოს სხდომებზეც ვერ დაასაბუთა აღნიშნული საკითხი და ვერ დაადასტურა შესაბამისი საჯარო ინტერესის არსებობა, რომელიც გაამართლებდა დასახელებული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას, ანუ დაამტკიცებდა კასატორის მოქმედების მართლზომიერებას და გასაჩივრებული აქტების კანონიერებას, რაც ამავე აქტების ბათილად ცნობის საფუძველია. ამდენად, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ არ გამოიკვლია ის ძირითადი გარემოებები, რომელთა შეფასებაც მის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება, რის გამოც მან აღნიშნულის გარდა ასევე უნდა გამოიკვლიოს და იმსჯელოს იმავე უფლებამოსილებაში შემავალი, მოსარჩელეზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემაზეც.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, რომელთა მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების, ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე, ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლში მოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სავალდებულო წინაპირობები, რომლებიც მათი რეალიზების თვალსაზრისით, ამ მუხლში არა კუმულაციური, არამედ ალტერნატიული სახით არის წარმოდგენილი, ამასთან, არსებით დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, რომელთა თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონის მოთხოვნის შესასრულებლად და იმისათვის, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს კანონშესაბამისი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მეტად მნიშვნელოვანი და სავალდებულო წინაპირობაა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გაანალიზება, შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება ამ გარემოებათა შეფასების შედეგად, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ადმინისტრაციული ორგანოს დაუსაბუთებელი დასკვნის გაკეთება. ამასთან, მისაღები ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით პირის სამართლებრივი მდგომარეობის შესაძლო გაუარესების შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს ამ პირს და უზრუნველყოს ადმინისტრაციულ წარმოებაში მისი მონაწილეობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური



ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გადაწყვიტოს სადავო საკითხი, რის გამოც გამოყენებული უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს «ბ. დ-მის» სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ - სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნება ცნობილი აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 20 მაისის #184 და 2005 წლის 30 მაისის #197 ბრძანებები და აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაევალება საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, მათ შორის შესაძლოა მან გასცეს საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს «ბ. დ-მის» სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნეს ცნობილი აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2005 წლის 20 მაისის #184 და 2005 წლის 30 მაისის #197 ბრძანებები და აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

#ბს-964-925-(კ-07)

28 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ჩინჩალაძე,**

**ლ. ლაზარაშვილი**

**სარჩელის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 29 ნოემბერს შპს «აგრო-ტეკმა» სარჩელით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების - ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობისა და იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის 2005 წლის 21 იანვრის #11 გადაწყვეტილებისა და სამოქალაქო კოდექსის 593-ე-595-ე მუხლების საფუძველზე ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობასა და შპს «აგრო-ტეკს» შორის დაიდო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 7 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულება 25 წლის ვადით, რომელიც რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში 2005 წლის 22 თებერვალს. იჯარით რიცხულ მიწაზე შპს «აგრო-ტეკის» მიერ ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, აღდგა კომუნიკაციები, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, გარემონტდა ცალკეული შენობები, აღდგა 6000 კვ.მ-მდე სათბური, განხორციელდა ერთწლიანი კულტურების მოყვანა.

მოსარჩელის განმარტებით, იგი ვარაუდობდა საიჯარო ტერიტორიის სრულ რეაბილიტაციას, რასაც სჭირდებოდა 3000000 ლარი და ამ მიზნით მოიძია ინვესტორი, რომელიც დათანხმდა პარტნიორული ურთიერთობის საფუძველზე გაეწია ფინანსური დახმარება. აღნიშნული თანამშრომლობით განხორციელდებოდა წარმატებული ბიზნესი და დასაქმდებოდა 50-მდე ადამიანი. ინვესტორმა სხვა დოკუმენტებთან ერთად მოითხოვა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საიჯარო ურთიერთობის შესახებ, რისთვისაც მოსარჩელემ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურს, სადაც მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობას 2005 წლის 27 დეკემბრის #163 გადაწყვეტილებით გაუუქმებია 2005 წლის 21 იანვრის #11 გადაწყვეტილება.

მოსარჩელემ განმარტა, რომ ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის 2005 წლის 27 დეკემბრის #163 გადაწყვეტილება ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის 2005 წლის 21 იანვრის #11 გადაწყვეტილების გაუქმების ნაწილში, როგორც კანონის უხეში დარღვევით მიღებული, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი. ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობასა და შპს «აგრო-ტეკს» შორის გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების 4.2 პუნქტი მეიჯარეს აკისრებდა ვალდებულებას, წერილობით შეეტყობინებინა მოიჯარისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის, აგრეთვე, გაუქმების შესახებ, რაც იმავე გამგეობას არ გაუკეთებია. გარდა ამისა, ხსენებული ხელშეკრულების გაუქმების დროს ძალაში იყო «სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ» კანონი, რომლის მე-9 და მე-10 მუხლების მიხედვით, ამ შპს-ს უფლება ჰქონდა, პირდაპირი პრივატიზების წესით მოეხდინა აღნიშნული მიწის საკუთრებაში აღრიცხვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილი იყო, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს ან დარღვეული იყო მისი მომზადების ან გამოცემის კანონით დადგენილი წესი. მოცემულ შემთხვევაში, შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე მოამზადა და გამოსცა აქტი, რომლითაც გააუქმა 2005 წლის 21 იანვრის #11 გადაწყვეტილება და მოსარჩელესთან დადებული ხელშეკრულება, რომ მოსარჩელეს, როგორც დაინტერესებულ პირს, არ აცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და შესაბამისად, არ მისცა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო მასში და წარმოედგინა თავისი მოსაზრება, რითაც დაირღვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის წესი, რაც მოცემული იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე-99-ე მუხლებში. იმავე კოდექსის მე-60<sup>2</sup> მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელი იყო კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი აქტის გაუქმება, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ.

მოსარჩელის მტკიცებით, ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის 2005 წლის 21 იანვრის #11 გადაწყვეტილების მიღებისას დაცული იყო კანონმდებლობის მოთხოვნები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა: ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის 2005 წლის 27 დეკემბრის #163 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა შპს «აგრო-ტეკს» საიჯარო ხელშეკრულების გაუქმების ნაწილში, მისი ძალაში შესვლის დღიდან; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის დავალდებულება საიჯარო ურთიერთობის რეგისტრაციის განახლების უზრუნველყოფის შესახებ.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 8 დეკემბრის საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხე ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის უფლებამონაცვლედ ჩართულ იქნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით შპს «აგრო-ტეკს» სარჩელი დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის 2005 წლის 27 დეკემბრის #163 გადაწყვეტილება შპს «აგრო-ტეკს» ნაწილში და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობის რეგისტრაციის განახლების უზრუნველყოფა.

რაიონულმა სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის 2005 წლის 21 იანვრის #11 გადაწყვეტილების საფუძველზე ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობასა და შპს «აგრო-ტეკს» შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, 25 წლის ვადით, რომელიც რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში 2005 წლის 22 თებერვალს. აღნიშნული მიწის ნაკვეთი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2007 წლის 27 მარტის წერილის შესაბამისად, არ იყო ჩარიცხული მიწის სარეგისტრაციო ფონდში. აჭარის ა/რ მთავრობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ხელვაჩაურის რ-ნის მიწის რეგისტრაციის ფონდი არ დამტკიცებულა. სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 1998 წლის 20 აგვისტოს #2-372 ბრძანებით დამტკიცდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საიჯარო ხელშეკრულების ტიპური ფორმა. აღნიშნული ფორმა არ ითვალისწინებდა საიჯარო ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას მიწის სარეგისტრაციო ფონდში ჩარიცხვის მოტივით, რამდენადაც არ იყო დასრულებული მიწის რეგისტრაცია, რაც მოცემულ შემთხვევაში ჩატარდა, მაშინ, როცა ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. ... ტერიტორიაზე იყო ისეთი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, რომლებიც უმიწო ან მცირემიწიან კომლებზე არ გაცემულა და იმ დროისათვის მიწის რეგისტრაცია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საერთოდ შეჩერებული იყო.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული აქტით დაირღვა ასევე მხარეთა შორის დადებული იჯარის ხელშეკრულების 4.1 პუნქტის «ე» ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, მეიჯარეს

უფლება ჰქონდა, მოიჯარის თანხმობით შეეწყვიტა ხელშეკრულება. მოცემულ შემთხვევაში შპს «აგრო-ტეკის» თანხმობა საიჯარო ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ არ ყოფილა. უფრო მეტიც, ამის შესახებ მოსარჩელისათვის არ უცნობებიათ და აღნიშნული მისთვის ცნობილი გახდა საჯარო რეესტრის საშუალებით.

რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილი იყო, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს ან არსებითად დარღვეული იყო მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები; ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. დასახელებულ შემთხვევაში, სახეზე იყო გასაჩივრებული აქტის შპს «აგრო-ტეკის» საიჯარო ხელშეკრულების ნაწილში ბათილად ცნობის საფუძველი, რაც, თავის მხრივ, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენდა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აგვისტოს განჩინებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აჭარის ა/რ მიწის რეფორმის საკოორდინაციო კომისიის 2005 წლის 5 ივნისის #3 ოქმით ქობულეთისა და ხელვაჩაურის რ-ნების გამგეობებს დაევალიათ მიწის რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებით, კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე მათ მიერ დადებული საიჯარო ხელშეკრულებების გაუქმების უზრუნველყოფა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინოდა მიიჩნია, რომ აჭარის ა/რ მიწის რეფორმის საკოორდინაციო კომისიის 2005 წლის 5 ივნისის #3 ოქმის საფუძველზე გაუქმდა შპს «აგრო-ტეკთან» დადებული საიჯარო ხელშეკრულება.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დასახელებული ოქმით გამგეობას დაევალია კანონმდებლობის საფუძველზე საიჯარო ხელშეკრულებების გაუქმება. აღნიშნულის გათვალისწინებით, გამგეობას უნდა დაეცვა სამოქალაქო კოდექსის მე-5, მე-6 და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 თავებით დადგენილი წესები, რაც მოცემულ შემთხვევაში არ შესრულებულა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლის საფუძველზე, ხელშეკრულებიდან გასვლა ხდებოდა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით. ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობას არ უცნობებია შპს «აგრო-ტეკისათვის» ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ. იმავე კოდექსის 581-ე მუხლის მიხედვით, იჯარის ხელშეკრულების მიმართ მოქმედებდა ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-606-ე მუხლებით სხვა რამ არ იყო დადგენილი. სამოქალაქო კოდექსის 561-ე მუხლით ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის ვადა იყო სამი თვე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ დარღვეული იყო აღნიშნული ნორმების მოთხოვნებიც.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ხელვაჩაურის მიწის სარეფორმო ფონდი არ იყო დამტკიცებული და შესაბამისად, შპს «აგრო-ტეკისათვის» იჯარით გადაცემული მიწის ნაკვეთი არ ჩარიცხულა სარეფორმო ფონდში. ამდენად, საჯარო ინტერესი - მიწის რეფორმის განხორციელება - მოცემულ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების ბათილად გამოცხადებას აწესრიგებდა სამოქალაქო კოდექსი. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტმა ვერ მიუთითა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველზე. იმავე კოდექსის 70-ე მუხლის მე-2 ნაწილით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება ასევე ბათილი იყო იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში, რომლის საფუძველზედაც დაიდო ხელშეკრულება. შპს «აგრო-ტეკთან» დადებული საიჯარო ხელშეკრულების საფუძველი იყო ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის 2005 წლის 21 იანვრის #11 გადაწყვეტილება, რაც სადავო 2005 წლის 27 დეკემბრის #163 გადაწყვეტილებით გაუქმდა.

იმის გათვალისწინებით, რომ დასახელებული სადავო აქტის საფუძველზე სარეგისტრაციო სამსახურმა გააუქმა ჩანაწერი იჯარის უფლების შესახებ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2005 წლის 21 იანვრის #11 გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი, რისი კანონიერი საფუძველიც ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობას არ გააჩნდა. ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის 2005 წლის 21 იანვრის #11 გადაწყვეტილება წარმოადგენდა კანონიერ აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის საფუძველზეც შპს «აგრო-ტეკმა» მოიპოვა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებით დაიკანონა იჯარის უფლება

სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7 ჰა მიწის ნაკვეთზე. აპელანტი ვერ მიუთითა ხსენებული აქტის ბათილად ცნობის კანონიერ საფუძველზე. ერთადერთ საფუძველს, რითაც აპელანტი შეეცადა დაესაბუთებინა 2005 წლის 27 დეკემბრის #163 გადაწყვეტილების კანონიერება, წარმოადგენდა მიწის რეფორმის განხორციელებისადმი სახელმწიფოს მხრიდან დაცვის ინტერესი, რაც შესაბამისი მტკიცებულებებით ვერ იქნა გამყარებული.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების არგუმენტაციას სადავო აქტის მომზადებისა და გამოცემის წესის დარღვევის შესახებ და მიუთითა, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად შპს «აგრო-ტეკსი» მიწვევა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 და 98-ე მუხლების თანახმად, სავალდებულო იყო. ამდენად, ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის 2005 წლის 27 დეკემბრის #163 გადაწყვეტილების კანონის მოთხოვნათა დარღვევით გამოცემა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, მისი ბათილად ცნობის საფუძველი იყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აგვისტოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი აღნიშნავს, რომ «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გაცემის შესახებ, რ-ნის გამგეობის მიერ 1999-2005 წლებში მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმების შესახებ» ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის 2005 წლის 27 დეკემბრის #163 გადაწყვეტილებით გაუქმდა 1999-2005 წლებში იმავე რ-ნის გამგეობის მიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით მიღებული რ-ნის გამგეობის გადაწყვეტილებები, მათ შორის, ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის 2005 წლის 21 იანვრის #11 გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც, მოსარჩელე შპს «აგრო-ტეკსა» და ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობას შორის დაიდო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულება... თემის საკრებულოს ტერიტორიაზე, მანამდე შპს «მებოსტნეზე» იჯარით გაცემული მიწებიდან, 7 ჰა მიწის ნაკვეთზე, 25 წლის ვადით.

კასატორის განმარტებით, ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის 2005 წლის 27 დეკემბრის #163 გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1992 წლიდან 1998 წლის დასრულებამდე სათანადოდ არ ჩატარებულა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმა. «სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ» კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე» 2004 წლის 26 ნოემბრის კანონით დადგინდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ კომლებზე (ოჯახებზე), რომელთაც კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკუთვნოდათ, მაგრამ არ გადასცემიათ მიწის ნაკვეთები, კანონმდებლობის შესაბამისად, მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემა 2006 წლის 31 დეკემბრამდე. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, დასახელებულ პერიოდში, ფაქტობრივად, სავალდებულო იყო, განხორციელებულიყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმა. იმ პერიოდისათვის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის განხორციელებისათვის ხელვაჩაურის რ-ნში არ იყო საკმარისი რაოდენობის სამართლებრივად დაუტვირთავი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რაც საბოლოოდ შეუძლებელს ხდიდა ამ რ-ნში მიწის რეფორმის ჩატარებას. აღნიშნულ გარემოებათა მხედველობაში მიღებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა განხორციელებულიყო იმ სახელმწიფო მიწის ნაკვეთების გამოთავისუფლება და მიწის სარეფორმო ფონდში ჩარიცხვა, რომლებიც დატვირთული იყო საიჯარო ურთიერთობებით. აღნიშნულის შესახებ იმსჯელა აჭარის ა/რ მიწის რეფორმის საკოორდინაციო კომისიამ.

კასატორის მტკიცებით, აჭარის ა/რ მიწის რეფორმის საკოორდინაციო კომისიამ 2005 წლის 5 ივლისის #2 სხდომის ოქმით მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ქობულეთისა და ხელვაჩაურის რ-ნების გამგეობებს დროულად უნდა უზრუნველყოთ აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რაიონულ სამმართველოებთან ერთად მიწის რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებით, კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე მათ მიერ დადებული საიჯარო ხელშეკრულებების გაუქმება, აგრეთვე, კონტროლი გაეწიათ შპს «სახელმწიფო მეურნეობების» მიერ გაფორმებული საქვეიჯარო ხელშეკრულებების გაუქმებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებისათვის. აღნიშნულ გარემოებათა მხედველობაში მიღებით, მოსარჩელე შპს «აგრო-ტეკსა» და ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობას შორის დადებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულების 3.11 პუნქტი ითვალისწინებდა მოიჯარის ვალდებულებას, იჯარით აღებული მიწის ფართობის მეიჯარისათვის ვადაზე ადრე დაბრუნების შესახებ, სახელმწიფო საჭიროებიდან გამომდინარე. ამასთან, აღნიშნული ხელშეკრულების მესამე თავის 3.4 და 3.5 პუნქტებში მითითებულია იმ პირობებზე, როდესაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ხორციელდება საიჯარო მიწის ამოღება და განმარტებულია შემდგომი ღონისძიებების შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა იმავე რ-ნის გამგეობის 2005 წლის 27 დეკემბრის #163 გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა შპს «აგრო-ტეკსა» და ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობას შორის დადებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის ხელშეკრულება.

კასატორი განმარტავს, რომ, ვინაიდან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და უშუალოდ ხელვაჩაურის რ-ნში, მიმდინარე პერიოდისათვისაც სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო ვერ ჩატარდა მიწის რეფორმა და აღნიშნულის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს რ-ნის მცირემიწიანობა, დასახელებული საფუძვლით სადავო მიწის ნაკვეთი შესაძლებელია ჩაირიცხოს მიწის სარეფორმო ფონდში. აქედან გამომდინარე, მიწის ნაკვეთი არ უნდა დატვირთულიყო რაიმე უფლებით და იგი უნდა წარმოადგენდეს თავისუფალ მდგომარეობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის მიერ ზემოაღნიშნული საიჯარო ურთიერთობა შეწყვეტილ იქნა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საიჯარო წლის დამთავრების პერიოდისთვის.

კასატორი აღნიშნავს, რომ დასახელებულ შემთხვევაში, ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის 2005 წლის 27 დეკემბრის #163 გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ადგილი ჰქონდა საზოგადოებრივი და სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიების განხორციელების აუცილებლობას - მიწის რეფორმის ჩატარებას, მაგრამ საკმარისი რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების არქონის და წინამდებარე მნიშვნელობის ყოფითი პრობლემების არსებობით, მიმდინარე პერიოდამდე კვლავ ვერ ხორციელდება აჭარის ა/რ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო უსაფუძვლოდ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და არ იმსჯელა სააპელაციო საჩივარში დასახელებულ შემდეგ გარემოებებზე: უპირველეს ყოვლისა, თავად ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობასა და შპს «აგრო-ტექს» შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ თუ ადგილი ექნება არსებითი მნიშვნელობის სახელმწიფო საჭიროებას, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული საიჯარო ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს, ხოლო თავად ხელშეკრულება მოიჯარეს ავალდებულებს, დაუბრუნოს მესაკუთრეს საიჯარო ქონება. სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა და არ შეაფასა ზემოაღნიშნული სამართლებრივი გარემოება და უსაფუძვლოდ განმარტა, რომ რ-ნის გამგეობის მოქმედება აღნიშნული საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტასთან დაკავშირებით, უკანონო იყო.

კასატორის მტკიცებით, უსაფუძვლო და კანონსაწინააღმდეგოა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობას ზემოაღნიშნული საიჯარო ურთიერთობა უნდა შეეწყვიტა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის წესების გათვალისწინებით და აღნიშნული ხელშეკრულების მოშლის სამთვიანი ვადის დაცვით. კასატორმა სააპელაციო სასამართლოს განუმარტა, რომ რ-ნის გამგეობის მიერ აღნიშნული საიჯარო ურთიერთობა შეწყვეტილი იქნა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საიჯარო წლის დამთავრების პერიოდისათვის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საიჯარო ხელშეკრულებების შეწყვეტასთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად.

კასატორის განმარტებით, უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის მიერ არ იქნა დასაბუთებული, თუ რა იყო აღნიშნული საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი. ზემოხსენებულთან დაკავშირებით, როგორც აღინიშნა, წინამდებარე საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს აჭარის ა/რ საზოგადოებრივი და სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიების განხორციელების აუცილებლობა - მიწის რეფორმის ჩატარება. აჭარის ა/რ კანონმდებლობით განსაზღვრულ პერიოდში ვერ განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმით გათვალისწინებული ღონისძიებების დასრულება მიმდინარე პერიოდამდე. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე შესაძლებელია კვლავ განხილულ იქნეს მიწის რეფორმის გაგრძელების საკითხი და შესაბამისად, სავალდებულო გახდეს გარკვეული რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სარეფორმო ფონდში ჩასარიცხად განსაზღვრა. აღნიშნულის მხედველობაში მიღებით, თუ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები არ იქნება თავისუფალ (სამართლებრივად დაუტვირთავ) მდგომარეობაში, კვლავ სახეზე იქნება ის სამართლებრივი პრობლემები, რაც წლების განმავლობაში ხელს უშლიდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიწის რეფორმის ჩატარებას. ამასთან, ერთმნიშვნელოვნად უსაფუძვლო და უკანონოა სააპელაციო სასამართლოს განმარტება იმის შესახებ, რომ ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობას არ ჰქონდა კანონიერი საფუძველი შპს «აგრო-ტექს» სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 7 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გაცემის შესახებ ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის 2005 წლის 21 იანვრის #11 გადაწყვეტილების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, ბათილად ცნოს მის მიერ ადრე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. გამომდინარე აღნიშნულიდან, ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის მოქმედება ხსენებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, სრულებით შეესაბამება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს.

კასატორი მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა და არასწორად განმარტა კანონი.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა და არასწორად გამოიყენა ის კანონები, რომლითაც დაასაბუთა თავისი განჩინება. სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ

იმჯგელა სააპელაციო საჩივარში წარდგენილ და განალიზებულ ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობასა და შპს «აგრო-ტექს» შორის დადებული ხელშეკრულების 3.11, 3.4 და 3.5 პუნქტებში მითითებულ იმ პირობებზე, როდესაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ხორციელდება საიჯარო მიწის ამოღება (აღნიშნული საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა). სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე (სასამართლომ არ იმჯგელა და არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება). ამასთან, სააპელაციო სასამართლომ სრულიად უგულვებელყო მეიჯარის, ანუ საიჯარო ქონების მესაკუთრის საჯარო ინტერესები - მიწის რეფორმის განხორციელების შესახებ და უსაფუძვლო გარემოებებზე მითითებით, უარი უთხრა აპელანტს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2007 წლის 19 დეკემბრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 7 თებერვალს, 12.00 საათზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის (უფლებამონაცვლე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) 2005 წლის 21 იანვრის #11 გადაწყვეტილებით გადაწყდა შპს «აგრო-ტექს» სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებიდან 25 წლის ვადით, იჯარით 7 ჰა მიწის ფართობის გაცემა ... თემის საკრებულოს ტერიტორიაზე ადრე შპს «მებოსტნე» იჯარით გაცემული მიწებიდან და ხელვაჩაურის რ-ნის სოფლის მეურნეობის სამმართველოს დაევალა შპს «აგრო-ტექთან» საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურში მისი რეგისტრაცია. ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის (უფლებამონაცვლე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) 2005 წლის 21 იანვრის #11 გადაწყვეტილების საფუძველზე ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობასა (უფლებამონაცვლე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) და შპს «აგრო-ტექს» შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, 25 წლის ვადით, რომელიც რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურში 2005 წლის 22 თებერვალს. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გამცემი კომისიის 2004 წლის 2 დეკემბრის #29 ოქმის მიხედვით, დადგინდა ხელვაჩაურის რ-ნის ... თემის საკრებულოს შპს «მებოსტნის» სახელზე რიცხული 7 ჰა მიწის ნაკვეთის 25 წლის ვადით იჯარით გადაცემა შპს «აგრო-ტექისთვის» და იჯარის ყოველწლიური გადასახადის თანხა განისაზღვრა 570 ლარით. ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის (უფლებამონაცვლე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) 2005 წლის 27 დეკემბრის #163 გადაწყვეტილებით გაუქმდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე იჯარით გაცემასთან დაკავშირებით ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის (უფლებამონაცვლე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მათ შორის, ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის (უფლებამონაცვლე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) 2005 წლის 21 იანვრის #11 გადაწყვეტილება. აჭარის ა/რ მიწის რეფორმის საკოორდინაციო კომისიის 2005 წლის 5 ივნისის #2 სხდომის ოქმით ქობულეთისა და ხელვაჩაურის რ-ნების გამგეობებს დაევალოთ აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რაიონულ სამმართველოებთან ერთად, მიწის რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებით, კანონმდებლობის შესაბამისად, დროულად უზრუნველყონ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე მათ მიერ დადებული საიჯარო ხელშეკრულებების გაუქმება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობასა (უფლებამონაცვლე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) და შპს «აგრო-ტექს» შორის დადებული იჯარის ხელშეკრულების მე-3 თავის პირველი პუნქტის «ზ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, მოიჯარეს უფლება აქვს, ამავე ხელშეკრულების მე-3 თავის პირველი პუნქტის «დ» ქვეპუნქტში განსაზღვრული გაუმჯობესების განხორციელებისათვის, რაც არ შეიძლება გამოყოფილ იქნეს იჯარის ობიექტისაგან და რომელთა არსებობა დადასტურებული იქნება იჯარის ვადის გასვლისას ხელშეკრულების მხარეების მიერ

ხელმოწერილი საიჯარო ობიექტების აღწერის ოქმით, მოითხოვოს აღნიშნულ გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯების (ან ნარჩენი ღირებულების) კომპენსაცია. იმავე ხელშეკრულების 3.4 და 3.5 პუნქტების მიხედვით, მოიჯარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ზარალის ან მოსალოდნელი მოგების კომპენსაცია მეიჯარისაგან, თუ საიჯარო მიწის ნაკვეთი იჯარის ვადის გასვლამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ამოღებული ან გადაცემულ იქნა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, ასევე მოითხოვოს კომპენსაცია ხარჯებისა, რომლებიც მოიჯარემ გასწია, თუ ვადად ხელშეკრულების მოქმედების მიზეზი არ არის მოიჯარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა. ხსენებული ხელშეკრულების 3.11 პუნქტის თანახმად, მოიჯარე ვალდებულია, იჯარით აღებული მიწის ფართობი ვადაზე ადრე დაუბრუნოს მეიჯარეს სახელმწიფო საჭიროებიდან გამომდინარე. აღნიშნული ხელშეკრულების 4.1 პუნქტის «ე» ქვეპუნქტის მიხედვით, მეიჯარეს უფლება აქვს, მოიჯარის თანხმობით შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხოლო ამ ხელშეკრულების 4.2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, მეიჯარე ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მოიჯარეს იჯარის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის, აგრეთვე, იჯარის ვადის გასვლასთან დაკავშირებით, ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.

სამოქალაქო კოდექსის 112-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების დასადგმად თანხმობის მიცემამდე, მეორე მხარეს უფლება აქვს, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. იმავე კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. იმავე კოდექსის 342-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების თანახმად, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა შემოღობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემცვენი წესების დადგენა, უშუალოდ მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს კი უპირატესობა ენიჭება სტანდარტულ პირობებთან შედარებით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლისა და ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობას (უფლებამონაცვლე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) და შპს «აგრო-ტეკს» შორის დადებული იჯარის ხელშეკრულების 4.1 პუნქტის «ე» ქვეპუნქტის მიხედვით, მეიჯარეს უფლება ჰქონდა, მოიჯარის თანხმობით შეწყვიტა ხელშეკრულება, ამავე ხელშეკრულების 4.2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის თანახმად კი მეიჯარე ვალდებული იყო, წერილობით შეეტყობინებინა მოიჯარისათვის იჯარის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ. მოცემული საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობამ (უფლებამონაცვლე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) შეასრულა აღნიშნული ვალდებულება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 2 აგვისტოს სხდომაზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის (უფლებამონაცვლე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულება გაფორმებული იყო კანონით დადგენილი წესით და მოიჯარეს არ დაურღვევია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, იმავე გამგეობამ მაინც გააუქმა ხსენებული იჯარის ხელშეკრულება, ამასთან, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჯერჯერობით არ იყო განხორციელებული მიწის რეფორმა და იგი უნდა განხორციელებულიყო 2006 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო სარეფორმო მიწის ფონდი იყო მცირე, რის გამოც დასახელებულმა გამგეობამ გააუქმა მიწების იჯარის ხელშეკრულებები იმისათვის, რომ გამოთავისუფლებული მიწები ჩაერიხათ სარეფორმო ფონდში. მანვე განმარტა, რომ ზემოაღნიშნული იჯარის ხელშეკრულებაც გაუქმდა იმ მიზეზით, რომ შესაბამისი მიწა ჩარიცხულიყო მიწის სარეფორმო ფონდში, რაც გათვალისწინებული იყო იმავე ხელშეკრულების 3.11 პუნქტითაც, კერძოდ, მოიჯარე ვალდებული იყო, იჯარით აღებული მიწის ფართობი ვადაზე ადრე დაებრუნებინა მეიჯარისთვის სახელმწიფო საჭიროებიდან გამომდინარე, ხოლო ხსენებულ გამგეობას არ შეეძლო სანაცვლოდ შეეთავაზებინა შპს «აგრო-ტეკსისთვის» სხვა მიწის ნაკვეთი, რადგან ასეთი არ არსებობდა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის (უფლებამონაცვლე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) 2005 წლის 27 დეკემბრის #163 გადაწყვეტილება და მასში მოყვანილი არგუმენტაცია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობებიდან სარეფორმო ფართობების შერჩევისა და დამტკიცების უზრუნველყოფის, ანუ სახელმწიფო საჭიროების თაობაზე, არ არის დასაბუთებული, ვინაიდან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის (ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის უფლებამონაცვლე) 2007 წლის 27 მარტის #358კ/5 წერილის თანახმად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ... საკრებულოში შპს «აგრო-ტეკს» იჯარით გაცემული 7 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი არ იყო ჩადებული რეფორმის ფონდში. აჭარის ა/რ მთავრობის აპარატის 2007 წლის 20 თებერვლის #05-2/22 წერილის მიხედვით კი, აჭარის ა/რ მთავრობის მიერ ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის (უფლებამონაცვლე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) 2006 წლის 20 მარტის #27 დადგენილებით განსაზღვრული ხელვაჩაურის რ-ნის მიწის რეფორმის ფონდის დამტკიცება არ განხორციელებულა. ამდენად, საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის (ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის უფლებამონაცვლე) და აჭარის ა/რ მთავრობის

აპარატის ზემოხსენებული წერილების შესაბამისად, შპს «აგრო-ტეკზე» 7 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემდეგ, ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, კერძოდ, 2007 წლის 27 მარტის მდგომარეობით, ხსენებული მიწის ნაკვეთი არ იყო ჩარიცხული მიწის რეფორმის ფონდში, ანუ იგი კვლავ არ იყო მიზნობრივად გადაცემული - ის მიზანი რეალურად არ განხორციელებულა, რაც საფუძვლად დაედო დასახელებული ხელშეკრულების შეწყვეტას, მაშინ, როდესაც ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობას (უფლებამონაცვლე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა), თუ ამ საფუძვლით წყვეტდა საიჯარო ხელშეკრულებას შპს «აგრო-ტეკთან», მას მაშინვე უნდა გადაეცა ზემოთ დასახელებული 7 ჰა მიწის ნაკვეთი მიზნობრივად.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 28 თებერვლის სხდომაზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის (ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის უფლებამონაცვლე) წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიწის რეფორმა არ ჩატარებულა, ხოლო მიწების გადაცემის პროცესი ამ ეტაპზე იმავე რ-ნში გრძელდება უმიწო და მცირემიწიანი კომპლექსათვის მიწის ნაკვეთების გადასაცემად, საჯარო ინტერესი კი კონკრეტულ შემთხვევაში გამოკვეთილია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, რომელთა მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების, ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლში მოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სავალდებულო წინაპირობები, რომლებიც მათი რეალიზების თვალსაზრისით, ამ მუხლში არა კუმულაციური, არამედ ალტერნატიული სახით არის წარმოდგენილი, ამასთან, არსებით დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, რომელთა თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამოჩანის ადგენს კანონი. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში. იმავე კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, იმისათვის, რომ შესრულდეს კანონის მოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს კანონშესაბამისი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მეტად მნიშვნელოვანი და სავალდებულო წინაპირობაა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გაანალიზება, შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება ამ გარემოებათა შეფასების შედეგად, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ადმინისტრაციული ორგანოს დაუსაბუთებელი დასკვნის გაკეთება. ამასთან, მისაღები ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით პირის სამართლებრივი მდგომარეობის შესაძლო გაუარესების შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს ამ პირს და უზრუნველყოს ადმინისტრაციულ წარმოებაში მისი მონაწილეობა.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ შპს «აგრო-ტეკი» გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად არ მიუწვევიათ, მაშინ, როდესაც შპს «აგრო-ტეკის» მიწვევა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 და 98-ე მუხლების თანახმად, სავალდებულო იყო და შესაბამისად, ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის (უფლებამონაცვლე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) 2005 წლის 27 დეკემბრის #163 გადაწყვეტილება მიღებულ იქნა აღნიშნული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველია.



გარდა ამისა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 2 აგვისტოს სხდომაზე შპს «აგრო-ტეკის» წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მასთან დადებული იჯარის ხელშეკრულება გაუქმდა 2005 წლის 27 დეკემბერს, ხოლო მან ამის შესახებ გაიგო 10 თვის შემდეგ, ამ ხნის მანძილზე კი სერიოზული ხარჯები გასწია სასათბურე მეურნეობისათვის და შეასრულა უამრავი სამუშაო. ამასთან, 2006 წლის იანვარში მოპასუხე გამგეობას მიმართა ინვესტორის მუშაობის დაწყებაზე თანხმობის მისაღებად და ისე მიიღო ამის თაობაზე თანხმობა, რომ ხსენებული ხელშეკრულება უკვე გაუქმებული იყო და მისთვის მაშინაც არ უცნობებიათ მისი გაუქმების შესახებ. მის მიერ იჯარით აღებული ტერიტორია კი შეადგენდა 7 ჰექტარს და მთლიანად იყო დაკავებული სასათბურე და სანერგე მეურნეობით, ხოლო 2 ჰა მიწის ნაკვეთი მთლიანად იყო დაფარული ლითონის სასათბურე კონსტრუქციით, რომლის გამართვაც დიდ ხარჯთან იყო დაკავშირებული.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორის მოსაზრებას, რომ ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის (უფლებამონაცვლე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) მოქმედება 2005 წლის 21 იანვრის #11 გადაწყვეტილების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, სრულად შეესაბამება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებს მხოლოდ მეიჯარის, ანუ საიჯარო ქონების მესაკუთრის საჯარო ინტერესებზე მიწის რეფორმის განხორციელების კუთხით და არაფერს ამბობს მოიჯარე შპს «აგრო-ტეკის» კანონიერ ინტერესებსა და უფლებებზე - რამდენად იქნა დაცული და გათვალისწინებული მოსარჩელის უფლებები და ინტერესები გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ანუ დაცული იქნა თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა და ზიანი ხომ არ მიაღწია შპს «აგრო-ტეკს» ამ გასაჩივრებული აქტით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ლ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. იმავე კოდექსის მე-7 მუხლის (საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა) მე-2 ნაწილის მიხედვით, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნას წარმოადგენს, დისკრეციული უფლებამოსილების რეალიზების დროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დაცული იყოს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა, ანუ დაუშვებელია მხოლოდ საჯარო ინტერესის დაცვა კერძო ინტერესის ხარჯზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის (ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აგვისტოს განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს «აგრო-ტეკის» სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნება ცნობილი ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის (უფლებამონაცვლე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) 2005 წლის 27 დეკემბრის #163 გადაწყვეტილება და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას (ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის უფლებამონაცვლე) დაევალოს მოცემული გადაწყვეტილების გადაცემიდან ერთი თვის ვადაში კანონით დადგენილი წესით ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის (ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აგვისტოს განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს «აგრო-ტეკის» სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნეს ცნობილი ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის (უფლებამონაცვლე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა) 2005 წლის 27 დეკემბრის #163 გადაწყვეტილება და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას (ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის უფლებამონაცვლე) დაევალოს მოცემული გადაწყვეტილების გადაცემიდან ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემის  
დავალება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

#ბს-1060-1013-(კ-07) 26 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ჩინჩალაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 7 დეკემბერს ლ. ა-იამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ არის აფხაზეთიდან დევნილი. 1992 წლის 1 ნოემბრიდან 1993 წლის 27 სექტემბრამდე ირიცხებოდა აფხაზეთის ყოფილი სამხედრო პოლიციის სამმართველოს სამედიცინო სამსახურში, შრომის ასეულში, რაც დასტურდება აფხაზეთის ომის ინვალიდთა და ვეტერანთა კავშირის მიერ გაცემული საბრძოლო მოვლევების ამონაწერით. მოპასუხემ იმ მოტივით, რომ არ არსებობდა მასზე ჩარიცხვა-ამორიცხვის ბრძანებები, შეუწყვიტა ომის მონაწილის სტატუსი, რამაც შელახა მისი კანონიერი უფლება-ისარგებლოს ომის მონაწილისათვის დაწესებული შეღავათებით, რაც გათვალისწინებულია «ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ» კანონით.

მოსარჩელის განმარტებით, მან არაერთჯერ მიმართა თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ქ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტს, გადაემოწმებინა და გამოეკვლია წარდგენილი მტკიცებულებების სიზუსტე და გამოეცათ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მისი შეიარაღებულ ძალების რიგებში ჩარიცხვისა და შემდგომში ამორიცხვის თაობაზე, მაგრამ მოპასუხე ორგანიზაციიდან მიიღო უარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ქ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტს დავალებოდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ლ. ა-იას შეიარაღებულ ძალებში ჩარიცხვისა და შემდგომში ამორიცხვის შესახებ და გაეცა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობა.

მოპასუხე თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადება არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ლ. ა-იას სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი თავდაცვის სამინისტროს 2006 წლის 8 ნოემბრის #5911 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და თავდაცვის სამინისტროს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია:

ა) დაინტერესებული პირის განცხადება;

ბ) ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება-გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ადმინისტრაციული წარმოება ამ მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაიწყება განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან.

ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციული ორგანო განცხადების საფუძველზე ვალდებული იყო, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოემზადებინა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, რადგანაც კანონი მოცემულ შემთხვევაში არ ითვალისწინებდა სხვა სახის ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებას.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს განმცხადებელს განცხადების უარყოფელ გარემოებათა შესახებ საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა, რისი უარყოფელი გარემოებებიც დასაბუთებული უნდა იქნეს მის მიერ მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, გადაწყვეტილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ მიიღოს პირის მიერ განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში, ამასთან, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ, რომლის საერთო ვადა 3 თვეს არ უნდა აღემატებოდეს, მოცემულ შემთხვევაში საქმის გარემოებებით უდავოდ დადგენილია, რომ მოპასუხეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დღემდე არ მიუღია.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, არგუმენტებზე, რომლებიც არ არის სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი.

ამასთან, სასამართლოს განმარტებით, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების მიზნით, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეისწავლოს და ჩაატაროს ყველა ღონისძიება-მოსარჩელის შეიარაღებულ ძალებში ჩარიცხვის, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის, შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვის დასადასტურებლად.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თავდაცვის სამინისტრომ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება რომლითაც ლ. ა-იას სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» კანონის მე-18.2 მუხლის შესაბამისად, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის კომპეტენცია განისაზღვრება სამინისტროს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს თავდაცვის მინისტრი.

თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აპრილის #146 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის #1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის დებულების მე-6 მუხლის «ტ» პუნქტით დეპარტამენტის ერთ-ერთი ფუნქციაა: «მოქალაქეთა განცხადებისა და დეპარტამენტის საარქივო მასალების საფუძველზე, შეიარაღებული ძალების რიგებში ჩარიცხული პირადი შემადგენლობის საბრძოლო მოქმედებაში შესაძლო მონაწილეობის დადასტურება ან უარყოფა სათანადო ცნობის გაცემით».

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოთმითითებული ნორმის შესაბამისად, ე.წ. «ყვითელ ცნობას» #1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი გასცემს ან უარს ამბობს მის გაცემაზე დეპარტამენტის საარქივო მასალების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, უსაფუძვლოა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ თავდაცვის სამინისტრო ვალდებული იყო, მოსარჩელის მიერ მითითებული ინფორმაციის შესაბამისად დაეზუსტებინა განმცხადებლის მიერ დასახელებული ფაქტები, ეწარმოებინა კომპეტენტურ პირთა გამოკითხვა, ჩამოერთვა მათთვის ახსნა-განმარტება, გამოეთხოვა საჭირო დოკუმენტაცია, მიემართა სხვადასხვა უწყებისათვის განცხადებაში მითითებულ გარემოებათა ან წარმოდგენილ დოკუმენტთა გადამოწმების და დაზუსტების მიზნით. პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმები მაშინ, როდესაც მოცემულ სამართალურთიერთობას აწესრიგებს სპეციალური კანონმდებლობა. ამასთან, გარდა ზემოთ მითითებული ნორმატიული აქტებისა, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა ასევე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 21 დეკემბრის #351/ ნ ბრძანებით დამტკიცებული ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის დებულების მე-2 მუხლის «ა» ქვეპუნქტით, რომლის მიხედვითაც დეპარტამენტის საქმიანობის სფეროს და ამოცანებს ვეტერანთა სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების უზრუნველყოფის ხელმისაწვდომობა და აღნიშნული გარანტიებით უზრუნველყოფა წარმოადგენს. დეპარტამენტის ფუნქციას ასევე წარმოადგენს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანობის დამადასტურებელი ერთიანი პირადობის მოწმობების დამზადება-გაცემა (მე-2 მუხლის «ე» ქვეპუნქტი).

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის 2006 წლის 20 მარტის #56 ბრძანებით შექმნილია აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამდგენი კომისია, რომლის მიზანს, აღნიშნული დებულების შესაბამისად, წარმოადგენს აფხაზეთის ა/რ ადგილობრივი მცხოვრებლებით დაკომპლექტებული საჯარისო ფორმირებებში ჩარიცხულ პირთა და ზურგის მუშაკთა (ომის მონაწილესთან გათანაბრებულ პირთა) ტერიტორიული მთლიანობის,

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დადგენა. მოსარჩელის მიერ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ირკვევა, რომ იგი ირიცხება აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამდგენი კომისიის სხდომის ოქმით გადაცემულ სამხედრო პოლიციის სიებში.

ამრიგად, საქალაქო სასამართლოს მიერ მითითებული საკითხების გარკვევა, კერძოდ: განმცხადებლის მიერ დასახელებული ფაქტების დაზუსტება, კომპეტენტურ პირთა გამოკითხვა, სხვა-დასხვა უწყებისათვის მიმართვა განცხადებაში მითითებულ გარემოებათა ან წარმოდგენილ დოკუმენტთა გადამოწმებისა და დაზუსტების მიზნით, წარმოადგენს არა თავდაცვის სამინისტროს, არამედ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის ფუნქციას.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ა-იამ.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ა-იას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო საქმეზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის #კოლ/2076 ცნობით დასტურდება, რომ კასატორი - ლ. ა-ია ირიცხებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მაცხოვრებლების საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამდგენი კომისიის სხდომის ოქმით გაცემულ სამხედრო პოლიციის სიაში.

სამხედრო პოლიციის ომის ვეტერანთა და ინვალიდთა კავშირის 2006 წლის 1 ოქტომბრის #1/516 მოკვლევის თანახმად, აფხაზეთის ა/რ ყოფილი სამხედრო პოლიციის სამმართველოს უფროსის ს. ა-იას, ყოფილი სამხედრო პოლიციის სამმართველოს გულრიფშის ასეულის ასმეთაურის ე. შამათავას და აფხაზეთის ა/რ ყოფილი სამხედრო პოლიციის სამმართველოს შრომის ასეულის ზემდეგი ჯ. ქ-ვას ხელმოწერებით დადასტურებული ცნობით ირკვევა, რომ ლ. ა-ია ირიცხებოდა შრომის ასეულში 1992 წლის 1 ნოემბრიდან 1993 წლის 27 სექტემბრამდე. იგი მონაწილეობას ღებულობდა ყველა საომარ მოქმედებაში, რომელსაც ატარებდა ასეული;

შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის #1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2006 წლის 8 ნოემბრის #5911 წერილით კასატორს, მისი განცხადების პასუხად, ეცნობა, რომ შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 1992-1994 წლების საარქივო მასალებში არ იძებნებოდა ინფორმაცია მისი შეიარაღებული ძალების რიგებში ჩარიცხვისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთის რეგიონში წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის I ნაწილის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი.

მითითებული ნორმის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო უდავოდ მიიჩნევს, რომ შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის #1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2006 წლის 8 ნოემბრის #5911 პასუხი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის მიღებისა და გამოცემის წესიც უნდა აკმაყოფილებდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას.

ხოლო იმავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გასაჩივრებული აქტი მიღებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მითითებული ნორმების მოთხოვნათა დარღვევით, რაც წარმოადგენს სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სარჩელზე უარის თქმის საფუძველად მითითებას იმ გარემოებაზე, რომ განმცხადებლის მიერ დასახელებული ფაქტების დაზუსტება, კომპეტენტურ პირთა გამოკითხვა, მათთვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა, საჭირო დოკუმენტაციის გამოთხოვა წარმოადგენს არა თავდაცვის სამინისტროს, არამედ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის ფუნქციას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მითითებული არცერთი აქტი არ იძლევა აღნიშნული მოსაზრების მტკიცების საფუძველს, მით უფრო იმ გარემოების გათვა-

ლისწინებით, რომ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის 2006 წლის 20 მარტის #56 ბრძანების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო ორ თვიანი პერიოდი და სადავო ურთიერთობაზე ვერ გავრცელდებოდა.

იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო სასამართლო გაიზიარებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობის გაცემა სცილდება თავდაცვის სამინისტროს კომპეტენციას, მითითებული ორგანო, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის I ნაწილის საფუძველზე, ვალდებული იყო განცხადება გადაეგზავნა ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტში. კერძოდ, მითითებული მუხლის შესაბამისად, თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არაუგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო, სადავო საკითხის სწორი გადაწყვეტისა და სამართლებრივი რეგულირების მიზნით, თავდაცვის სამინისტროს ყურადღებას მიაქცევს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 25 თებერვლის #50 ბრძანებით დამტკიცებულ "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ» კანონით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით მოწმობის მიცემის შესახებ» ინსტრუქციის ნორმებს და აღნიშნავს, მითითებული ინსტრუქციის მე-6 მუხლის "ვ» ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებების მონაწილის დამადასტურებელი ვეტერანის მოწმობის მაძიებელმა უნდა წარადგინოს ძალოვანი უწყების კადრების სამსახურის ცნობა იმის შესახებ, რომ ფორმირება, რომელშიც პირი მსახურობდა, საბრძოლო მოქმედებების პერიოდში საბრძოლო მოქმედების ზონაში იმყოფებოდა და აღნიშნულ პიროვნებას მიღებული აქვს მონაწილეობა საბრძოლო ოპერაციებში. ცნობას დართული უნდა ჰქონდეს მისი გაცემის საფუძველი.

იმავე მუხლის "ვ.ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად, მოხალისეებმა, რომლებიც არ იყვნენ ჩარიცხული ოფიციალურ სამხედრო ფორმირებაში, უნდა წარადგინონ იმ პერიოდში მიღებული ჯილდოები, სამხედრო ტრამვის შესახებ ცნობა, საბრძოლო მოკვლევის აქტები და მათ ხელთ არსებული სხვა შესაძლო დოკუმენტის ასლები და დედნები.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულმა ნორმატიულმა აქტმა ფაქტობრივად მოახდინა ძალოვანი უწყებისა (მოცემულ შემთხვევაში თავდაცვის სამინისტროს» და ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის კომპეტენციის გამიჯვნა, ხოლო საკასაციო სასამართლო საქმეში დაცულ დოკუმენტებზე დაყრდნობით მოკლებულია შესაძლებლობას განსაზღვროს და დაადგინოს კასატორის სტატუსი (ლ. ა-ია მსახურობდა სამხედრო ფორმირებაში თუ მონაწილეობდა მოხალისის სტატუსით), თვლის, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა იქნას ცნობილი სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და თავდაცვის სამინისტროს დაევალოს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მათ შორის იმ გარემოების დასაბუთებით, თუ საკითხის გადაწყვეტა შედის სხვა უწყების კომპეტენციაში.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ლ. ა-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ლ. ა-იას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნას ცნობილი თავდაცვის სამინისტროს 2006 წლის 8 ნოემბრის #5911 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და თავდაცვის სამინისტროს დაევალოს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წინამდებარე გადაწყვეტილების თავდაცვის სამინისტროსათვის ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

### განჩინება

#ბს-693-660-(კ-06)

3 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წიკლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციული აქტებისა და პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

2004 წლის 8 ივლისს გორის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს გ., გ. და მ. გ-ვებმა მოპასუხეების - ქ. გორის გამგეობისა და თ. ტ-ძის მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს: ა. გორის გამგეობის 1992 წლის 17 ივნისის #408 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; ბ. გორის გამგეობასა და თ. ტ-ძეს შორის 1992 წლის 21 აგვისტოს დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა; გ. საქსოფტექნიკის ქ. გორის ექსპერიმენტალური მეურნეობის ტექნიკუმის დირექციის, პროფკომიტეტისა და საბინაო კომისიის აქტების ბათილად ცნობა თ. ტ-ძის სამსახურებრივი ბინით დაკმაყოფილების შესახებ; დ. გ. გ-ვისათვის 1975 წლიდან ორდერიტ განპირობებული ბინის პრივატიზაციის წესით უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა; დ. თ. ტ-ძისა და მისი ოჯახის გამოსახლება ... ქ. #16-ში მდებარე ბინა #28-დან და ბინის გ. გ-ვისათვის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში ჩაბარება.

სარჩელის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

გორის საქსოფტექნიკის ექსპერიმენტალური მეურნეობის ადმინისტრაციამ, რომლის სისტემაშიც მოსარჩელე წლების მანძილზე მუშაობდა, მას და მისი ოჯახის წევრებს მისცა სამოთახიანი ბინა ქ. გორში, ... ქ. #16/28-ში. გ. გ-ვი ოჯახის წევრებთან ერთად ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრობდა 1991 წლამდე. 1991 წელს ეროვნებათშორის მომხდარი დამაბულობის შემდეგ, მოსარჩელესა და მისი ოჯახის წევრებს იძულებით დაატოვებინეს ბინა, რომელშიც შესახლეს თ. ტ-ძე. ამის შესახებ გ-ვებმა არ იცოდნენ. 1998 წელს, მას შემდეგ რაც დაიწყო დევნილთა დაბრუნების პროცესი, გ. გ-ვი დაბრუნდა გორში და მის ბინაში მცხოვრებ თ. ტ-ძეს სთხოვა ბინის გათავისუფლება. აღნიშნული მოთხოვნით მან სასამართლოსაც მიმართა და მოითხოვა თ. ტ-ძისა და მისი ოჯახის წევრების გამო-სახლება მისი კუთვნილი ბინიდან. იმავდროულად სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინა თ. ტ-ძემაც, რომელმაც მოითხოვა გ. გ-ვისა და მისი ოჯახის წევრების სადავო ბინაზე უფლებდაკარგულ პირებად ცნობა. გორის რ-ნის სასამართლოს 1998 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. გ-ვის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო თ. ტ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა და გ. გ-ვი და მისი ოჯახის წევრები ცნობილ იქნენ ქ. გორში, ... ქ. #16/28-ში მდებარე ბინის ფართზე უფლებდაკარგულ პირებად.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა გ. გ-ვის მიერ სააპელაციო წესით. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. გ-ვის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, თ. ტ-ძის შეგებებულ სარჩელზე შეწყდა წარმოება, მასზე უარის თქმის გამო.

საბინაო კოდექსის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ორდერი გაიცემა მხოლოდ თავისუფალ, იზოლირებულ სადგომზე. გორის რ-ნის გამგეობამ ისე გადაწყვიტა თ. ტ-ძისთვის ბინის სარგებლობაში გადაცემისა და ორდერის გამოწერის საკითხი, რომ 1975 წელს სადავო ბინაზე გაცემული ორდერი ბათილად არ უცნია.

გარდა ამისა, კანონდარღვევით მოხდა ბინის პრივატიზაცია. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის #107 დადგენილების შესაბამისად, პრივატიზაციის ობიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფონდის საცხოვრებელი ბინა, აგრეთვე გამოთავისუფლებული ბინა. სადავო ბინის თ. ტ-ძის საკუთრებაში გადაცემით დაირღვა ზემოაღნიშნული მოთხოვნა, რადგანაც 1975 წლიდან დღემდე ბინის დამქირავებელს წარმოადგენს გ. გ-ვი, მასზე გაცემული ორდერი, საბინაო კოდექსის 58-ე მუხლის თანახმად, არ გაბათილებულა და მასზე ხელმოკრედ გაიცა თ. ტ-ძის სახელზე, მაშინ როცა საბინაო კოდექსის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ორდერი გაიცემა მხოლოდ თავისუფალ სადგომზე.

გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 17 თებერვლის საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხე მხარედ ჩაება გორის ექსპერიმენტალური მეურნეობა.

გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონული სასამართლოს მითითებით, გ. გ-ევმა 1975 წელს კანონიერ საფუძველზე მიიღო საუწყებო ბინა, მაგრამ 1990 წლიდან მიატოვა საუწყებო საცხოვრებელი ფართი, გაწყვიტა შრომითი ურთიერთობა ექსპერიმენტალურ მეურნეობასთან და საცხოვრებლად გადავიდა რუსეთის ფედერაციაში. გ. გ-ვი ბინის მესაკუთრე არ ყოფილა, მას საცხოვრებელი ფართი გამოყოფილი ჰქონდა სარგებლობის უფლებით, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქ. გორში, ... ქ. #28/16-ში მდებარე ბინა ეკუთვნოდა გორის ექსპერიმენტალურ მეურნეობას. მას შემდეგ, რაც გ. გ-ევმა მიატოვა ბინა, ექსპერიმენტალური მეურნეობის დირექციამ საჭიროდ მიიჩნია ბინა გადაეცა ამავე მეურნეობაში მექანიზატორად მომუშავე თ. ტ-მისთვის.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, არ არსებობდა ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი, რამდენადაც საქმის მასალების თანახმად გორის ექსპერიმენტალური მეურნეობა ვერ უზრუნველყოფდა რა ბინების ექსპლოატაციას, მის ბალანსზე რიცხული ბინები გადავიდა მუნიციპალურ ბალანსზე, ხოლო 1992 წლის ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულება ეყრდნობოდა კანონიერ საფუძველს. ამ პერიოდისათვის ბინის მფლობელს წარმოადგენდა არა გ. გ-ევი, არამედ თ. ტ-მე. მოსარჩელე მხარემ 1990 წელს შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა გორის ექსპერიმენტალურ მეურნეობასთან, მიტოვებული ბინა კანონიერ საფუძველზე განაწილდა თ. ტ-მის ოჯახზე, ხოლო გ. გ-ევის მითითება, რომ იძულებით დატოვა ბინის მფლობელობა არ დგინდებოდა საქმის გარემოებებით, რამდენადაც გ. გ-ევმა 1990 წელს მიატოვა რა ბინის მფლობელობა, 13 წლის მანძილზე არ მიუკითხავს ბინისათვის.

რაიონული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ., გ. და მ. გ-ევების წარმომადგენლმა მ. გ-შვილმა, რომელმაც ოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნების (გორის რ-ნის გამგეობისათვის გ. გ-ევის ბინით უზრუნველყოფის დაკისრების მოთხოვნის გარდა) დაკმაყოფილება.

აპელანტის განმარტებით, საბინაო კოდექსის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ორდერი გაიცემა მხოლოდ თავისუფალ, იზოლირებულ სადგომზე. გორის რ-ნის გამგეობამ ისე გადაწყვიტა თ. ტ-მისთვის ბინის სარგებლობაში გადაცემისა და ორდერის გამოწერის საკითხი, რომ 1975 წელს სადავო ბინაზე გაცემული ორდერი ბათილად არ უცნია. სადავო ბინის თ. ტ-მის საკუთრებაში გადაცემა უკანონოა, რადგან 1975 წლიდან დღემდე ბინის დამქირავებელს წარმოადგენს გ. გ-ევი, მასზე გაცემული ორდერი, საბინაო კოდექსის 58-ე მუხლის თანახმად, არ გაბათილებულა და ხელმეორედ გაიცა ორდერი თ. ტ-მის სახელზე, მაშინ, როცა საბინაო კოდექსის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ორდერი გაიცემა მხოლოდ თავისუფალ სადგომზე.

აპელანტის მითითებით, მართალია, გ. გ-ევი არ იყო ბინის მესაკუთრე, მაგრამ ის იყო მართლზომიერი მფლობელი. იმ დროისათვის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლით დაცული იყო არამესაკუთრე მფლობელის უფლებები, კერძოდ, 146-151-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებებით, მსგავსად მესაკუთრისა, აღჭურვილი იყო არამესაკუთრე მფლობელიც, რომელიც ფლობდა ქონებას კანონის ან ხელშეკრულების ძალით. გ-ევები ბინას ფლობდნენ კანონიერად, ორდერის საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 5 ივლისის განჩინებით გ., მ. და გ. გ-ევების წარმომადგენლის მ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, მხარეთა მონაწილეობით სხვა საქმის განხილვისას დადგენილი ფაქტები ხელახალ დადასტურებას არ საჭიროებს. თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 24 დეკემბრის განჩინებით, დადგენილად იქნა მიჩნეული გორის რ-ნის გამგეობის, როგორც მესაკუთრის უფლებამოსილების მქონე პირის სტატუსი გორში, ... ქ. #16/28-ში მდებარე 57,5კვ.მ სამოთახიან ბინაზე. შესაბამისად, ამ უკანასკნელს შეეძლო საკუთარი შეხედულებისამებრ განეკარგა იგი, მათ შორის, პრივატიზაციის ხელშეკრულებით გადაეცა იგი თ. ტ-მისთვის. დასახელებული სასამართლო გადაწყვეტილებებით მართლზომიერად იყო მიჩნეული მოპასუხისათვის სამსახურებრივი სარგებლობისათვის დასახელებული ბინის გამოყოფა. ამ გარემოებების გათვალისწინებით, რაიონულმა სასამართლომ მართებულად მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნები სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებლად და სწორად გამოიტანა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ., გ. და მ. გ-ევების წარმომადგენელმა მ. გ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი. სასამართლომ მიიჩნია, რომ გორის რ-ნის გამგეობის, როგორც სადავო ბინის მესაკუთრის, სტატუსი დადგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 24 დეკემბრის განჩინებით, რომელსაც ამ შემთხვევაში პრეიუდიციული ძალა გააჩნდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს აზრით, მხოლოდ გორის რ-ნის გამგეობა იყო უფლებამოსილი, საკუთარი შეხედულებისამებრ განეკარგა ბინა და პრივატიზაციის ხელშეკრულებით გადაეცა იგი თ. ტ-მისთვის.

გორის რ-ნის გამგეობის, როგორც ბინის მესაკუთრის, სტატუსი მოცემულ საქმეზე ისედაც დადგენილია. ამ შემთხვევაში მოთხოვნა ეფუძნება იმას, რომ გორის რ-ნის გამგეობამ, როგორც ბინის მესაკუთრემ, შელახა იმ დროისათვის მოქმედი საბინაო კოდექსით გარანტირებული პირის უფლება საცხოვრებელ ბინაზე. იმის მიუხედავად, რომ გორის რ-ნის გამგეობა სადავო ბინის მესაკუთრეს წარმოადგენდა, იგი არ იყო უფლებამოსილი მოსარჩელებზე ორდერით განაწილებული ბინა განეკარგა. მას აღნიშნული ორდერის სასამართლო წესით ბათილად ცნობის შემთხვევაში ჰქონდა უფლება ხელმეორედ გაენაწილებინა ბინა სხვა პირზე, რამდენადაც საბინაო კოდექსის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ორდერი გაიცემოდა მხოლოდ თავისუფალ სადგომზე. სადავო ბინა თავისუფლად ჩათვლებოდა, თუ მასზე ორდერი საერთოდ არ იქნებოდა გაცემული ან არსებული ორდერი სასამართლოს მიერ ბათილად (ან ძალადაკარგულად) იქნებოდა ცნობილი საბინაო კოდექსის 58-ე მუხლით დადგენილი წესით. საბინაო კოდექსის 69-ე მუხლის მე-2 ნაწილი იმპერატიულად მიუთითებდა, რომ დადგენილი ვადების გადამეტებით სხვაგან ყოფნის შედეგად საცხოვრებელი სადგომით სარგებლობაზე უფლებდაკარგულ პირთა ცნობა ხდება მხოლოდ სასამართლო წესით.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 24 დეკემბრის განჩინებით მართლზომიერად არის მიჩნეული მოპასუხეზე სამსახურებრივი სარგებლობისათვის დასახელებული ბინის გამოყოფა, რადგან მითითებულ საქმეში ბინის გამოყოფის მართლზომიერების საკითხი არ განიხილებოდა, საქმის განხილვისას დადგენილი იყო თ. ტ-მეზე ბინის გამოყოფის და არა ბინის მართლზომიერად გამოყოფის ფაქტი.

კასატორი განმარტავს, რომ იმ დროისათვის მოქმედი საბინაო კოდექსის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ორდერი შეიძლება გაცემულიყო მხოლოდ თავისუფალ, იზოლირებულ სადგომზე. გორის რ-ნის გამგეობამ ისე გადაწყვიტა თ. ტ-მისთვის ბინის სარგებლობაში გადაცემისა და ორდერის გამოწერის საკითხი, რომ 1975 წელს სადავო ბინაზე გაცემული ორდერი ბათილად არ უცვნიან. სადავო ბინის თ. ტ-მის საკუთრებაში გადაცემა უკანონოა, რადგან 1975 წლიდან დღემდე ბინის დამქირავებელს წარმოადგენს გ. გ-ევი, მასზე გაცემული ორდერი საბინაო კოდექსის 58-ე მუხლის თანახმად, არ გაბათილებულა და ხელმეორედ მოხდა ორდერის გაცემა თ. ტ-მის სახელზე, მაშინ როცა საბინაო კოდექსის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ორდერი გაიცემა მხოლოდ თავისუფალ სადგომზე.

კასატორი უთითებს იმაზეც, რომ მართალია გ. გ-ევი არ იყო ბინის მესაკუთრე, მაგრამ ის იყო მართლზომიერი მფლობელი. იმ დროისათვის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლით დაცული იყო არამესაკუთრე მფლობელის უფლებები, კერძოდ, 146-ე-151-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებებით (მსგავსად მესაკუთრისა) აღჭურვილი იყო არამესაკუთრე მფლობელიც, რომელიც ფლობდა ქონებას კანონის ან ხელშეკრულების ძალით. გ-ევი ბინას ფლობდნენ კანონიერად, ორდერის საფუძველზე.

სასამართლოში საქმის განხილვისას კასატორი ექვემდებარება მოპასუხე ორგანიზაციასთან თ. ტ-მის შრომითი კავშირის არსებობას, მათ იშუამდგომლეს კიდევ, რათა სასამართლოს დაევალებინა მოპასუხეთათვის აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და შრომის წიგნაკის წარდგენა, თუმცა არც რაიონულ და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს ამაზე არ უმსჯელია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ., გ. და მ. გ-ევიების წარმომადგენლის მალხაზ გ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 5 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2, 394 «ე» მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორი შეფასება არ მისცა საქმის მასალებს, გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია.

სააპელაციო სასამართლომ ისე ჩათვალა უსაფუძველოდ გ., მ. და გ. გ-ევიების სააპელაციო საჩივარი, რომ არ გამოიყენა არც ერთი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა, შესაბამისად, გაურკვეველია, რის საფუძველზე მივიდა სააპელაციო სასამართლო აღნიშნულ დასკვნამდე და რომელი სამართლებრივი ნორმით ხელმძღვანელობდა გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განჩინება გამოტანილია სსსკ-ის 393.2. მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, იმდენად დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლომ უხეშად დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249.4. მუხლი, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილში საერთოდ არ უმსჯელია სარჩელის საფუძველიანობაზე, ამასთან, განჩინების სამოტივაციო



ნაწილში არ არის აღნიშნული მტკიცებულებანი, რომელთაც ემყარება სასამართლოს დასკვნები და მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებებს, აგრეთვე კანონები, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულ და გადაწყვეტილ იქნა საპროცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნების უგულვებელყოფით, სასამართლო აქტი საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, არ არის გაქარწყლებული აპელანტის მოსაზრებები, ისე არის მიჩნეული დაუსაბუთებლად და კანონშეუსაბამოდ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც აგებულია მხარეთა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივარს აკუთვნებს მხარის უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, ამასთან, სწორედ მხარის ამ საპროცესო უფლების რეალიზაცია თანაზომიერია მხარისავე საპროცესო ვალდებულებასთან – დაასაბუთოს საჩივარი, კერძოდ, სსსკ-ის 368-ე მუხლის პირველი ნაწილის «ე» და «ვ» ქვეპუნქტებში მითითებულია თუ რა უნდა იყოს ასახული სააპელაციო საჩივრის შინაარსში. მხარის ამგვარი პროცესულური ვალდებულება შეიცავს მხარის საპროცესო უფლებრივ გარანტიას, ზემდგომმა სასამართლომ შეაფასოს მისი საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, გაიზიაროს ან უარყოს, გააქარწყლოს ისინი იურიდიულად არგუმენტირებული სახით.

სსსკ-ის 407.2. მუხლის შესაბამისად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

კონკრეტულ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, კერძოდ, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასაციის მოტივს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი, კერძოდ სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 24 დეკემბრის განჩინებით, დადგენილად იქნა მიჩნეული გორის რ-ნის გამგეობის, როგორც მესაკუთრის უფლებამოსილების მქონე პირის, სტატუსი გორში, ... ქ. #16/28-ში მდებარე 57,5კვ.მ ფართობის სამოთახიან ბინაზე. შესაბამისად, ამ უკანასკნელს შეეძლო საკუთარი შეხედულებისამებრ განეკარგა იგი, მათ შორის, პრივატიზაციის ხელშეკრულებით გადაეცა იგი თ. ტ-მისთვის.

საკასაციო სასამართლოს სრულიად დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნა, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106 «ბ» მუხლის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებს, კერძოდ, ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

მოცემულ შემთხვევაში, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებითა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 24 დეკემბრის განჩინების თანახმად, სადავო სამართალურითიერობაში დავის საგანს წარმოადგენდა ბინიდან გამოსახლება. აღნიშნული განჩინებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ თ. ტ-მე წარმოადგენდა სადავო ბინის მესაკუთრეს, ხოლო გ. გ-ეების მიერ ვერ იქნა დამტკიცებული ბინაზე სკუთრების უფლება. ამასთან, აღნიშნული გადაწყვეტილებით თ. ტ-მის შეგებულ სარჩელზე მოთხოვნით – გ. გ-ევისა და მისი ოჯახის წევრების სადავო ბინაზე უფლებდაკარგულ პირად ცნობის შესახებ – შეწყდა წარმოება უარის თქმის გამო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ დაასაბუთა, თუ რა არსებითი მნიშვნელობა გააჩნდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სადავო სამართალურითიერობაში, ამასთან, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რომელსაც დაეყრდნო სააპელაციო სასამართლო საქმის გადაწყვეტისას, სხვა მხარეები მონაწილეობდნენ, კერძოდ, მოთხოვნა არ იყო მიმართული ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ, დავა მიმდინარეობდა კერძო პირებს შორის ბინიდან გამო-სახლებისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნით, მაშინ, როცა სსსკ-ის 106-ე მუხლის «ბ» პუნქტის თანახმად, პრეიუდიციულ ფაქტად მიჩნევის ერთი-ერთ პირობას სწორედ იმავე მხარეებს შორის მიმდინარე დავის არსებობა წარმოადგენს, სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

საკასაციო სასამართლო საბინაო კოდექსის (1983 წლის) 69.4. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ დადგენილი ვადების გადამეტებით სხვაგან ყოფნის შედეგად საცხოვრებელი სადგომით სარგებლობაზე უფლებდაკარგულად პირთა ცნობა ხდება მხოლოდ სასამართლო წესით. საბინაო კოდექსის 57.2. მუხლის თანახმად კი ორდერი შეიძლება გაიცეს მხოლოდ თავისუფალ იზოლირებულ საცხოვრებელ სადგომზე. სააპელაციო სასამართლომ ისე განიხილა დავა, რომ არ შეუფასებია თ. ტ-მისათვის ბინის ორდერის გადაცემამდე, მოხდა თუ არა მოსარჩელეთა ფართზე უფლებდაკარგულად ცნობა. მეტიც, სააპელაციო სასამართლომ შეფასება არ მისცა იმ გარემოებას, რომ თბილისის საოლქო

სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 24 დეკემბრის განჩინებით თ. ტ-ძის შეგებულ სარჩელზე მოთხოვნით - გ. გ-ვისა და მისი ოჯახის წევრების სადავო ბინაზე უფლებდაკარგულ პირად ცნობის შესახებ - შეწყდა წარმოება უარის თქმის გამო.

ამასთან, საკასაციო სასამართლომ არ გამოიკვლია თ. ტ-ძეზე სადავო ბინის ორდერის გადაცემის მომენტისთვის გ. გ-ვეები იყვნენ თუ არა ფართზე უფლებდაკარგულად ცნობილი, შესაბამისად, სადავო ბინა წარმოადგენდა თუ არა თავისუფალ იზოლირებულ საცხოვრებელ სადგომს. აღნიშნული გარემოების შეფასების შედეგად სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, კერძოდ, თ. ტ-ძეზე ახალი ორდერის გაცემით დაირღვა თუ არა საბინაო კოდექსის 57.2. მუხლის იმპერატიული მოთხოვნა მხოლოდ თავისუფალ იზოლირებულ საცხოვრებელ სადგომზე ორდერის გაცემის შესახებ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ «საქართველოს რესპუბლიკაში ბინის პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ» მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის #107 დადგენილებით სახელმწიფო საბინაო ფონდის საცხოვრებელი სახლის (ბინის) უსასყიდლოდ პრივატიზების უფლება მიეცა საბინაო ორდერის მიხედვით საცხოვრებელი სახლის მართლობიერ მფლობელს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას სადავო პრივატიზაციის ხელშეკრულების კანონიერება უნდა შეაფასოს მითითებული ნორმატიული აქტით დადგენილი მოთხოვნების ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო ინდივიდუალური-ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები წარმოადგენს აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ადრესატ თ. ტ-ძისათვის, რომლის მიმართაც მას გააჩნია კანონიერი ნდობა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 ნაწილები არეგულირებს იმ წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში არის შესაძლებელი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, მოცემულ საქმეში თ. ტ-ძეს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ გააჩნია თუ არა კანონიერი ნდობის უფლება, რომლის დადასტურების პირობებში სასამართლომ სადავო აქტებისა და პრივატიზაციის ხელშეკრულების კანონიერება უნდა შეამოწმოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული პირობის კონტექსტში.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ» 2007 წლის 1 იანვრის საქართველოს კანონით აღიარებულ იქნა ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1989-1992 წლების კონფლიქტის მიმე შედეგები, რომელმაც საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის უფლებებისა და თავისუფლებების უხეში დარღვევა და საკუთარი საცხოვრებლიდან იძულებით გადაადგილება გამოიწვია. ამასთან სახელმწიფომ აიღო პასუხისმგებლობა, აღადგინოს და საერთაშორისო სამართლით აღიარებულ სტანდარტებს მიუსადაგოს 1989-1992 წლებში კონფლიქტის შედეგად და მის შემდგომ პერიოდში დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა, რასაც შეფასება უნდა მისცეს სააპელაციო სასამართლომ სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმებისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2-ე მუხლის შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. შესაბამისად, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემოთითხილებული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 53.4-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯები უნდა გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 390-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. გ., მ. და გ. გ-ვეების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 5 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

### განჩინება

#ბს-359-346-(კ-08)

15 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 21 მარტის ზეპირი მოსმენის #ა/წ-22 სხდომის ოქმისა და 2005 წლის 16 აპრილის #10 ბრძანების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

დ. გ-მემ, თ. გ-მემ, მ. ი-ანმა, ვ. ს-მემ, თ. კ-მემ, დ. ა-შვილმა, ი. ც-მემ და მ. მ-ოვამ 2005 წლის 13 ივნისს სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიმართ და მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 21 მარტის ზეპირი მოსმენის #ა/წ-22 სხდომის ოქმისა და 2005 წლის 16 აპრილის #10 ბრძანების ბათილად ცნობა.

სარჩელის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2005 წლის 16 აპრილს ბათილად იქნა ცნობილი არქიტექტურის სამსახურის მიერ 2004 წლის 21 იანვარს, საარქივო ნომრით 65-გ-16 მიწის ნაკვეთის გეგმა-ნახაზი, წითელი ხაზები, მომზადებული ... ქ. #7-სათვის, რომელსაც საფუძვლად დაედო იგივე სამსახურის 2005 წლის 21 მარტის ზეპირი მოსმენის #ა/წ-22 სხდომის ოქმი. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 21 მარტის ზეპირი მოსმენის #ა/წ-22 სხდომის ოქმში არქიტექტურის სამსახურის 2004 წლის 21 იანვრის გეგმა-ნახაზის ბათილად ცნობის საფუძვლად მითითებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» პუნქტი, ხოლო ოქმში არ არის მოტივაცია, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება 2004 წლის 21 იანვრის გეგმა-ნახაზის კანონთან წინააღმდეგობა, ან რატომ არის დარღვეული აღნიშნული გეგმა-ნახაზის მომზადების ან გაცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. მოსარჩელები განმარტავენ, რომ 2004 წლის 21 იანვრის, ... ქ. #7-ის მიწის ნაკვეთის გეგმა-ნახაზის მომზადებას საფუძვლად დაედო თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მიერ გაცემული, ... ქ. #7-ში არსებული მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების საინვენტარიზაციო გეგმა, რომლის თანახმად, აღნიშნულ მისამართზე 1941 წლიდან არის აღრიცხული მიწის ნაკვეთი, ფართობი - 1593 კვ.მ, იგივე მონაცემებია ასახული 1979 წელს გაცემულ ... ქ. #7-ის გენგეგმაშიც, სადაც მიწის ნაკვეთი ფართობი ასევე მითითებულია 1593 კვ.მ. ზემოაღნიშნული დოკუმენტებით იხელმძღვანელა არქიტექტურის საქალაქო სამსახურმა, განახორციელა მიწის ნაკვეთის ხელახალი აზომვა და ამ დოკუმენტაციამში მითითებულ საზღვრებში მოამზადა გეგმა-ნახაზი, რის საფუძველზეც გაიცა საკადასტრო რუკა.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ 2004 წლის 21 იანვრის გეგმა-ნახაზის უკანონობაზე არ მიუთითებს 2005 წლის 21 მარტის სხდომაზე წარმოდგენილი თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1954 წლის 1 დეკემბრის #2685 გადაწყვეტილება, საინვენტარიზაციო გეგმა, გენგეგმა და სქემატური გენგეგმა, ვინაიდან, 2004 წლის 21 იანვრის გეგმა-ნახაზი არანაირად არ ზღუდავს ... ქ. #5-ის მობინადრეთა უფლებებსა და ინტერესებს. ზემოაღნიშნული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მითითებულ მისამართზე მიწის ნაკვეთი აღრიცხულია 1958 წლიდან ფართობი 720 კვ.მ და ეს საზღვრები დღემდე არ შეცვლილა, იგივე პარამეტრებში არსებობს დღესაც და წარმოადგენს აბსოლუტურად დამოუკიდებელ მიწის ნაკვეთს, რომელსაც საერთო არაფერი არ აქვს ... ქ. #7-ის მიწის ნაკვეთთან.

მოსარჩელეთა მითითებით, დარღვეულია გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტების მომზადებისა და გამოცემის წესი, ვინაიდან ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 21 მარტის ზეპირი მოსმენის #ა/წ-22 სხდომის ოქმი არ შეიცავს მოტივაციას 2004 წლის 21 იანვრის, ... ქ. #7-ის მიწის ნაკვეთის გეგმა-ნახაზის უკანონობაზე. ასევე აღნიშნულ ოქმში განხილვის საგნად მითითებულია ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად ცნობა, ხოლო ოქმის სარეზოლუციო ნაწილში აღნიშნულია, რომ უნდა გამოიყენოს ადმინისტრაციული აქტი გეგმა-ნახაზის ბათილად ცნობის თაობაზე, რაც განხორციელებული იქნა 2005 წლის 16 აპრილის #10 ბრძანებით. ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად ცნობა და ბათილად ცნობა სხვადასხვა იურიდიული კატეგორია და სხვადასხვა სამართლებრივ შედეგს იწვევს. მოსარჩელე მხარე მიუთითებს, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 21 მარტის ზეპირი მოსმენის დროს მოწვეულ პირებში, ... ქ. #5-ის მობინადრეთა შორის დასახელებულია

წარმომადგენელი კ. მ-ია, რაც არასწორია, ვინაიდან იგი იყო ... ქ. #7-ის მოზინადრეთა წარმომადგენელი. 2005 წლის 16 აპრილის #16 ბრძანება გამოცემულია შაბათ დღეს. არასამუშაო დღეებში ბრძანებების სახელმწიფო დაწესებულებების მიერ არ გამოიცემა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელები განმარტავენ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უხეშადაა დარღვეული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე, 96-ე, 97-ე მუხლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 30 აგვისტოს განჩინებით მოცემულ საქმეში მესამე პირებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით ჩაბმულ იქნენ გ. თ-მე, ჯ. დ-მე და გ. ბ-მე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 21 მარტის ზეპირი მოსმენის #ა/წ-22 სხდომის ოქმი და 2005 წლის 16 აპრილის #10 ბრძანება; ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ადმინისტრაციული აქტი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რ-ში ... ქ. #5 და #7 არსებული მრავალსართულიანი სახლების მიწის ნაკვეთის საზღვრების დადგენასთან დაკავშირებით დავის თაობაზე, რომლის განხილვის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად ცნობა, საქმეში წარმოდგენილი 2005 წლის 21 მარტის ზეპირი მოსმენის #ა/წ-22 სხდომის ოქმის თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 113-ე მუხლის შესაბამისად უნდა იქნეს გამოცემული ადმინისტრაციული აქტი 2004 წლის 21 იანვრის გეგმა-ნახაზის ბათილად ცნობის თაობაზე. 2005 წლის 16 აპრილის ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის #10 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი არქიტექტურის სამსახურის მიერ 2004 წლის 21 იანვრის, საარქივო ნომრით 65-გ-16 მიწის ნაკვეთის გეგმა-ნახაზი, წითელი ხაზები მომზადებული ... ქ. #7-სათვის. აღნიშნული ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში მითითა, რომ ბრძანება გასაჩივრდებოდა ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის მთავრობაში ან შესაბამის სასამართლოში ექვსი თვის ვადაში. მოსარჩელებს სასამართლოში სარჩელი აღძრული აქვთ 2005 წლის 13 ივნისს, ამდენად მათ მიერ გაწვევული არ არის კანონმდებლობით დადგენილი გასაჩივრების ვადა.

სასამართლომ განმარტებით წარმოდგენილი სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით, ასეთი სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხეს არ წარმოუდგენია და საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება იმის შესახებ, რომ სადავო ბრძანებების მიღების დროს შესწავლილი იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, არგუმენტებზე, რომლებიც არ არის სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი. ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციული აქტი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს წინასწარი გამოკვლევის გარეშე უარი განაცხადოს მის უფლებამოსილებაში შემავალ საკითხზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანებები - ადმინისტრაციული აქტები გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შესწავლის გარეშე. ამასთან, სასამართლომ გაიზიარა, რომ მოსარჩელებს აქვთ სადავო ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრეს მესამე პირებმა: გ. თ-მემ, ჯ. დ-მემ და გ. ბ-მემ; ასევე, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა.

მოცემულ საქმეზე შეგებებული სააპელაციო საჩივარი შეიტანეს მოსარჩელებმა დ. გ-მემ, თ. გ-მემ, მ. ი-ანმა, ვ. ს-მემ, თ. კ-მემ, დ. ა-შვილმა, ი. ც-მემ და მ. მ-ოვამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 23 თებერვლის განჩინებით განუხილველად იქნა დატოვებული ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2006 წლის 27 აპრილის განჩინებით დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაგზავნილიყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 23 თებერვლისა და 27 აპრილის განჩინებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 3 დეკემბრის განჩინებით საქმეში თ. კ-ძის უფლებამონაცვლედ ჩაბმულ იქნა პ. მ-ძე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 იანვრის განჩინებით საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად, გ. თ-ძე, ჯ. დ-ძე და გ. ბ-ძე ჩაბმულ იქნენ მესამე პირებად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 იანვრის განჩინებით სააპელაციო და შეგებებული სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3 «გ» მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ეთანხმება და მთლიანად იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით; სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რომლის გარეშე ამავე მუხლის მეორე ნაწილით დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. ამავე კოდექსის 95.2-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ადმინისტრაციული აქტი შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სადავო 2005 წლის 21 მარტის ზეპირი მოსმენის #ა/წ-22 სხდომის ოქმით დადგინდა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 113-ე მუხლის შესაბამისად გამოცემულ იქნეს ადმინისტრაციული აქტი 2004 წლის 21 იანვრის გეგმა-ნახაზის ბათილად ცნობის თაობაზე. დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში მომზადდეს ახალი გამოჯგენის დოკუმენტი, ხოლო ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 16 აპრილის #10 ბრძანებით ... ქუჩის #5 მობინადრეთა მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი არქიტექტურის სამსახურის მიერ 2004 წლის 21 იანვრს საარქივო ნომრით 65-გ-16 მიწის ნაკვეთის გეგმა-ნახაზი, წითელი ხაზები მომზადებული ... ქუჩა #7-სთვის. დაევალა არქივს, ზემოაღნიშნული გეგმა-ნახაზი, როგორც ბათილი ჩამოეწერა. აღნიშნული ეცნობა მიწის მართვის ეროვნულ სააგენტოს. ბრძანება გადაეგზავნა მარტივ ადმინისტრაციული წარმოებაში მონაწილე მხარეებს. განიმარტა ბრძანების გასაჩივრების წესი და ვადა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სადავო 2005 წლის 21 მარტის ზეპირი მოსმენის #ა/წ-22 სხდომის ოქმის მიხედვით სხდომამ განიხილა ქ. თბილისში ვაკე-საბურთალოს რ-ნში ... ქუჩა #5 და #7 არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთის საზღვრების დადგენასთან დაკავშირებული დავა. სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდნენ მოწვეული პირები: ... ქუჩა #5-ის მობინადრეები გ. თ-ძე, ჯ. დ-ძე, გ. ბ-ძე, კ. მ-ია. დამკვეთი: ... ქ. #7-ის მობინადრეები: დ. გ-ძე, ლ. გ-ძე, მ. ი-ანი, ვ. ს-ძე, ა. მ-ძე, თ. ა-შვილი. მოწვეული ექსპერტი და გენერალური ინსპექციის წარმომადგენელი. სხდომაზე ჯ. დ-ძემ დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა: ბათილად იქნეს ცნობილი არქიტექტურის სამსახურის მიერ 2004 წლის 21 იანვრს საარქივო ნომრით 65გ.16 მიწის ნაკვეთის გეგმა-ნახაზი, წითელი ხაზები მომზადებული ... ქუჩა #7-სთვის. წარადგინა მტკიცებულებები. სხდომაზე ... ქ. #7-ის წარმომადგენელმა ვერ წარადგინა წარმომადგენლობის დამადასტურებელი მტკიცება და უარი ეთქვა სიტყვით გამოსვლაზე.

საქმის ფურცელ 15-ზე განთავსებული მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების საინვენტარიზაციო გეგმის მიხედვით, ქ. თბილისში ვაკე-საბურთალოს რ-ნში, ... ქუჩა #7-ში: 17/100 ირიცხება დ. ა-შვილზე, 122/754 - კ. ლ-შხზე, 52/754 - თ. კ-ძეზე, 60/754 - დ. გ-ძეზე, 90/754 - მ. და ხ. ი-ანებზე, 67/754 - ნ. კ-ძეზე.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოწინააღმდეგე მხარის ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3 და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლით დადგენილი წესით ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე დამადასტურებელი მტკიცება, რომ სადავო 2005 წლის 21 მარტის ზეპირი მოსმენის #1/წ-22 სხდომაზე - ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად კანონით დადგენილი წესით მოწვეული იქნენ

დაინტერესებული მხარეები - ... ქუჩა #7-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრენი: დ. გ-ძე, თ. კ-ძე, ნ. კ-ძე, დ. ა-შვილი, ხ. ი-ანი, კ. ლ-შხი და ა.შ. ასევე, არ დასტურდება, რომ ამ უკანასკნელთ ეცნობათ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ არქიტექტურის სამსახურის მიერ 2004 წლის 21 იანვარს საარქივო ნომრით 65გ.16 მიწის ნაკვეთის გეგმა-ნახაზი, წითელი ხაზები ... ქუჩა #7-სთვის მომზადებული იქნა შპს «ლიკა 93»-ის მიერ და დამტკიცებული იქნა ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 2004 წლის 21 იანვრის #3 ბრძანებით. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა კი სადავო 2005 წლის 16 აპრილის #10 ბრძანების გამოცემისას არ იქნა გაითვალისწინა ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 2004 წლის 21 იანვრის #3 ბრძანება, რომელიც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. «ვ» მუხლის თანახმად (2005 წლის 15 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) არის აღმკურნელი ადმინისტრაციული აქტი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა ახალი ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოსცეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI და IX თავებით დადგენილი წესის შესაბამისად. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ უნდა აცნობოს დაინტერესებულ მხარეებს ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რ-ნში მდებარე ... ქუჩის #5 და #7 სახლის თანამესაკუთრეებს და უნდა უზრუნველყოს მათი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დავა არსებითად სწორად გადაწყვიტა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა და მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვის მიზნით სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება. კასატორი განმარტავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დატოვა სააპელაციო ინსტანციამ, დადგენილია, რომ ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რ-ნში ... ქ. #5 და #7 არსებული მრავალსართულიანი სახლების მიწის ნაკვეთის საზღვრების დადგენასთან დაკავშირებით დავის საგანია ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად ცნობა; ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 113-ე მუხლის თანახმად უნდა მომზადებულიყო და გამოცემულიყო ადმინისტრაციული აქტი 2004 წლის 21 იანვრის გეგმა-ნახაზის ბათილად ცნობის თაობაზე. ამასთანავე ჯ. დ-მის მიერ დაზუსტებული იქნა მოთხოვნა და მოითხოვა აქტის არა ძალადაკარგულად ცნობა, არამედ, მისი ბათილობა. კასატორის მოსაზრებით, ამ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება ჰქონდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამოდენიმე გადაწყვეტილებიდან შეერჩია ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება, კერძოდ, ძალადაკარგულობის ნაცვლად აქტი ეცნო ბათილად. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სადავო ბრძანების მიღების დროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესწავლილი არ იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რითაც სასამართლოს მითითებით დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, რომელიც არ არის სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი, მაგრამ სასამართლო ვერ უთითებს თუ რომელი გარემოებები და არგუმენტები არ იქნა, ან სათანადოდ ვერ იქნა შესწავლილი ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ სადავო ბრძანების გამოცემისას.

კასატორი მიუთითებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას დაეთანხმა სააპელაციო სასამართლო და დამატებით სადავო გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველად მიუთითა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სხდომის ოქმები აწარმოა არასწორად და არ მოიწვია დაინტერესებული მხარეები; ასევე, მიუთითა იმაზე, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტები, რომ არ გამოუკვლევია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები; მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაშია საუბარი იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა გამოეკვლია, ან რა ვერ გამოიკვლია ადმინისტრაციულმა ორგანომ აქტების გამოცემისას და რაში გამოიხატა მისი ქმედების კანონსაწინააღმდეგო ხასიათი. კასატორის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს, ან აპელაციას მაინც უნდა ემსჯელა იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეები რომც არ ყოფილიყვნენ მოწვეულნი (რასაც ადგილი ნამდვილად არ ჰქონია და თვით სადავო ზეპირი მოსმენის ოქმიდანაც ჩანს, რომ მოწვეულ პირებს წარმოადგენდნენ როგორც, ... ქ. #5-ის, ასევე - ... ქ. #7-ის მობინადრეები, ექსპერტი დ. ჩ-უა და გენერალური ინსპექციის წარმომადგენელი გ. ჩ-ძე. რომელთაც მიეცათ მტკიცებულებათა წარმოდგენისა და ახსნა-განმარტებების დაფიქსირების საშუალება, რის შემდეგაც ადმინისტრაციული ორგანო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გამოცემულიყო ბრძანება 2004 წლის 21 იანვრის გეგმა-ნახაზის ბათილად ცნობის თაობაზე) ადმინისტრაციულ წარმოებაზე, მიიღებდა თუ არა სხვაგვარ გადაწყვეტილებას ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური 2004 წლის 21 იანვრის არქიტექტურის სამსახურის, საარქივო ნომრით 65გ.16, აქტის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით.

არცერთ ინსტანციას არ უმსჯელია იმის შესახებ, თუ კანონის რომელი მოთხოვნა დაარღვია ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას, რომლის არარსებობის შემთხვევაში მიიღებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. სასამართლოებმა მხოლოდ ზოგადად ჩათვალეს, რომ ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 21 მარტის #ა/წ-22 ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი და 2005 წლის 16 აპრილის #10 ბრძანება. კასატორი მიუთითებს, რომ გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ 2005 წლის 24 ნოემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 30 ლარის გადახდა. «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» კანონის მე-5 მუხლის «უ» ქვეპუნქტის თანახმად კი იგი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მაისის განჩინება #ას-110-455-07), რაც სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთი საფუძველია. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მტკიცებულებათა გამოკვლევის სრულყოფილობის ნაწილში, რითაც დარღვეული იქნა საპროცესო ნორმები, კერძოდ სასამართლოს მიერ არ იქნა გამოკვლეული საქმეზე მტკიცებულებები სრულყოფილად, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი პუნქტის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, მოცემულ საქმეზე უცვლელი უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 იანვრის განჩინება; ასევე არ უნდა დაკმაყოფილდეს ქ.თბილისში, ... ქ. #5-ში მცხოვრები ქ. ე-შვილის განცხადება საქმის წარმოების შეჩერების და საქმეში მესამე პირად ჩართვის შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას სწორად გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილი; ამ ნორმის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რომლის გარეშე ამავე მუხლის მეორე ნაწილით დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 21 მარტის ზეპირი მოსმენის ოქმში მითითებულია, რომ ქ.თბილისში, ... ქ. #5-ში მცხოვრებმა მოზინადრებმა და ექსპერტმა დ. ჩ-უმ განმარტეს, რომ სადავო გეგმა ნახაზი მკვეთრად ლახავს ... ქ.#5-ის მოზინადრეთა ინტერესებს. გამოიჯვნა გადაწყვეტილია ტექნიკური კუთხით არასწორად. ტექნიკურს დოკუმენტიდან საზღვრები გადაწეულია. შეზღუდულია ... ქ. #5-ის მოზინადრეთა შესასვლელი საერთო სარგებლობის ეზოში. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ საქმეზე ადმინისტრაციული წარმოება ჩატარებულია ზერელედ, რადგან სადავო სხდომის ოქმში, ასევე სადავო ბრძანებაში არ არის დასაბუთებული, რატომ ილახება არსებითად ... ქ. #5-ის მცხოვრებლების ინტერესები. არადა, საქმე ეხება აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობას, რომელიც განსაკუთრებულადაა დაცული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილით (ასეთი აქტის ბათილად ცნობა არ დაიშვება, თუ იგი არსებითად არ ლახავს სახელმწიფო ან საზოგადო ინტერესს ან სხვა პირთა კანონიერ უფლებას). საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხეს უნდა დაესაბუთებინა კონკრეტულად რაში გამოიხატა ... ქ. #5-ის მცხოვრებელთა კანონიერი უფლების ან ინტერესის არსებითად შელახვა, რაც არ განხორციელებულა და შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი მითითებით.

საქმეში წარმოდგენილია ქ.თბილისში, ... ქ. #5-ის და #7-ის მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების თაობაზე 1941, 1954, 1958, 1979 წლების რამდენიმე საინვენტარიზაციო გეგმა. ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 21 მარტის ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმის შინაარსით ირკვევა, რომ სადავო გეგმა-ნახაზი არ არის შედარებული ამ საინვენტარიზაციო გეგმებს; არ არის დაკონკრეტებული რატომ არ შეესაბამება ზემოაღნიშნულ დოკუმენტებს სადავო გეგმა-ნახაზი.

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 21 მარტის ზეპირი მოსმენის # ა/წ-22 ოქმის შინაარსით ირკვევა, რომ ამ სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდნენ ... ქ. #5-ის შემდეგი მოზინადრეები: გ. თ-ძე, ჯ. დ-ძე, გ. ბ-ძე, კ. მ-ია. დამკვეთი: ... ქ. #7-ის მოზინადრეები: დ. გ-ძე, ლ. გ-ძე, მ. ი-ანი, ვ. ს-ძე, ა. მ-ძე, თ. ა-შვილი. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქმეში არსებული, მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების საინვენტარიზაციო გეგმის მიხედვით ქ. თბილისში ვაკე-საბურთალოს რ-წში ... ქუჩა #7-ში: 17/100 ირიცხება დ. ა-შვილზე, 122/754 - კ. ლ-შხზე, 52/754 - თ. კ-ძეზე, 60/754 - გ-ძე დავითზე, 90/754 - მ. და ხ. ი-ანებზე, 67/754 - ნ. კ-ძეზე; თვით სასარჩელო განცხადებიდანაც

ირვევა, რომ სადავო ოქმში მითითებულ პირთა გარდა ... ქ. #7-ში ცხოვრობენ ასევე მ. მ-ოვა, ი.ც-ძე, თ.კ-ძე. ამიტომ საკასაციო პალატას დასაბუთებულად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ ქ. თბილისში ... ქ. #7-ში მცხოვრები ყველა მოზინადრე დადგენილი წესით არ მიუწვევიათ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 21 მარტის ზეპირი მოსმენის სხდომაზე, სადაც იხილებოდა სადავო გეგმა-ნახაზის ბათილობის საკითხი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ ასევე სწორად აღნიშნა, რომ მოწინააღმდეგე მხარის ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი წესით ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე დამადასტურებელი მტკიცება, რომ სადავო 2005 წლის 21 მარტის ზეპირი მოსმენის #1/წ-22 სხდომაზე - ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად კანონით დადგენილი წესით მოწვეული იქნენ დაინტერესებული მხარეები - ... ქუჩა #7-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრენი, ასევე არ დასტურდება, რომ ამ უკანასკნელთ ეცნობათ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. საკასაციო პალატას აღნიშნულის დამადასტურებელ გარემოებად მიაჩნია ასევე, ... ქ. #5-ში მცხოვრები მოზინადრე ქ. ე-შვილის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოსადმი მიმართული განცხადებები (2008 წლის 16, 18, 21 და 24 ივლისის), რომლებშიც იგი მიუთითებს, რომ მისთვის უცნობი იყო ... ქ. #5-ში და #7-ში მცხოვრები მოზინადრეების დავის თაობაზე. ქ. ე-შვილი განცხადებაში მიუთითებს, რომ მას ჯერ კიდევ 1954 წლის 10 ივნისს ანდერძით მემკვიდრეობით გადაეცა სადავო მიწის ნაკვეთი; მან 2008 წლის 7 ივლისს განცხადებით მიმართა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს ზემოაღნიშნულ მისამართზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე. განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისში, ... ქ. #5-ის მიმდებარე მიწის 720 კვ.მ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის საბოლოოდ დასრულებამდე შეჩერდეს მოცემული საქმის განხილვა და იგი საქმეში მესამე პირად იქნეს ჩართული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატას დასაბუთებულად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ - ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა ახალი ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოსცეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI და IX თავებით დადგენილი წესის შესაბამისად. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ უნდა აცნობოს დაინტერესებულ მხარეებს ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რ-ში მდებარე ... ქუჩის #5 და #7 სახლის თანამესაკუთრეებს და უნდა უზრუნველყოს მათი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საკასაციო პალატას დასაბუთებულად მიაჩნია ქ. ე-შვილის განცხადება საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე-280-ე მუხლებით განსაზღვრულია საქმის წარმოების შეჩერების სამართლებრივი საფუძვლები. 279-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს მოვალეობას შეაჩეროს საქმის წარმოება შემდეგ შემთხვევებში: მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას, ან იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენს; მხარის მიერ ქმედუნარიანობის დაკარგვისას; შეიარაღებული ძალების მოქმედ ნაწილში მოპასუხის ყოფნისას ან ასეთივე ნაწილებში მყოფი მოსარჩელის თხოვნით; თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით; თუ საქმეს განხილავს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისია ან კომისიის კომიტეტი; მე-6 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხოლო 280-ე მუხლი კი სასამართლოს უფლებას აძლევს მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ: მხარე იმყოფება ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში ან გაწვეულია რაიმე სახელმწიფო მოვალეობის შესასრულებლად; მხარე იმყოფება ხანგრძლივ სამსახურებრივ მივლინებაში; მხარე იმყოფება სამკურნალო დაწესებულებაში ან ავად არის, რის გამოც საშუალება არ აქვს გამოცხადდეს სასამართლოში, და ეს დასტურდება სამედიცინო დაწესებულების ცნობით; გამოცხადებულია მოპასუხის ძებნა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში; სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა. ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქ. ე-შვილის მიერ მითითებული საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი უსაფუძვლოა და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა ასევე ვერ დააკმაყოფილებს ქ. ე-შვილის შუამდგომლობას მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩართვის შესახებ. მართალია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. მაგრამ იმავე კოდექსის 34<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილი მიუთითებს, რომ საკასაციო სასამართლოში ამ კოდექსის 16-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირები შეიძლება ჩაებან მათივე თანხმობით, თუ ისინი სადავოდ არ ხდიან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარადგენენ მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს. ვინაიდან ქ. ე-შვილმა სადავოდ გახადა ქ. თბილისში ... ქ. #5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება, ამიტომ საკასაციო პალატა თვლის, რომ მას უარი უნდა ეთქვას საკასაციო პალატაში მესამე პირად ჩაბმაზე.



საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად დატოვა უცვლელად პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილშიც, რომლითაც ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 30 ლარის გადახდა, რადგან «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» კანონის მე-5 მუხლის «უ» ქვეპუნქტის თანახმად იგი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» კანონს მე-5 მუხლის «უ» ქვეპუნქტი დაემატა 2006 წლის 25 ივლისს და იგი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან დაწესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან - ყველა საქმეებზე. საკასაციო პალატა თვლის, რომ ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილია 2005 წლის 24 ნოემბერს და იმ დროისათვის «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» კანონით ზემოაღნიშნული ნორმა არ იყო გათვალისწინებული, ამიტომ სააპელაციო პალატამ სწორად დატოვა უცვლელად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სახელმწიფო ბაჟის ნაწილშიც.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 34<sup>1</sup> მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 270-ე-280-ე, 410-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. არ დაკმაყოფილდეს ქ. ე-შვილის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ;
2. უარი ეთქვას ქ. ე-შვილს მესამე პირად ჩართვაზე;
3. არ დაკმაყოფილდეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის საკასაციო საჩივარი;
4. უცვლელი დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 იანვრის განჩინება;
5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **მხარის კანონიერი ნდობა; აქტის ბათილად ცნობის შეზღუდვა**

#### **განჩინება**

#ბს-966-927-(23-07) 26 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ცისკაძე,**

**ლ. მურუსიძე**

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულებებისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერების ბათილად ცნობა, ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

შპს «ბათუმის თამბაქოს კომბინატის» გაკოტრების მმართველმა თ. ცინცაძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. ა-ძისა და ნ. ფ-ვას მიმართ და 17.06.05წ. #1-3312 და #1-3311 ნასყიდობის ხელშეკრულებებისა და 20.05.05წ. საჯარო რეესტრის ჩანაწერების ბათილად ცნობა მოითხოვა. მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში აღნიშნავს, რომ ქ. ბათუმის მერიის 05.08.99წ. გადაწყვეტილებით ზ. ფ-ვას გამოეყო ქ. ბათუმში, ... ქ. 13-ში მდებარე მიწის ნაკვეთი შენობის ასაშენებლად. აღნიშნული მიწის ნაკვეთი ზ. ფ-ვამ მიიღო საკუთრებაში და შემდეგ 17.06.05წ. #1-3312 და #1-3311 ნასყიდობის ხელშეკრულებებით ნახევარი მიყიდა შპს «ბათუმის თამბაქოს კომბინატის» დირექტორს თ. ა-ძეს, ხოლო მეორე ნახევარი ნ. ფ-ვას, რომლებიც მესაკუთრეებად დარეგისტრირდნენ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 20.05.05წ. ჩანაწერებით. ქ. ბათუმის მთავრობის 17.02.06წ. დადგენილებით ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის მერიის 05.08.1999წ. გადაწყვეტილება ზ. ფ-ვასათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ. ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძველად ქ.

ბათუმის მთავრობამ მიუთითა «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» 28.10.98წ. კანონის მესამე მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სარგებლობასა და საკუთრებაში განკარგვა მმართველობის ორგანოების მიერ დასაშვებია მხოლოდ კონკურსის ან აუქციონის წესით, ხოლო მიწის პირდაპირი წესით განკარგვის საკითხს წყვეტს საქართველოს პრეზიდენტი. მოსარჩელის აზრით, მერიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა წარმოადგენდა მისგან გამომდინარე ყველა იურიდიული მნიშვნელობის აქტის ბათილად ცნობის საფუძველს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს შეგებებული სასარჩელო განცხადებით მიმართეს ნ. ფ-ვამ და თ. ა-ძემ ქ. ბათუმის მთავრობისა და შპს «ბათუმის თამბაქოს კომბინატის» მიმართ და მოითხოვეს ქ. ბათუმის მთავრობის 17.02.06წ. დადგენილების პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის ბათილად ცნობა, ხოლო თ. ა-ძემ ასევე მოითხოვა მორალური ზიანის - 5 000 ლარის ანაზღაურება.

შეგებებული სარჩელის ავტორთა განმარტებით ქ. ბათუმის მთავრობის 17.02.06წ. დადგენილება გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, რადგან სზაკ-ის 61-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგის გაუქმებას. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 05.05.05წ. გადაწყვეტილებით დადგინდა ქ. ბათუმის მერიის 05.08.99წ. #36 გადაწყვეტილების კანონიერება. შესაბამისად, მათ მერიის აქტის მიმართ გაუჩნდათ კანონიერი ნდობა და განახორციელეს იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება (მიწის ნაკვეთის შესყიდვა). ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი, ბათილად ეცნო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რის გამოც 17.06.05წ. ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნა საფუძველს არის მოკლებული.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 01.05.06წ. განჩინებით საქმის წარმოება შპს «ბათუმის თამბაქოს კომბინატის» გაკოტრების მართველისათვის მორალური ზიანის სახით 5000 ლარის დაკისრების ნაწილში შეწყდა მოსარჩელე თ. ა-ძის მიერ მოთხოვნის ამ ნაწილში სარჩელზე უარის თქმის გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 14.04.06წ. განჩინებით, სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში ზ. ფ-ვა ჩაება მე-3 პირად. ამავე სასამართლოს 08.11.06წ. საოქმო განჩინებით ძირითად სასარჩელო მოთხოვნაზე, ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის ნაწილში, საქმის წარმოება შეჩერდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებულ ქ. ბათუმის მთავრობის 17.02.06წ. დადგენილების პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის ბათილად ცნობის სასარჩელო მოთხოვნის გადაწყვეტამდე, ანუ შეგებებული სარჩელების განხილვამდე. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 08.11.06წ. საოქმო განჩინებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის ჩანაწერების ბათილად ცნობის მოთხოვნა განუხილველად იქნა დატოვებული მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ სარჩელის ამ ნაწილში გამომხმობის გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 08.12.06 წ. გადაწყვეტილებით ნ. ფ-ვასა და თ. ა-ძის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის მთავრობის 17.02.06წ. #45 დადგენილების პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებით ქ. ბათუმის მერიის 05.08.99წ. #36 გადაწყვეტილება წარმოადგენდა აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის საფუძველზეც 170 კვ.მ მიწის ნაკვეთი მშენებლობისათვის გამოეყო ზ. ფ-ვას. უკანასკნელმა აქტის საფუძველზე საკუთრებაში მიიღო უძრავი ნივთი და განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის ქმედება, კერძოდ, გაასხვისა იგი თ. ა-ძესა და ნ. ფ-ვაზე, რომლებიც ამჟამად მიწის მესაკუთრეებად არიან რეგისტრირებულნი საჯარო რეესტრში. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. სასამართლომ მიუთითა სზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლითაც დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს აქტის მიმართ. დაინტერესებული პირის კანონიერი ნდობა კი არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ბათუმის მერიამ და მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 08.12.06წ. გადაწყვეტილების და 08.11.06წ. და 08.12.06წ. წინმსწრები განჩინებების გაუქმება იმ საფუძველით, რომ დაუშვებელი იყო საქმის წარმოების შეჩერება თავდაპირველ სარჩელზე შეგებებული სარჩელის გადაწყვეტამდე, საქმის წარმოების შეჩერების შესახებ სასამართლომ გამოიტანა საოქმო განჩინება და არ მისცა მხარეებს მისი გასაჩივრების უფლება, მაშინ, როდესაც საქმის წარმოების შეჩერების შესახებ განჩინებაზე დაშვებულია კერძო საჩივრის შეტანა. აპელანტის მოსაზრებით საქმე არსებითადაც არასწორად იყო გადაწყვეტილი და არსებობდა მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 18.07.07წ. გადაწყვეტილებით ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით თ. ა-ძესა და ნ. ფ-ვას სარჩელები არ დაკმაყოფილდა. ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი 08.11.06წ. და 08.12.06წ. წინმსწრები განჩინებების გაუქმების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სზაკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერი ნდობა არ შეიძლება არსებობდეს, თუ მას საფუძვლად უდევს ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო დაპირება. ბათუმის მერიის 05.08.99 წ. #36 გადაწყვეტილების მიღებისას ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული ორგანოს (ბათუმის მერიის) მხრიდან კანონსაწინააღმდეგო დაპირებას და მოგვიანებით კანონსაწინააღმდეგოდ უძრავი ნივთის (მიწის ნაკვეთის) გადაცემას ზ. ფ-ვასათვის საკუთრებაში. «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვის და განკარგვის შესახებ» 28.10.98 წ. კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო მიწა სარგებლობაში ან საკუთრებაში განიკარგება კონკურსის, აუქციონის ან პირდაპირი განკარგვის წესით. ზ. ფ-ვას 170 კვ.მ მიწის ნაკვეთი კონკურსის ან აუქციონის წესით არ გადასცემია, ფაქტობრივად მას აღნიშნული მიწის ნაკვეთი გადაეცა პირდაპირი წესით, რისი უფლებაც ბათუმის მერიას არ გააჩნდა. მითითებული კანონის 3.8 მუხლით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის პირდაპირი წესით განკარგვის საკითხს წყვეტს საქართველოს პრეზიდენტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს აზრით, ზ. ფ-ვასზე მიწის ნაკვეთის გადაცემა განხორციელდა კანონდარღვევით არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა სადავო აქტის ბათილობის გამომრიცხავი გარემოება და მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული აქტის საფუძველზე დაინტერესებული მხარის - ზ. ფ-ვას მიერ განხორციელებული იყო იურიდიული მნიშვნელობის ქმედება, აქტის გამომცემ ორგანოს უფლება ჰქონდა, ბათილად ეცნო იგი. შესაბამისად, ქ. ბათუმის მთავრობის 17.02.06წ. #45 დადგენილების გამოცემით არ დარღვეულა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup>.4 და 218-ე მუხლის მოთხოვნები.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორად მიუთითა მიწის ნაკვეთის შემძენების - თ. ა-მისა და ნ. ფ-ვას კანონიერი ნდობის არსებობაზე, რადგან ქონების შემძენისას მათ კანონიერი ნდობის უფლება გააჩნდათ საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიმართ, (რომლითაც ნასყიდობის საგანი ზ. ფ-ვას სახელზე იყო რეესტრირებული) და არა 05.08.99 წ. #36 გადაწყვეტილების მიმართ, რომლითაც ზ. ფ-ვას გადაეცა მიწის ნაკვეთი.

რაც შეეხება ქ. ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას 08.11.06წ. და 08.12.06წ წინმსწრები განჩინებების გაუქმების შესახებ, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 08.12.06 საოქმო განჩინება, რომლითაც გაუქმდა თ. ა-მისა და ნ. ფ-ვას შეგებებული სარჩელების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინება, საქმეში არ მოიპოვება და არც საქმის სხვა მასალებით დასტურდება ასეთი განჩინების მიღების ფაქტი, ხოლო ბათუმის საქალაქო სასამართლოს 08.11.06წ. საოქმო განჩინება თავდაპირველ სარჩელზე საქმის წარმოების შეჩერების შესახებ კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი მიუხედავად იმისა, რომ მიღებულია საოქმო განჩინების ფორმით და სსკ-ის 282-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევით არ არის განმარტებული კერძო საჩივრით გასაჩივრების უფლება. სააპელაციო სასამართლოს აზრით, განჩინება არსებითად სწორია და საპროცესო დარღვევის არ არსებობის შემთხვევაში საქმეზე სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა გამორიცხულია. სსკ-ის 189-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს უფლება ჰქონდა ძირითად სარჩელზე შეჩერებინა საქმის წარმოება შეგებებული სარჩელის განხილვამდე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივრები შეიტანეს ნ. და ზ. ფ-ვებმა და თ. ა-მემ, რომლებმაც გადაწყვეტილების შეცვლით ახალი გადაწყვეტილების მიღება და ბათუმის მერიის 17.02.07წ. გადაწყვეტილების უკანონოდ ცნობა მოითხოვეს.

კასატორები მიუთითებენ, რომ სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის ფაქტი, რომ ქ. ბათუმის მერიის 05.08.99წ. გადაწყვეტილების კანონიერება დადგენილია ბათუმის საქალაქო სასამართლოს 05.05.05წ. გადაწყვეტილებით. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიცვალა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გარეშე, რაც წარმოადგენს სსკ-ის 421-ე და 422-ე მუხლებისა და მთელი მე-11 კარის დარღვევას. სასამართლომ არ იმსჯელა იმის შესახებ, თუ რატომ შეიცვალა პოზიცია ქ. ბათუმის მთავრობამ და თავისი აქტით ბათილად ცნო მერიის 05.08.99წ. გადაწყვეტილება სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 8 თვის შემდეგ, მაშინ, როდესაც აღნიშნული აქტის კანონიერების შემოწმებისას წარმოადგენდა მოპასუხეს და სასამართლოსაგან მოითხოვდა აქტის ძალაში დატოვებას. უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ გასაჩივრებული აქტის მიმართ მათ არ გააჩნდათ კანონიერი ნდობა და ნდობა გამომდინარეობდა მხოლოდ რეესტრის ჩანაწერის უტყუარობის პრეზუმფციიდან, რადგან ისინი იყვნენ სასამართლო პროცესის მონაწილეები და კანონიერი ნდობაც ძირითადად სწორედ სასამართლო გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობდა.

კასატორები აღნიშნავენ, რომ ქ. ბათუმის მერიის 05.08.99წ. გადაწყვეტილებით არ მომხდარა ზ. ფ-ვასათვის პირდაპირი წესით კი არ მიუყიდათ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, არამედ მას სახლის ასაშენებლად გამოეყო თამბაქოს კომბინატის ბალანსზე არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილი, სანაცვლოდ კი მან დათმო ქალაქის სხვა ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი ფართი, აგრეთვე, სხვადასხვა დროს გადაიხადა სხვადასხვა ოდენობის თანხა. აღნიშნულის გათვალისწინებით ბათუმის საქალაქო სასამართლომ იგი კუთვლინდისიერ შემძენად მიიჩნია. სასამართლომ არ იმსჯელა მათ მიერ მითითებულ ქ. ბათუმის მთავრობის 17.02.06წ. დადგენილების ბათილობის ერთ-ერთ

საფუძველზე. კერძოდ, დადგენილება გამოტანილ იქნა დაინტერესებული პირების მონაწილეობის გარეშე, რომლებიც არ იყვნენ მოწვეული ადმინისტრაციულ წარმოებაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძველების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ფ-ვას, ნ. ფ-ვებს და თ. ა-ძის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ქ. ბათუმის მერიის 05.08.99წ #36 გადაწყვეტილებით ზ. ფ-ვას ქ. ბათუმში, ... ქუჩის #13-ში გამოეყო მიწის ნაკვეთი სამსართულიანი შენობის ასაშენებლად. გამოყოფილი ნაკვეთი საკუთრების უფლებით აღირცხა ზ. ფ-ვას სახელზე, ხოლო 17.06.02წ. ამ უკანასკნელის მიერ გასხვისდა თ. ა-ძესა და ნ. ფ-ვაზე #1-3312 და #1-3311 ნასყიდობის ხელშეკრულებებით, რომელთა საფუძველზე ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში განხორციელდა ჩანაწერები და მიწის ნაკვეთები აღირცხა მყიდველების თ. ა-ძისა და ნ. ფ-ვას საკუთრებად. ქ. ბათუმის მთავრობის 17.02.06წ. დადგენილებით სზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე ბათილად გამოცხადდა ქ. ბათუმის მერიის 05.08.99წ. #36 გადაწყვეტილება მისი ძალაში შესვლის დღიდან. აქტის ბათილად ცნობის საფუძველად დადგენილებაში მიეთითა «არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» 28.10.98წ. კანონის 3.4 მუხლზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არის საკმარისად დასაბუთებული სააპელაციო პალატის მოსაზრება ქ. ბათუმის მერის 05.08.99წ. #36 გადაწყვეტილების მიმართ შეგებებული მოსარჩელების კანონიერი ნდობის არარსებობის შესახებ. ქ. ბათუმის მერის 05.08.99წ. #36 გადაწყვეტილების მიმართ მოსარჩელების კანონიერი ნდობის საკითხის არსებობაზე სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა არამხოლოდ სზაკ-ის 60<sup>1.4</sup> და 9.2 მუხლების, არამედ აგრეთვე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 05.05.05წ კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილების გათვალისწინებით. დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მერიის 05.08.99წ. #36 გადაწყვეტილების მიმართ კანონიერი ნდობა შეიძლება ჰქონოდა მხოლოდ ზ. ფ-ვას, ხოლო ნ. ფ-ვას და თ. ა-ძეს კანონიერი ნდობა შესაძლოა ჰქონოდათ მხოლოდ საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიმართ. საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობის პრეზუმფცია (სკ-ის 185-ე, 312.1 მუხლები) ადასტურებს ნ. ფ-ვას და თ. ა-ძის კანონიერ ნდობას არა მხოლოდ საჯარო ჩანაწერის, არამედ - იმ აქტის მიმართაც, რომელიც საფუძველად დაედო ასეთ ჩანაწერს. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში დაცული, სანოტარო წესით დადასტურებული უძრავი ქონების ნასყიდობის 17.06.05წ. ხელშეკრულების მიხედვით ნოტარიუსის მიერ შემოწმებულ იქნა ნასყიდობის საგანი (უძრავი ქონება, მიწის ნაკვეთი), რომელიც საკუთრების უფლებით ნამდვილად ეკუთვნოდა გამყიდველს, რაც 1-2211 და 1-3312 სანოტარო აქტების მიხედვით, საჯარო რეესტრის ამონაწერთან ერთად, დასტურდებოდა აგრეთვე მერიის 05.08.99წ. #36 გადაწყვეტილებით, რომლის კანონიერება თავის მხრივ აღიარებულია კანონიერ ძალაში მყოფი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 05.05.05წ. გადაწყვეტილებით. ხსენებული გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შპს «ბათუმის თამბაქოს კომბინატის» სარჩელი ქ. ბათუმის მერიის 05.08.99წ. #36 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის ხანდაზმულობისა და უსაფუძველობის გამო. შპს «ბათუმის თამბაქოს კომბინატის» წარმომადგენელი საქმეზე იყო თ. ა-ძე, ხოლო საქმეში მესამე პირად ჩართული იყო ზ. ფ-ვა. მოპასუხეს საქმეში წარმოადგენდა ქ. ბათუმის მერია, რომელმაც სარჩელი არ ცნო და მოითხოვდა მერიის 05.08.99წ. #36 გადაწყვეტილების კანონიერების ცნობას, ხოლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან რამდენიმე თვეში თავად ცნო ბათილად მითითებული გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 82.2 მუხლის, სსკ-ის 10-ე მუხლის თანახმად, სასამართლო აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულობა გულისხმობს იმას, რომ გადაწყვეტილება არ შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს რომელიმე სახელმწიფო ორგანოს, საჯარო თუ კერძო იურიდიული პირის და ნებისმიერი თანამდებობის პირის მიერ. ამ ორგანოებსა და პირებს უფლება არა აქვთ სასამართლო გადაწყვეტილებისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღონ. საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან მათი აღსრულების შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული საფუძველებითა და წესით. ადმინისტრაციული ორგანო და თანამდებობის პირი ვალდებული არიან ყოველნაირად შეუწყონ ხელი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას. შეგებებული სარჩელის ავტორები თავის სასარჩელო მოთხოვნას ქ. ბათუმის მთავრობის 17.02.06წ. #45 დადგენილების 1 პუნქტის «ა» ქვეპუნქტის ბათილად ცნობის შესახებ აფუძნებენ სწორედ იმ გარემოებას, რომ გასაჩივრებული დადგენილებით ბათილად ცნობილი აქტის კანონიერება დადგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, საქმის განხილვისას მონაწილეობდნენ იგივე მხარეები, ადმინისტრაციულ ორგანოს არ ქონდა უფლება ბათილად ეცნო 05.08.99წ. #36 გადაწყვეტილება. 05.05.05წ. გადაწყვეტილებით სასამართლომ სარჩელის ხანდაზმულობასთან ერთად იმსჯელა მის საფუძველიანობაზეც და არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქ. ბათუმის მერია არ იყო უფლებამოსილი განეკარგა სადავო ნაკვეთი. სსკ-ის 266-

ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, ასევე, მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. ამდენად, სასამართლოს უნდა ემსჯელოს ქ. ბათუმის სასამართლოს 05.05.05წ. გადაწყვეტილების და ქ. ბათუმის მთავრობის 17.02.06წ. სადავო დადგენილების გამოცემის სამართლებრივ საფუძველზე. დავის გადაწყვეტისას არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია ამ მიმართებით შეგებებული სარჩელის ავტორთა მოთხოვნის საფუძველიანობაზე, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს რაიმე მსჯელობას იმის შესახებ, თუ რატომ არ წარმოადგენს შეგებებული სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების დასკვნა ქ. ბათუმის მერიის 05.08.99წ. #36 გადაწყვეტილების კანონიერების შესახებ. შესაბამისად დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება ქ. ბათუმის მერიის 05.08.99წ. #36 გადაწყვეტილების მიმართ კასატორების კანონიერი ნდობის არ არსებობის შესახებ. სზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხლის თანახმად, დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება. აქტის ადრესატს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელებული აქვს იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება, კერძოდ ზ. ფ-ვამ მიწის ნაკვეთი მიჰყიდა თ. ა-მეს და ნ. ფ-ვას. კანონიერი ნდობის გამომრიცხავ გარემოებაზე - სასკ-ის 9.2 მუხლის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე - სააპელაციო პალატის მითითება არ არის საკმარისად დასაბუთებული, ვინაიდან სასამართლოს არ შეუფასებია საქმეში დაცული ქ. ბათუმის სასამართლოს 05.05.05წ. კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილება, რომლითაც დადასტურებულია ქ. ბათუმის მერიის 05.08.99წ. #36 გადაწყვეტილების კანონიერება.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ქ. ბათუმის მთავრობის 17.02.06წ. დადგენილების სადავო ნაწილით მერიის 05.08.99წ. #36 გადაწყვეტილება არის არა არარა აქტად გამოცხადებული, არამედ - ბათილად ცნობილი. მართალია, სზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხლი არ განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის დადგენილ ვადებს, მაგრამ ცხადია, რომ სამართლებრივი გარკვეულობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება, აქტის არარად ცნობისაგან განსხვავებით, შეზღუდულია დროის გარკვეული ფარგლებით. მიწის ნაკვეთი ზ. ფ-ვას საკუთრებაში გადაეცა ქ. ბათუმის მერიის 05.08.99წ. #36 გადაწყვეტილებით და საჯარო რეესტრში რეგისტრაციაში გატარდა ზ. ფ-ვას სახელზე, ქ. ბათუმის მერიის 05.08.99წ. #36 გადაწყვეტილება ბათილად გამოცხადდა ქ. ბათუმის მთავრობის 17.02.06წ. #45 დადგენილებით. ამდენად, მერიის სადავო დადგენილების კანონიერების დასადგენად სასამართლომ უნდა იმსჯელოს სადავო დადგენილების გამოცემის ხანდაზმულობის საკითხზე.

მხედველობაშია აგრეთვე მისაღები ის გარემოება, რომ სადავო დადგენილებით ბათილად ცნობილი მერიის 05.08.99წ. გადაწყვეტილება არის აღმჭურველი ხასიათის, სზაკ-ის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად. არ შეიძლება ამ კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ან დადასტურებული აღმჭურველი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება, თუ პირმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება ამ აქტის საფუძველზე, გარდა ამ კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» და «გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სააპელაციო პალატის დასკვნა იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში მოხდა არაუფლებამოსილი პირის მიერ მიწის ნაკვეთის გადაცემა, ანუ სზაკ-ის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევა, არ ადასტურებს სადავო დადგენილების მართლზომიერებას, ვინაიდან ქ. ბათუმის მთავრობის 17.02.06წ. დადგენილების სადავო ნაწილით ქ. ბათუმის მერიის კაბინეტის 05.08.99წ. #36 გადაწყვეტილება გამოცხადდა ბათილად, ხოლო არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა არის აქტის არარად აღიარების და არა ბათილად ცნობის საფუძველი.

არ არის საკმარისად დასაბუთებული, აგრეთვე, ქ. ბათუმის მთავრობის სადავო დადგენილებაში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ მიწის ნაკვეთი ზ. ფ-ვას გადაეცა «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» კანონის მე-3 მუხლის მე-4 და მე-8 პუნქტების დარღვევით. სააპელაციო პალატის სხდომაზე ზ. ფ-ვამ განაცხადა, რომ მას ნაკვეთი გადაეცა მოცლის წესით, ზ. ფ-ვას მიერ სხვა ფართის ჩაბარების სანაცვლოდ, რაც გამორიცხავდა სადავო მიწის ნაკვეთის ზ. ფ-ვასათვის გადაცემას კონკურსის ან აუქციონის წესით. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო პალატას არ გაურკვევია ამ მიმართებით საქმის გარემოებები.

კასატორები მიუთითებენ ქ. ბათუმის მთავრობის 17.02.06წ. დადგენილების სადავო ნაწილის ბათილად ცნობის ფორმალურ საფუძველზეც, კერძოდ, ნ. ფ-ვა და თ. ა-მე, როგორც სადავო ნაკვეთის ახალი მესაკუთრეები და მამასადამე სასკ-ის მე-2 მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად დაინტერესებული პირები, არ იყვნენ მოწვეულნი ადმინისტრაციულ წარმოებაში. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ადმინისტრაციული ორგანოსათვის ცნობილი იყო ზ. ფ-ვას მიერ ნაკვეთის გაყიდვის შესახებ, მიუხედავად ამისა ნ. ფ-ვა და თ. ა-მე ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმული არ ყოფილა, რითაც დაირღვა სზაკ-ის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა. მითითებული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს

დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოებს არ უმჯავლიათ შეგებებული სარჩელით გასაჩივრებული აქტის ფორმალური კანონიერების ასპექტებზე. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ქ. ბათუმის მთავრობის მიერ სადავო აქტის გამოცემა მოხდა სზაკ-ის მე-13 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, აღნიშნული ნორმის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხსენებულ მუხლში დეკლარირებული წესი ადმინისტრაციული წარმოების უმნიშვნელოვანეს პრინციპთაგანია, რომელიც მიზნად ისახავს იმ პირების მაქსიმალურ დაცვას, რომლის უფლებებსაც შესაძლოა შეეხოს გამოსაყენებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნული პირები უფლებამოსილი არიან მონაწილეობა მიიღონ ამ აქტის გამოცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში და თავისი გავლენა მოახდინონ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებაზე, რაც ხელს უწყობს არა მხოლოდ დაინტერესებული მხარის უფლებების დაცვას, არამედ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არსებითად სწორი, ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ, რეგისტრაციის სისტემის პრეზუმფიციდან გამომდინარე, აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, უზრუნველყო ადმინისტრაციულ წარმოებაში კასატორების ჩაბმა, ადმინისტრაციული წარმოების აღნიშნული წესის დარღვევამ გამოიწვია სზაკ-ის მე-13, 95-ე, 98-ე და 99-ე მუხლებით რეგლამენტირებული მოთხოვნების დარღვევა.

საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა იმსჯელოს საქმეში წარმოდგენილი ბათუმის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 05.05.05წ. გადაწყვეტილების სამართლებრივ შედეგებზე მოცემულ დავასთან მიმართებით და ამ თვალსაზრისით შეგებებული სარჩელის საფუძვლიანობაზე, ქ. ბათუმის მერიის 05.08.99წ. #36 გადაწყვეტილების მიმართ კასატორების კანონიერი ნდობის არსებობაზე, სზაკ-ის 60<sup>1</sup> და 218-ე მუხლებთან სადავო აქტის შესაბამისობაზე. სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვილოს სადავო დადგენილებასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები, გამოითხოვოს ქ. ბათუმის მერის მოადგილესთან ჩატარებული ადმინისტრაციული მოსმენის 15.02.06წ. #2 ოქმი, დაადგინოს ბათუმის მერიის 05.08.99წ. #36 გადაწყვეტილების გამოცემის წინაპირობები, კერძოდ, მიწის ნაკვეთის მონაცვლეობის ფაქტის არსებობა.

საკასაციო საჩივრები არ შეიცავს რაიმე არგუმენტს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილის მიმართ, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი წინმსწრები განჩინებების გაუქმებასთან დაკავშირებით, კასატორებს ამ მიმართებით არც საკასაციო პალატის სხდომაზე მოუყვანიათ რაიმე არგუმენტი, კასატორებმა აღნიშნეს, რომ საკასაციო მოთხოვნით გადაწყვეტილების ეს ნაწილი მოცული არ არის.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, 412-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ნ. ფ-ვას, ზ. ფ-ვას და თ. ა-ძის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.10.07წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 08.12.06წ. გადაწყვეტილება და თ. ა-ძეს და ნ. ფ-ვას სარჩელები არ დაკმაყოფილდა. ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

### განჩინება

#ბს-689-661-(კ-08)

23 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

**სარჩელის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 12 მარტს სს «კალასმა» სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 22 ივნისის #12.29.495 დადგენილებით მიღებულ იქნა მიწათსარგებლობის კომისიის წინადადება და დაკმაყოფილდა საავეჯო დეტალების კომბინატის თხოვნა ... ჩიხის #1-ში მის მიერ ფაქტობრივად დაკავებული ტერიტორიის დამაგრების შესახებ. «იურიდიული პირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლასა და ხელახალ რეგისტრაციასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილებებში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ» ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 4 სექტემბრის #18.21.1102 დადგენილებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 22 ივნისის #12.29.495 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილებები და სს «კალასს», როგორც საავეჯო დეტალების კომბინატის სამართალმემკვიდრეს, დაუმარდა თავის მიერ ფაქტობრივად დაკავებული 11,85 ჰა მიწის ნაკვეთი ... ჩიხის #1-ში. 2000 წლის 30 მარტს «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 4 სექტემბრის #18.21.1102 დადგენილების, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1994 წლის 18 ივლისის #03.08.40 დადგენილების, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000 წლის 23 მარტის #06-202/70 წერილისა და ქ. თბილისის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ 2000 წლის 28 მარტს გაცემული #24-735 ცნობის საფუძველზე, სს «კალასისთვის» გამოყოფილი მიწის ნაკვეთიდან 35053 კვ.მ მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებულ იქნა სს «კალასის» საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში.

მოსარჩელის განმარტებით, 2001 წლის 4 მარტს სს «კალასსა» და ქ. თბილისის მერიას შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება ქ. თბილისში, ... ჩიხის #1-ში მდებარე დანარჩენ - 76091 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და 2003 წლის 9 იანვარს აღნიშნული იჯარის ხელშეკრულება რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში. 2006 წლის 28 დეკემბერს სს «კალასმა» განცხადებით მიმართა შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა ქ. თბილისში, ... ჩიხის #1-ში მდებარე 76091 კვ.მ მიწის ნაკვეთის მის საკუთრებაში აღრიცხვა. 2007 წლის 11 იანვარს შესაბამისმა სარეგისტრაციო სამსახურმა სს «კალასს» გადასცა #0119-048610 გადაწყვეტილება სს «კალასის» განცხადების განხილვის ვადის დინების შეჩერების შესახებ, რომელშიც მიუთითა, რომ 18 კალენდარული დღის ვადაში წარსადგენი იყო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი, ხოლო მისი წარუდგენლობის შემთხვევაში, ხსენებული განცხადება დარჩებოდა განუხილველი. დასახელებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით 2007 წლის 16 იანვარს სს «კალასმა» შეიტანა ადმინისტრაციული საჩივარი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა 2007 წლის 12 თებერვლის #01/11-661/59/ბ წერილით სს «კალასს» უარი უთხრა მის სახელზე უძრავი ქონების რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრების უფლება ენიჭებოდა საქართველოს მოქალაქეს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს იმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც მათ ამ კანონის ამოქმედებამდე მიწის საკუთრების დამადასტურებელი საბუთით ჰქონდათ გამოყოფილი. სადავო უძრავი ქონება სს «კალასს» გადაეცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 და 1997 წლების შესაბამისი დადგენილებებით.

მოსარჩელის მტკიცებით, რაც შეეხებოდა ზემოაღნიშნული კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებს, რომელთა თანახმად, თუ ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირი არ გადაიხდიდა ამ კანონით დადგენილ ერთჯერად საზღაურს, იგი ვალდებული იყო, 1999 წლის 31

დეკემბრამდე მიწის ნაკვეთი გაეფორმებინა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სარგებლობის ფორმით (იჯარა, აღნაგობა, უზუფრუქტი, გირავნობა), 2001 წლის 4 მარტს ამ კანონის მიხედვით, სს «კალასმა» გააფორმა იჯარის ხელშეკრულება მის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და 2003 წელს კანონის მოთხოვნათა დაცვით, დაარეგისტრირა იგი საჯარო რეესტრში. «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონით განსაზღვრული იყო ერთჯერადი საზღაურის გადახდისთანავე მიწაზე საკუთრების უფლების მინიჭება. ამ კანონის ნორმების საფუძველზე უთხრა მოსარჩელეს უარი საჯარო რეესტრმა რეგისტრაციაზე, რითაც, მოსარჩელის მოსაზრებით, უხეშად დაირღვა კანონი და მისი, როგორც ქონების შემძენის, კანონიერი ინტერესები უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე. სს «კალასს» მის მფლობელობაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე გააჩნდა მიწის სარგებლობის დამადასტურებელი საბუთი.

მოსარჩელის განმარტებით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირველადი რეგისტრაცია წარმოებდა მიწით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე, რომელიც ოფიციალურად იყო აღრიცხული ან გაცემული რაიმე შესაბამისი სამსახურის მიერ. ამ შემთხვევაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე იყო გაცემული ზემოაღნიშნული მიწის ფართი. «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის «ა» ქვეპუნქტში პირდაპირ იყო მითითებული, რომ ამ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირები იხდიდნენ ჯარიმას მათ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური გადასახადის ოდენობით. სს «კალასმა» შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურს წარუდგინა მიწის გადასახადის შესახებ ცნობა, კერძოდ, 2006 წლის 27 დეკემბერს გაორმაგებული თანხის გადახდის თაობაზე #54 საგადასახადო დავალება და #01/101/684 ცნობა სახელმწიფოს მიმართ სს «კალასის» დავალიანების არარსებობის შესახებ.

მოსარჩელის მტკიცებით, ამ შემთხვევაში არ არსებობდა «უძრავ ქონებაზე უფლების რეგისტრაციის შესახებ» კანონის 24-ე მუხლით განსაზღვრული სარეგისტრაციო წარმოებაზე უარის თქმის არც ერთი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 12 თებერვლის #01/11-661/59/ზ წერილის ბათილად ცნობა და ქ. თბილისში, ... ჩიხის #1-ში მდებარე 76091 კვ.მ მიწის ნაკვეთის სს «კალასის» სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისთვის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 მაისის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა ქ. თბილისის მერია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით სს «კალასს» უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 22 ივნისის #12.29.495 დადგენილებით მიღებულ იქნა მიწათსარგებლობის კომისიის წინადადება და დაკმაყოფილდა სავაჭრო დეტალების კომბინატის თხოვნა ... ჩიხის #1-ში მის მიერ ფაქტობრივად დაკავებული ტერიტორიის დამაგრების შესახებ. «იურიდიული პირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლასა და ხელახალ რეგისტრაციასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილებებში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ» ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 4 სექტემბრის #18.21.1102 დადგენილების თანახმად, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლასა და ხელახალ რეგისტრაციასთან დაკავშირებით, შეტანილ იქნა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 22 ივნისის #12.29.495 დადგენილებაში და სს «კალასს», როგორც თბილისის საავიჯო დეტალების კომბინატის სამართალმემკვიდრეს, დაუმაგრა მის მიერ დაკავებული 11,85 ჰა მიწის ნაკვეთი ... ჩიხის #1-ში. 2000 წლის 30 მარტს საჯარო რეესტრიდან გაცემული ამონაწერით დასტურდებოდა, რომ «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 4 სექტემბრის #18.21.1102 დადგენილების, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1994 წლის 18 ივლისის #03.08.40 დადგენილების, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000 წლის 23 მარტის #06-202/70 წერილისა და ქ. თბილისის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ 2000 წლის 28 მარტს გაცემული #24-735 ცნობის საფუძველზე, 35053 კვ.მ მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებულ იქნა სს «კალასის» საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2001 წლის 4 მარტს სს «კალასსა» და ქ. თბილისის მთავრობას შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება ქ. თბილისში, ... ჩიხის #1-ში მდებარე 76091 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. ხსენებული იჯარის ხელშეკრულების ვადად განისაზღვრა 30 წელი, ხოლო ამ ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძველად მიეთითა კონსტიტუციაზე, სამოქალაქო კოდექსზე, «არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის



მართვისა და განკარგვის შესახებ» კანონზე, «მიწის რეგისტრაციის შესახებ» კანონზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 4 სექტემბრის #18.21.1102 დადგენილებასა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000 წლის 23 მარტის #06-202/70 წერილზე. 2006 წლის 28 დეკემბერს სს «კალასმა» განცხადებით მიმართა შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარეგისტრაციო არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონის თანახმად, ქ. თბილისში, ... ჩიხის #1-ში მდებარე 76091 კვ.მ მიწის ნაკვეთის მის საკუთრებაში აღრიცხვა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარეგისტრაციო არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონის თანახმად, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადება ნიშნავდა ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მათ სარეგისტრაციო არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე კერძო საკუთრების უფლების მინიჭებას, ხოლო სარეგისტრაციო არსებული მიწის ნაკვეთი გულისხმობდა დადგენილი წესით ფიზიკური პირების ან კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის გამოყოფილ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, მიწის გამოყოფის დადგენილი წესი კი მიწით მოსარეგისტრაციოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყოფის დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მიწის გამოყოფის წესს. გამოყოფილი მიწა გულისხმობდა ფიზიკური პირების ან კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მიწით სარეგისტრაციოს უფლების დამადასტურებელი საბუთით განსაზღვრული ფორმით სარეგისტრაციო გადაცემულ მიწას. ამ კანონის მიზნებისათვის, მიწით სარეგისტრაციოს უფლების დამადასტურებელი საბუთი იყო ამ კანონის ამოქმედებამდე დადგენილი წესით, რომელიმე შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული მიწის ნაკვეთის მიმაგრების აქტი ან მიწის ნაკვეთის გეგმა ან სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

საქალაქო სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელესა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოს შორის საიჯარო ხელშეკრულება ქ. თბილისში, ... ჩიხის #1-ში მდებარე 76091 კვ.მ მიწის ნაკვეთზე დაიდო 2001 წლის 4 მარტს, ხოლო «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარეგისტრაციო არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონი მიღებულ იქნა 1998 წლის 28 ოქტომბერს, რომელიც ვრცელდებოდა ამ კანონის მიღებამდე არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე, ხოლო მიწით სარეგისტრაციოს უფლების დამადასტურებელ საბუთად მიიჩნეოდა ამ კანონის ამოქმედებამდე დადგენილი წესით, რომელიმე შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული მიწის ნაკვეთის მიმაგრების აქტი ან მიწის ნაკვეთის გეგმა ან სათანადო წესით დამოწმებული ასლი, ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, თუ ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი არ გადაიხდიდა ამ კანონით დადგენილ ერთჯერად საზღაურს, იგი ვალდებული იყო, 1999 წლის 31 დეკემბრამდე მიწის ნაკვეთი გაეფორმებინა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სარეგისტრაციოს (იჯარა, აღნაგობა, უზუფრუქტი, ქირავნობა) ფორმით. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ერთჯერადი საზღაურის გადახდისთანავე მას მიენიჭებოდა მიწაზე კერძო საკუთრების უფლება.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2000 წლის 30 მარტს სს «კალასის» მიერ მისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთიდან 35053 კვ.მ-ზე, განხორციელდა საკუთრების უფლების რეგისტრაცია, ხოლო მიწის ნაკვეთის დანარჩენ ფართზე მოსარჩელის მიერ ვერ იქნა შესრულებული ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნები, რაც საფუძველი გახდებოდა მისი საკუთრების უფლებით რეგისტრაციისა. რაც შეეხებოდა 2001 წლის 4 მარტს სს «კალასსა» და ქ. თბილისის მთავრობას შორის დადებულ იჯარის ხელშეკრულებას, მის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსი და «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» კანონი. 2007 წლის 22 ივნისამდე მოქმედი «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» კანონი, რომელიც მიღებულ იქნა 1998 წლის 28 ოქტომბერს, აწესრიგებდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის საკითხებს და განსაზღვრავდა იმ სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას, რომლებიც სახელმწიფო მიწის განკარგვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში წარმოადგენდა სახელმწიფოს. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების განკარგვის შეზღუდვებს აწესებდა ხსენებული კანონის მე-3 მუხლი, კერძოდ, იგი განსაზღვრავდა იმ წესს, რომლის მიხედვითაც, სარეგისტრაციო ან საკუთრებაში განიკარგებოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი. «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო მიწა სარეგისტრაციო ან საკუთრებაში განიკარგებოდა კონკურსის, აუქციონის ან პირდაპირი განკარგვის წესით, ხოლო ამავე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის პირდაპირი წესით განკარგვის საკითხს წყვეტდა საქართველოს პრეზიდენტი. ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იყო უსაფუძვლო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს «კალასმა», რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით სს «კალასის» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სს «კალასის» სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2007 წლის 12 თებერვლის #01/11-661/59/ზ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მასვე დაევალა, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, იმავე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას პირველი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, ასევე, დაარღვია ამავე კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტი - ხსენებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ იყო საკმარისად დასაბუთებული, რაც მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები, მიუთითა მათზე და ამასთან, აღნიშნა, რომ, მართალია, ქ. თბილისის მერიასა და სს «კალასს» შორის 2001 წლის 4 მარტის ხელშეკრულებას საფუძველად დაედო «არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» და «მიწის რეგისტრაციის შესახებ» კანონები, თუმცა იმავდროულად, ხსენებული ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძველად მიეთითა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 4 სექტემბრის დადგენილებაზე, რომლითაც სს «კალასს» დაუმარტა მის მიერ დაკავებული, ქ. თბილისში, ... ჩიხის #1-ში მდებარე 11,85 ჰა მიწის ნაკვეთი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2001 წლის 4 მარტის ხელშეკრულების დადებისას და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისას მოქმედი «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» კანონის მე-2 მუხლის დეფინიციით, ამ კანონის რეგულირების სფეროს განეკუთვნებოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვა და განკარგვა. ამ კანონის პირველი მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, განკარგვა, ამ კანონის მიზნებისათვის, ნიშნავდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემას, ხოლო ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო მიწა სარგებლობაში ან საკუთრებაში განიკარგებოდა კონკურსის, აუქციონის ან პირდაპირი განკარგვის წესით. «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» კანონი მიღებულ იქნა 1998 წლის 28 ოქტომბერს. ამ კანონის მე-14 მუხლის თავდაპირველი რედაქციის თანახმად, ამავე კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტით განისაზღვრა, რომ ამ კანონის მოქმედება არ უნდა გავრცელებულიყო მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონის საფუძველზე, გადავიდა კერძო საკუთრებაში. 1999 წლის 22 ივნისის #2294 კანონით მითითებულ მუხლში განხორციელებული ცვლილების მიხედვით, სიტყვები - «გადავიდა კერძო საკუთრებაში» შეიცვალა სიტყვებით: «ექვემდებარება კერძო საკუთრებაში გადაცემას».

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» კანონი ცალსახად ადგენდა ამ კანონის მიზნებისათვის მიწის განკარგვის წესს, რომლითაც არ მომხდარა სს «კალასის» მიერ მიწაზე სარგებლობის უფლების მოპოვება (კონკურსი, აუქციონი, პირდაპირი მიყიდვა). ამასთან, მითითებული კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტით განისაზღვრა მიწის ნაკვეთები, რომლებზეც აღნიშნული კანონის მოქმედება არ უნდა გავრცელებულიყო. კანონმდებელმა ასეთად მიიჩნია ის მიწის ნაკვეთები, რომლებიც მოქცეული იყო «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონის სამართლებრივი რეგულირების სფეროში.

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ თბილისის საავეჯო დეტალების კომბინატმა, ხოლო შემდგომ, მისმა სამართალმემკვიდრე სს «კალასმა» მიწაზე სარგებლობის უფლება მოიპოვეს ჯერ 1995 წლის 22 ივნისის შესაბამისი დადგენილებით, ხოლო შემდეგ მითითებულ დადგენილებაში ცვლილების შეტანის საფუძველზე - 1997 წლის 4 სექტემბერს, ანუ «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» და «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» კანონების მიღებამდე. «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონი მიღებულ იქნა 1998 წლის 28 ოქტომბერს, რომლითაც განისაზღვრა, რომ ეს კანონი აწესრიგებდა

ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებულ სახელმწიფო საკუთრების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე კერძო საკუთრების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მიწაზე კერძო საკუთრების უფლება ენიჭებოდათ საქართველოს მოქალაქეს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს იმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე მათ მიწით სარგებლობის დამადასტურებელი საბუთით ჰქონდათ გამოყოფილი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ სს «კალასს» სადავო მიწის ნაკვეთი იმჟამად ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მიერ სარგებლობის დამადასტურებელი საბუთით ჰქონდა გამოყოფილი, რაც სადავოდ არ გაუხდია მიწის განმკარგავს და შესაბამისად, ქ. თბილისის მერიასა და სს «კალასს» შორის გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება, სწორედ ამ კანონის ამოქმედებამდე მიღებული მიწით სარგებლობის დამადასტურებელი საბუთის და არა «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» კანონის საფუძველზე, როგორც ეს საიჯარო ხელშეკრულებაში იქნა არასწორად მითითებული, რასაც თავისთავად, არ შეიძლება გამოეწვია მიწით სარგებლობის ფაქტობრივი თუ სამართლებრივი საფუძვლის შეცვლა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-2 პუნქტით დაწესებული ერთჯერადი საზღაური გადაიხდებოდა 1998 წლის 31 დეკემბრამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ ერთჯერადი საზღაური ორმაგდებოდა. კანონის მითითებული ნორმა, სააპელაციო სასამართლოს მოსარგებლთ, არ იძლეოდა ნორმის იმგვარად ინტერპრეტაციის საშუალებას, რომ თუკი მიწით მოსარგებლე 1998 წლის 31 დეკემბრამდე ვერ გადაიხდიდა დაწესებულ ერთჯერად საზღაურს, მის მიმართ ავტომატურ რეჟიმში ამოქმედდებოდა «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» კანონი, რომელიც სულ სხვა სამართლებრივ რეჟიმში აქცევდა მიწათმოსარგებლეს და თავად მიწის განმკარგველს, რაც კანონის არასწორ განმარტებას წარმოადგენდა, რადგან «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონით დადგენილი ერთჯერადი საზღაურის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ ერთჯერადი საზღაური ორმაგდებოდა, რომლის გადახდის შემდეგ მიწით მოსარგებლე ამავე კანონით დადგენილი წესით, მოიპოვებდა მიწაზე საკუთრების უფლებას. ამასთან, საგულისხმო იყო ის გარემოებაც, რომ სს «კალასმა», მითითებული კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით, გააფორმა საიჯარო ხელშეკრულება, რომლის დროსაც ქ. თბილისის მერიას სადავოდ არ გაუხდია ხელშეკრულების გაფორმების ვადა (1999 წლის 31 დეკემბრამდე), აღნიშნულის შემდეგ კი, მიწით მოსარგებლის მიმართ ამოქმედდა ხსენებული კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის დათქმა - «ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ერთჯერადი საზღაურის გადახდისთანავე მას მიენიჭებოდა მიწაზე კერძო საკუთრების უფლება» და არა - «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» კანონი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისას არ უმსჯელია იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2007 წლის 12 თებერვლის #01/11-661/59/ზ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საკითხზე, რაც სარჩელის, დავის საგანს წარმოადგენდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული წარმოადგენდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ საპროცესო ნორმის დარღვევას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება ყოფილიყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა კანონმდებლობასთან და ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე. ამავე კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილი იყო, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ეცნო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული ორგანოსთვის დაევალებინა, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოეცა ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობდა მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის მოსარჩელეს გააჩნდა კანონიერი ინტერესი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ 2007 წლის 12 თებერვლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას გამოკვლეული არ ყოფილა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ, სს «კალასი» წარმოადგენდა

«ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონის, თუ «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» კანონის სამართალსუბიექტს, გადახდილი ჰქონდა თუ არა სს «კალასს» მიწის ერთჯერადი საზღაურის ორმაგი ოდენობა (საქმის მასალებში წარმოდგენილი 2006 წლის 27 დეკემბრის #54 საგადასახადო დავალების თანახმად, სს «კალასს» გადახდილი ჰქონდა მიწის რენტის (პრივატიზაციის) საზღაური - (11413,65X2) 22827,30 ლარი) და «უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ» კანონის რომელი მოთხოვნები იქნა დარღვეული სს «კალასის» მიერ.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» კანონი, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში დავის განხილვის დროისათვის, ძალადაკარგული იყო 2007 წლის 22 ივნისის #5049-IX კანონით, ხოლო «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონი ძალადაკარგული იყო «ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ» პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის #525 ბრძანებულების ამოქმედებისთანავე, რომლის მე-3 მუხლით განისაზღვრა იმ მიწის ნაკვეთების კატეგორია, რომლებიც ექვემდებარებოდა საკუთრების უფლების აღიარებას, მათ შორის, მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია და აღნიშნა, რომ მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ სს «კალასს» ქ. თბილისში, ... ჩიხის #1-ში მდებარე მიწის ნაკვეთი ჰქონდა მართლზომიერ მფლობელობაში, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ზემოთ მითითებული ნორმატიული აქტის საფუძველზე, ექვემდებარებოდა სახელმწიფოს მიერ მის საკუთრებად აღიარებას და შესაბამისად, მის სამართლებრივ რეგისტრაციას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის სახით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სააპელაციო სასამართლოს მიერ გაგზავნილი სააპელაციო საჩივრის ასლი შევიდა 2008 წლის 18 თებერვალს, ხოლო სასამართლო უწყება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს არ მიუღია, ანუ სააპელაციო სასამართლოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის არ უცნობებია საქმის განხილვის თარიღი, რითაც დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის არ იყო ცნობილი სააპელაციო საჩივრის განხილვის თარიღი და ხსენებულ სააგენტოს არ მიეცა საშუალება, მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

კასატორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების პროცესში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საფუძველიანად იქნა შესწავლილი, როგორც ქ. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში არსებული სარეგისტრაციო წარმოების მასალები, ისე სს «კალასის» საჩივარი და მიღებულ იქნა მართლზომიერი და მიზანშეწონილი გადაწყვეტილება. სადავო აქტი დაფუძნებულია მისი მიღების დროს მოქმედ კანონმდებლობაზე, აგრეთვე, იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე და არგუმენტებზე, რომლებიც წარმოდგენილი, გამოკვლეული და შესწავლილ იქნა ადმინისტრაციული წარმოების დროს. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ 2001 წლის 4 მარტს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება უკანონოა, რადგან მასში არ უნდა ყოფილიყო მითითებული «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» კანონი. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ხსენებული ხელშეკრულება უკანონოა, იგი არავის გაუუქმებია და მის საფუძველზე, 2003 წლის 9 იანვარს საჯარო რეესტრში განხორციელდა იჯარის რეგისტრაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, უძრავ ნივთზე, რომელზეც საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო იჯარა, ვერ გავრცელდებოდა «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონი.

კასატორის განმარტებით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიწის ნაკვეთების (უძრავი ნივთების) რეგისტრაციაში გატარებას არ აწარმოებს. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აწარმოებს უძრავ ნივთებზე უფლებების (საკუთრება, იპოთეკა, აღნაგობა, უზუფრუქტი, სერვიტუტი, ქირავნობა, ქვექირავნობა, იჯარა, ქვეიჯარა, თხოვება), ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. აღნიშნული უფლებების რეგისტრაცია წარმოებს სამოქალაქო გარიგებების შედეგად შედგენილი ან შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიღებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე და მათ შესაბამისად. სააპელაციო

სასამართლომ ამ საქმეზე (სადაც მოპასუხე მხარეს წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი კომისია) გამოტანილ გადაწყვეტილებაში დადგენილად მიიჩნია და აღნიშნა, რომ მხარეებს სადავოდ არ გაუზღიდათ ის გარემოება, რომ სს «კალასს» ქ. თბილისში, ... ჩიხის #1-ში მდებარე მიწის ნაკვეთი აქვს მართლობიერ მფლობელობაში, რომელიც «ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ» პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის #525 ბრძანებულების საფუძველზე, ექვემდებარება სახელმწიფოს მიერ მის საკუთრებად აღიარებას და შესაბამისად, მის სამართლებრივ რეგისტრაციას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით. სასამართლოს აღნიშნული მსჯელობაც არ გამომდინარეობს კანონმდებლობიდან, არსებული ფაქტობრივი საფუძვლებიდან და არ შეესაბამება რეალობას, რადგან სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არ არის ის ორგანო, რომელსაც გააჩნია უძრავ ნივთზე უფლების დამადასტურებელი საბუთის მიღებისა და გაცემის უფლებამოსილება. უფლების რეგისტრაციის თაობაზე მარეგისტრირებელი ორგანო მართლაც იღებს წერილობით გადაწყვეტილებას, ანუ გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულების საფუძველზე, მიწის ნაკვეთებზე პირთა საკუთრების უფლების აღიარებას ახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაბამისი კომისიები და არა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რისთვისაც სს «კალასმა» უნდა მიმართოს ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა ისინი და სრულიად უსაფუძვლოდ, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე მიიჩნია გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უკანონოდ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 12 სექტემბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 12 სექტემბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ნოემბრის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 16 დეკემბერს, 12.00 საათზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 22 ივნისის #12.29.495 დადგენილებით მიღებულ იქნა მიწათსარგებლობის კომისიის წინადადება და დაკმაყოფილდა სავაჭრო დეტალების კომბინატის თხოვნა ... ჩიხის #1-ში მის მიერ ფაქტობრივად დაკავებული ტერიტორიის დამაგრების შესახებ. «იურიდიული პირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლასა და ხელახალ რეგისტრაციასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილებებში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ» ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 4 სექტემბრის #18.21.1102 დადგენილების თანახმად, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლასა და ხელახალ რეგისტრაციასთან დაკავშირებით, შეტანილ იქნა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1995 წლის 22 ივნისის #12.29.495 დადგენილებაში და სს «კალასს», როგორც თბილისის საავიჯო დეტალების კომბინატის სამართალმემკვიდრეს, დაუმადგრა მის მიერ დაკავებული 11,85 ჰა მიწის ნაკვეთი ... ჩიხის #1-ში. 2000 წლის 30 მარტს საჯარო რეესტრიდან გაცემული ამონაწერის თანახმად, «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 4 სექტემბრის #18.21.1102 დადგენილების, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1994 წლის 18 ივლისის #03.08.40 დადგენილების, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000 წლის 23 მარტის #06-202/70 წერილისა და ქ. თბილისის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ 2000 წლის 28 მარტს გაცემული #24-735 ცნობის საფუძველზე, 35053 კვ.მ მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებულ იქნა სს «კალასის» საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში. 2001 წლის 4 მარტს სს «კალასსა» და ქ.

თბილისის მთავრობას შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება ქ. თბილისში, ... ჩიხის #1-ში მდებარე 76091 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ხოლო ხსენებული იჯარის ხელშეკრულების ვადად განისაზღვრა 30 წელი, ამ ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძვლად კი მიეთითა საქართველოს კონსტიტუციაზე, სამოქალაქო კოდექსზე, «არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» კანონზე, «მიწის რეგისტრაციის შესახებ» კანონზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 4 სექტემბრის #18.21.1102 დადგენილებასა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000 წლის 23 მარტის #06-202/70 წერილზე. 2006 წლის 28 დეკემბერს სს «კალასმა» განცხადებით მიმართა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონის თანახმად, ქ. თბილისში, ... ჩიხის #1-ში მდებარე 76091 კვ.მ მიწის ნაკვეთის მის საკუთრებაში აღრიცხვა. 2007 წლის 16 იანვარს სს «კალასმა» შეიტანა ადმინისტრაციული საჩივარი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მოითხოვა მისი განცხადების განხილვის ვადის შეჩერების შესახებ სამგორი-ნაძალადევის სექტორის სახელმწიფო რეგისტრატორის 2007 წლის 1 ოქტომბრის #0119-048610 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 2007 წლის 12 თებერვლის #01/11-661/59/ზ წერილით სს «კალასს» უარი უთხრა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე - მის სახელზე უძრავი ქონების რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრების უფლება ენიჭებოდა საქართველოს მოქალაქეს და კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს იმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც მათ ამ კანონის ამოქმედებამდე მიწის საკუთრების დამადასტურებელი საბუთით ჰქონდათ გამოყოფილი, სს «კალასს» კი არ ჰქონდა აღნიშნული კანონით გათვალისწინებული ვალდებულება და შესაბამისად, მასზე ვერ გავრცელდებოდა «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასამართლო უწყება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს არ მიუღია და სააპელაციო სასამართლოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის არ უცნობებია საქმის განხილვის თარიღი, რითაც დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესი, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის არ იყო ცნობილი სააპელაციო საჩივრის განხილვის თარიღი და ხსენებულ სააგენტოს არ მიეცა საშუალება, მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

ამასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში წარმოდგენილ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის რეესტრზე, რომლის მიხედვითაც, ამ საქმის მხარეებს, მათ შორის, სს «კალასს» ჯერ კიდევ 2008 წლის 14 თებერვალს გაეგზავნა 2008 წლის 13 მარტს, 14.30 საათზე დანიშნული სასამართლო სხდომის უწყება და მოწი-ნაადმდეგე მხარის სააპელაციო საჩივრის ასლი, ხოლო აღნიშნული გზავნილი სს «კალასს» ჩაჰბარდა 2008 წლის 19 თებერვალს, რაც დასტურდება საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით, რომელშიც სიტყვა-სიტყვით არის მითითებული ამ გზავნილის შემცველობაზე - უწყება და სააპელაციო საჩივარი და ამავე შეტყობინებაზე დასმულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მრგვალი ბეჭედი. აქედან გამომდინარე, მართალია, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი არ გამოცხადდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის სხდომაზე, მაგრამ ის გარემოება, რომ ამ სააგენტოსთვის არ იყო ცნობილი ხსენებული სასამართლო სხდომის თაობაზე, მოცემული საქმის მასალებით არ დასტურდება.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმი-ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით რეგლამენტირებული საპროცესო ნორმის გამოყენებისას სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ არის მისთვის შეუძლებელი საქმის გარემოებების გამოკვლევა და სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტა საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებით, ასევე, ის გარემოება, რომ კონკრეტული გარემოებების გამოკვლევა და შეფასება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს, რის გამოც სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას,

გამოიკვილოს და სათანადოდ შეაფასოს საქმის გარემოებები, რომ აღნიშნულით იგი შესაძლებელია შეიჭრას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაში. ამდენად, დაუშვებელია ზემოთ მოყვანილი დასაბუთების გარეშე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის ნორმის საპროცესო რეალიზება - ადმინისტრაციული ორგანოსთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ, ერთი მხრივ, დადგენილად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითა მათზე, ხოლო, მეორე მხრივ, ისე გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად ცნო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2007 წლის 12 თებერვლის #01/11-661/59/ზ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ამავე სააგენტოს ისე დაავალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, იმავე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, რომ არ დაუსაბუთებია, თუ რატომ იყო აუცილებელი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის ნორმის გამოყენება და რატომ იყო სააპელაციო სასამართლოსთვის შეუძლებელი, თვითონ გამოეკვლია საქმის გარემოებები და სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტით, საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილება მიეღო, ასევე, თუ რატომ განეკუთვნებოდა კონკრეტული გარემოებების გამოკვლევა და შეფასება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ 2007 წლის 12 თებერვლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას გამოკვლეული არ ყოფილა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ, სს «კალასი» წარმოადგენდა «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარეგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონის, თუ «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» კანონის სამართალსუბიექტს, გადახდილი ჰქონდა თუ არა სს «კალასს» მიწის ერთჯერადი საზღაურის ორმაგი ოდენობა და «უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ» კანონის რომელი მოთხოვნები იქნა დარღვეული სს «კალასის» მიერ. სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ მიუთითებია იმაზე, შედიოდა თუ არა დასახელებული გარემოებების გამოკვლევა-შეფასება სს «კალასს» რეესტრის ეროვნული სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებაში. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ, მიუხედავად მისი მხრიდან სადავო საკითხის გადაწყვეტილობისა, აღნიშნა, რომ მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ სს «კალასს» ქ. თბილისში, ... ჩიხის #1-ში მდებარე მიწის ნაკვეთი ჰქონდა მართლზომიერ მფლობელობაში, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტის - «ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის #525 ბრძანებულების საფუძველზე, ექვემდებარებოდა სახელმწიფოს მიერ მის საკუთრებად აღიარებას და, შესაბამისად, მის სამართლებრივ რეგისტრაციას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის სახით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «<sup>1</sup>» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ამ შემთხვევაში სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «<sup>1</sup>» ქვეპუნქტით გათვალისწინებული, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი - ხსენებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თუ სააპელაციო სასამართლო მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას საჭიროდ მიიჩნევს სადავო საკითხის გადაწყვეტლად, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას, მან უნდა დაასაბუთოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საპროცესო ნორმის გამოყენება და საქმეზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევა-შეფასების შედეგად, თვითონ გადაწყვიტოს სადავო საკითხი და საქმეზე მიიღოს დასაბუთებული განჩინება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს «კალასს» რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

## და ა ა დ გ ი ნ ა :

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 4. აქტის არარად აღიარება

#### განჩინება

#ბს-1072-1025(კ-07) 13 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ჩინჩალაძე,  
მ. ცისკაძე**

**დავის საგანი:** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს 2007 წლის 13 აპრილის ბრძანების გაუქმება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 14 მაისს დ. ვ-უამ და ა. ბ-იამ სარჩელი აღძრეს ფოთის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს მიმართ.

მოსარჩელებმა განმარტეს, რომ ქ. ზუგდიდის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს საკონკურსო კომისიის 1996 წლის 28 ივნისის სხდომის ოქმის საფუძველზე განხორციელეს სოფ. ანაკლიაში მდებარე დასასვენებელი სახლი «იუქნისა» და პიონერთა ბანაკ «თოლიას» პრივატიზება. ხობის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 11 ნოემბრის განაჩენისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის საფუძველზე, 2007 წლის 13 აპრილის #1-3/23 ბრძანებით არარად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად იქნა ცნობილი ზუგდიდის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს 1996 წლის 28 ივნისის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი, რაც იყო აშკარად უკანონო.

მოსარჩელეთა განმარტებით, ხობის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 11 ნოემბრის განაჩენში მითითებული იყო, რომ ზემოაღნიშნული ობიექტის პრივატიზება განხორციელდა პრესაში ინფორმაციის გამოქვეყნების გარეშე, რაც სიმართლეს არ შეესაბამებოდა, რადგან ინფორმაცია ამ ობიექტების შესახებ გამოქვეყნებული იყო პრესაში. აქედან გამომდინარე, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს იყო მოკლებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტისა და მე-60 მუხლის მეორე ნაწილის გამოყენება.

მოსარჩელებმა ასევე განმარტეს, რომ მათ მიერ პრივატიზებული ობიექტები იყო 1996 წლის 6 ივნისის დაფუძნებულ მესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო საკუთრება. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს 2007 წლის 13 აპრილის #1-3/23 ბრძანება მიღებული იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით. ამ ბრძანებაში არაფერი იყო აღნიშნული იმის შესახებ, თუ რა უნდა დაბრუნებოდა სახელმწიფოს, მაშინ, როცა შენობები, რომელთა პრივატიზებაც მოსარჩელებმა მოახდინეს, ფაქტობრივად არ არსებობდა, რადგან ისინი იქ მცხოვრებმა დევნილებმა დაშალეს და წაიღეს.

მოსარჩელებმა ყურადღება გაამახვილეს იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხემ შეცილების უფლების წარმოშობის თარიღად 2007 წლის 13 აპრილი მიუთითა, მაშინ, როცა სამოქალაქო კოდექსის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, შეცილების უფლება წარმოიშვებოდა შეცილების საფუძვლის შეტყობიდან ერთი თვის ვადაში. აღნიშნული ბრძანება მოსარჩელებს ჩაჰბარდა 2007 წლის 2 მაისს. ამდენად, ვადის დინება დაიწყო 2007 წლის 2 მაისს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მოითხოვეს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს 2007 წლის 19 აპრილის #1-3/23 ბრძანების გაუქმება.

ფოთის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ იქნა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 მაისის განჩინება, რომლითაც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების



ადრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს ადმინისტრაციული სარჩელი დ. ვ-უასა და ა. ბ-იას მიმართ, 1996 წლის 23 ივლისის #1-521, #1-526 ხელშეკრულებების, მიღება-ჩაბარების აქტებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობების ბათილად ცნობის, ა. ბ-იასა და დ. ვ-უაზე გაცემული საჯარო რესტრიდან ამონაწერის გაუქმების შესახებ ცნობილ იქნა დასაშვებად; სარჩელის განხილვა შეჩერდა ამ სარჩელის განხილვამდე.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით დ. ვ-უასა და ა. ბ-იას სარჩელი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების ადრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს მიმართ, 2007 წლის 13 აპრილის #1-3/23 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი გარემოებები: ზუგდიდის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს საკონკურსო კომისიის 1996 წლის 28 ივნისის სხდომის ოქმის საფუძველზე მოსარჩელებმა - დ. ვ-უამ და ა. ბ-იამ პრივატიზაციის წესით შეიძინეს ზუგდიდის რ-ნის სოფ. ანაკლიაში მდებარე დასასვენებელი სახლი «იუჟნი» და პიონერთა ბანაკი «თოლია»; ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის საფუძველზე მოპასუხის მიერ 2007 წლის 13 აპრილის ბრძანებით არარად იქნა ცნობილი ზუგდიდის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს 1996 წლის 28 ივნისის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი; ხობის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 11 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესულ განაჩენში აღინიშნა, რომ ზემოხსენებული ობიექტების - დასასვენებელი სახლის «იუჟნისა» და პიონერთა ბანაკ «თოლიას» პრივატიზება მოხდა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ იმჟამად მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, კერძოდ, პრესაში ინფორმაციის გამოქვეყნების გარეშე.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლებოდა არარად, თუ მისი შესრულება გამოიწვევდა სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

საქალაქო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია ასევე ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - საკონკურსო კომისიის ზემოხსენებული სხდომის ოქმის გამოცემას მოჰყვა მისი შესრულება, ანუ სადავო ობიექტების პრივატიზება, ხოლო ამ შესრულებას შემდგომში - გარკვეულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზუგდიდის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს 1996 წლის 28 ივნისის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტის მიხედვით, ითვლებოდა არარად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად. სახელმწიფო ქონების ადრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს 2007 წლის 13 აპრილის #1-3/23 ბრძანება, რომლითაც არარად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად იქნა ცნობილი ქ. ზუგდიდის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს საკონკურსო კომისიის 1996 წლის 28 ივნისის სხდომის ოქმი სოფ. ანაკლიაში მდებარე დასასვენებელი სახლის «იუჟნისა» და პიონერთა ბანაკ «თოლიას» პრივატიზების შესახებ.

საქალაქო სასამართლომ უდავოდ დადგინდად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში უკვე ბათილად ცნობილი საკონკურსო კომისიის 1996 წლის 28 ივნისის სხდომის ოქმის გამომცემი ორგანო იყო მოპასუხე ორგანიზაცია (სამართალმემკვიდრეობის წესით), რომელმაც 2007 წლის 13 აპრილის ბრძანებით არარად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ცნო სადავო ოქმი.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო ქონების ადრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს 2007 წლის 13 აპრილის #1-3/23 ბრძანება, რომლითაც არარად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად იქნა ცნობილი ქ. ზუგდიდის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს 1996 წლის 28 ივნისის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი სოფ. ანაკლიაში მდებარე დასასვენებელი სახლის «იუჟნისა» და პიონერთა ბანაკ «თოლიას» პრივატიზების შესახებ, იყო კანონიერი და მისი ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობდა. შესაბამისად, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო უსაფუძვლობისა და მოთხოვნის დაუსაბუთებლობის გამო.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. ვ-უამ და ა. ბ-იამ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით დ. ვ-უასა და ა. ბ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 1996 წლის 6 ივნისს შეიქმნა მესაკუთრეთა ამხანაგობა; ხობის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 11 ნოემბრის განაჩენით, გ. ფ-იას (ქ. ზუგდიდის ქონების მართვის სამმართველოს უფროსი) ქმედება სოფ. ანაკლიაში მდებარე დასასვენებელი სახლის «იუჟნისა» და პიონერთა ბანაკ «თოლიას» პრივატიზებასთან დაკავშირებით, დაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით და შეწყდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება გ. ფ-იას მიმართ, სისხლის სამართლის კოდექსით

დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, თუმცა განაჩენით დადგენილ იქნა, რომ ამ ობიექტების გასხვისება მოხდა პრესაში გამოქვეყნების გარეშე; სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს 2007 წლის 13 აპრილის ბრძანებით, არარად იქნა ცნობილი ქ. ზუგდიდის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს საკონკურსო კომისიის 1996 წლის 28 ივნისის სხდომის ოქმი სოფ. ანაკლიაში მდებარე პიონერთა ბანაკ «თოლიასა» და დასასვენებელი სახლის «იუჟინს» პრივატიზების შესახებ. ამ ბრძანების საფუძველი იყო 2005 წლის 11 ნოემბრის განაჩენი, ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტი და მეორე ნაწილი.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეთა მიერ წარმოდგენილ იქნა 1996 წლის 24 მაისის #18 გაზეთ «ზუგდიდის» ასლი, რომელიც ადასტურებდა, რომ სადავო ობიექტების პრივატიზების შესახებ პრესაში გამოქვეყნებული იყო. მოპასუხემ არარად ცნო 1996 წლის 28 ივნისის ზემოაღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი, რომელიც საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა, საქმეში ასევე არ იყო წარმოდგენილი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, საკუთრების მოწმობები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და მოსარჩელეთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა აპელანტების განმარტებაზე იმის შესახებ, რომ სადავო ობიექტები შეისყიდა ამხანაგობის 27 წევრმა, რომლებზეც გაფორმდა ეს ობიექტები. ა. ბ-იას მიერ შესყიდული ობიექტი გასხვისებული იყო ამხანაგობის სხვა წევრზე - ე. თ-იაზე.

სააპელაციო სასამართლომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო დაუსაბუთებელი, რის გამოც შეუძლებელი იყო მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე<sup>1</sup>» ქვეპუნქტის შესაბამისად. იმავე კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის მიხედვით კი, სააპელაციო სასამართლო აუქმებდა გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ არსებობდა ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს, საქმის ხელახლა განხილვისას, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების შესაბამისად, უნდა გამოეთხოვა ზემოაღნიშნული მასალები და ემსჯელა ა. ბ-იას სათანადო მოსარჩელით შეცვლის თაობაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის საფუძველზე, აგრეთვე, უნდა გადაეწყვიტა საკითხი მოცემულ საქმეში შესაბამისი ამხანაგობის სხვა წევრების ჩართვის შესახებ, თუკი სადავო ობიექტები აღრიცხული იყო მათ სახელზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 9 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. სააპელაციო სასამართლომ ფოტოსაქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებას საფუძველად დაუდო ამ გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე<sup>1</sup>» ქვეპუნქტის საფუძველზე საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ მისი მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვაგვარია. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საკმარისად არის დასაბუთებული. მოსარჩელე მხარემ სადავოდ გახადა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად ცნობის შესახებ ბრძანება, მაგრამ ამ ბრძანების გაუქმების საფუძველად მას არ მიუთითებია რომელიმე კონკრეტულ ნორმაზე, რომელიც დაადასტურებდა 2007 წლის 13 აპრილის ბრძანების უკანონობას. ერთ-ერთი არგუმენტი, რომლითაც მხარე ითხოვდა ამ ბრძანების გაუქმებას, იყო ხობის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 11 ნოემბრის განაჩენში მითითებული ფაქტი, დასასვენებელი სახლის «იუჟინსა» და პიონერთა ბანაკ «თოლიას» პრივატიზებისას პრესაში შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის შესახებ, ამასთან, აღნიშნული ფაქტი სიმართლეს არ შეესაბამებოდა, რადგან პრესაში ინფორმაცია რეალურად არსებობდა. დასახელებული გარემოება სამართლებრივად არანაირად არ უკავშირდება ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს 2007 წლის 13 აპრილის ბრძანებას, ვინაიდან აღნიშნული ბრძანების საფუძველია ხობის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 11 ნოემბრის განაჩენი და სანამ აღნიშნული განაჩენი კანონიერ ძალაშია, სამართლებრივად რაიმეს შეცვლა 2007 წლის 13 აპრილის ბრძანებასთან მიმართებაში შეუძლებელია. სასამართლო ვალდებული იყო ემსჯელა მხოლოდ 2007 წლის 13 აპრილის ბრძანების კანონიერებაზე, ვინაიდან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

კასატორის განმარტებით, აღნიშნული აქტის ბათილობისათვის ზემოხსენებული საფუძველი პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელეს არ მიუთითებია. სასამართლომ დავის საგნიდან გამომდინარე,

შეისწავლა სამმართველოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - 2007 წლის 13 აპრილის #1-3/23 ბრძანება, სათანადოდ დაასაბუთა მისი კანონიერება და აღნიშნა, რომ არ არსებობდა მისი ბათილობის საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს თავისი მსჯელობა სწორედ ამ კუთხით უნდა წარემართა, გაერკვია, რამდენად სწორი შეფასება მისცა სასამართლომ აქტის კანონიერებას, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განასხვავებს უკანონო და კანონიერ აქტებს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ბათილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების, ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად, ბათილია მისი სამართლებრივი შედეგებიც. თუ სასამართლო ვერ დაადგენს უშუალოდ აქტის შეფასებისას მის უკანონობას, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობა შეუძლებელია. სხვა დასაბუთება გადაწყვეტილების მიღებისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოს არ სჭირდებოდა და არც მოსარჩელე მხარეს აქვს სხვა რაიმე მოთხოვნა დაყენებული.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობების, საჯარო რეესტრიდან ამოწმებისა და სხვა დოკუმენტების გამოთხოვაზე, ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტები წარმოადგენს 1996 წლის 28 ივნისის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის შედეგს და სასამართლოს მიერ ამ დოკუმენტების, როგორც მტკიცებულებების შესწავლა, 2007 წლის 13 აპრილის ბრძანების ბათილობისათვის სავალდებულო არ არის. 1996 წლის 28 ივნისის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ცნობა თავისთავად იწვევს მისგან გამომდინარე შედეგების გაუქმებას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში ბათილ და არარად ცნობილ ნორმატიულ აქტებზე მოქმედებს იგივე წესები, როგორც ზოგადად, უკანონო აქტების მიმართ და ამდენად, ფოთის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის ხელახლა განხილვის იურიდიული საფუძველი არ არსებობს.

კასატორი მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი განსახილველად უნდა იქნეს დაშვებული, ვინაიდან აღნიშნული საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისათვის და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი ემსახურება მხოლოდ დროის გაჭიანურებას და პირველი ინსტანციის სასამართლოში ამ საქმის დაბრუნებით შეუძლებელია კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის თაობაზე რაიმე სხვა შედეგის მიღება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 10 დეკემბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2007 წლის 10 დეკემბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 24 იანვრამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 იანვრის განჩინებით ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა ჩაინიშნა 2008 წლის 13 მარტს, მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ოქტომბრის განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) საკასაციო საჩივრის ფარგლებში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით დ. ვ-უასა და ა. ბ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ

განჩინებას საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იყო დაუსაბუთებელი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. იმავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილება (განჩინება) ყოველთვის ჩათვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. იმავე კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად, სამართლის ნორმები დარღვევულად ითვლება, თუ სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

სააპელაციო სასამართლომ, დააბრუნა რა საქმე ხელახლა განსახილველად პირველ ინსტანციაში, განმარტა, რომ სასამართლოს, საქმის ხელახლა განხილვისას, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების შესაბამისად, უნდა გამოეთხოვა სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული მასალები და ემსჯელა ა. ბ-ის სათანადო მოსარჩელით შეცვლის თაობაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის საფუძველზე, აგრეთვე, უნდა გადაეწყვიტა საკითხი მოცემულ საქმეში შესაბამისი ამხანაგობის სხვა წევრების ჩართვის შესახებ, თუკი სადავო ობიექტები აღრიცხული იყო მათ სახელზე.

საკასაციო სასამართლო, ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ფოთის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრეს დ. ვ-უამ და ა. ბ-იამ, რომლებმაც მოითხოვეს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს 2007 წლის 13 აპრილის ბრძანების გაუქმება. აღნიშნული ბრძანებით არარად იქნა ცნობილი 1996 წლის 28 ივნისის ქ. ზუგდიდის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი, სოფ. ანაკლიაში მდებარე პიონერთა ბანაკ «თოლიას» და სოფ. ანაკლიაში მდებარე დასასვენებელი სახლის - «იუჟნის» პრივატიზების შესახებ. საგულისხმოა, რომ ხსენებულ ბრძანებაში მყიდველებად დასახელებულნი არიან - დ. ვ-უამ და ა. ბ-ია.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს 2007 წლის 13 აპრილის ბრძანების გაუქმების საფუძვლად მითითებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ მისი შესრულება გამოიწვევს სისხლის-სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

საკასაციო სასამართლოს ასევე დადგენილად მიაჩნია, რომ ხობის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 11 ნოემბრის განაჩენით, გ. ფ-ის (ქ. ზუგდიდის ქონების მართვის სამმართველოს უფროსი) ქმედება სოფ. ანაკლიაში მდებარე დასასვენებელი სახლის «იუჟნისა» და პიონერთა ბანაკ «თოლიას» პრივატიზებასთან დაკავშირებით, როგორც ერთიანი დანაშაული, დაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით და შეწყდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება გ. ფ-ის მიმართ, სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო; ხობის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სოფ. ანაკლიაში მდებარე დასასვენებელი სახლის - «იუჟნისა» და პიონერთა ბანაკ «თოლიას» პრივატიზება მოხდა პრესაში ინფორმაციის გამოქვეყნების გარეშე.

საქმის მასალებით კი ამის საწინააღმდეგოდ დადგენილია, რომ მოსარჩელეთა მიერ წარმოდგენილ იქნა 1996 წლის 24 მაისის #18 გაზეთი «ზუგდიდის» ასლი, რომელშიც გამოქვეყნებულია სახელმწიფო ქონების მართვის ზუგდიდის სამმართველოს განცხადება კომერციული კონკურსის გამოცხადების შესახებ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ კონკურსზე გამოტანილია სოფ. ანაკლიაში მდებარე დასასვენებელი სახლი «იუჟნი» და პიონერთა ბანაკი «თოლიას».

საქმეში წარმოდგენილია მესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნის დამფუძნებელი კრების 1996 წლის 6 ივნისის #1 ოქმი, რომლითაც ირკვევა, რომ ამხანაგობა ჩამოყალიბდა ზუგდიდის რ-ნის სოფ. ანაკლიაში მდებარე ბავშვთა დასასვენებელ სახლ «თოლიას» საკონკურსო აუქციონში მონაწილეობის მისაღებად.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ 1996 წლის 28 ივნისის ზემოაღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი, რომელიც მოპასუხემ ცნო არარად, საქმის მასალებში არ მოიპოვება, საქმეში ასევე არაა წარმოდგენილი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, საკუთრების მოწმობები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და მოსარჩელებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. შესაბამისად, არაა დადგენილი სათანადო მოსარჩელის საკითხი.

საკასაციო სასამართლო აქვე დასძენს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ, საქმის ხელახლა განხილვისას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, უნდა შეამოწმოს წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულების (1996 წლის 24 მაისის #18 გაზეთი «ზუგდიდი») ნამდვილობა, რადგან იგი ასლის სახითაა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 9 ოქტომბრის განჩინება;
3. სახელმწიფო ბაჟის საკითხი გადაწყდეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად ცნობა**

**განჩინება**

# ბს-1054-1007-(კ-07) 30 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ცისკაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** დადგენილების არარად აქტად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ზ. ხ-შვილმა და ც. ნ-მემ სარჩელი აღძრეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში აჭარის ა/რ მთავრობის მიმართ და აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 26.11.96წ. #229 დადგენილების არარად აქტად ცნობა მოითხოვეს.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ ბათუმის ზღვისპირა პარკის გაფორმება - განაშენიანებასთან და საზღვაო ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით ... ქ. #4/6-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების ათვისების შესახებ» აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 26.11.96წ. #229 დადგენილების საფუძველზე, მოსარჩელეთა საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი 27.12.96წ. დანგრეულ იქნა ისე, რომ მათთვის უცნობი იყო როგორც ადმინისტრაციული აქტის, ასევე, მათი ბინის დანგრევის შესახებ. მოსარჩელებმა არაერთხელ მიმართეს აჭარის მთავრობას აღნიშნულის თაობაზე, მაგრამ მათგან პასუხი ვერ მიიღეს. მოსარჩელებმა მიმართეს ასევე სასამართლოს, მაგრამ მათ სარჩელს სხვადასხვა მიზეზით არ იხილავდნენ და ფაქტობრივად უარს ეუბნებოდნენ მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

მოსარჩელებს მიაჩნიათ, რომ მათ საკუთრებაში არსებული სახლის დანგრევით შეეღობათ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული საკუთრების უფლება, რის გამოც, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის შესაბამისად აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 26.11.96წ. #229 დადგენილების არარად აღიარება მოითხოვეს. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებული და დაცულია საკუთრების უფლება, ხოლო საკუთრების უფლების შეზღუდვა და გაუქმება დაუშვებელია, საკუთრების უფლების შეზღუდვა დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში და დადგენილი წესით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას. სადავო დადგენილებაში არ არის მითითებული კანონით დადგენილ შემთხვევაზე, სასამართლო გადაწყვეტილებაზე ან ორგანული კანონით დადგენილ გადაუდებელ აუცილებლობაზე, რადგანაც იმ დროისათვის არ არსებობდა კანონი, რომლითაც დასაშვები იქნებოდა საკუთრების უფლების შეზღუდვა, სასამართლო გადაწყვეტილება და ორგანული კანონი, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა გადაუდებელი საზოგადოებრივი აუცილებლობა. ამდენად, ზემოაღნიშნული დადგენილება გამოცემის-თანავე ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დადგენილ წესს და იგი მისი მიღებისთანავე არარ იყო, როგორც არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული. მოსარჩელებმა მიუ-

თითეს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, არარა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებაზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადები.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 13.02.06წ. გადაწყვეტილებით ზ. ხ-შვილისა და ც. ნ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 26.11.1996წ. #229 დადგენილებით, ბათუმის ზღვისპირა პარკის გაფართოება-განაშენიანებასთან და საზღვაო ვაგზის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით ათვისებას დაექვემდებარა ... ქუჩის #4/6-ში მდებარე საცხოვრებელი სახლები. ამასთან, ქ. ბათუმის მერიას (თ. ხ-ზი), საქართველოს საზღვაო დეპარტამენტს (ყ. ვ-ძე) და ბათუმის საზღვაო ნავსადგურს (ა. ს-ბა) დაევალია უზრუნველყოთ ... ქუჩის #4/6-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების ათვისება და იქ მცხოვრები ოჯახებისათვის, საქართველოს კანონმდებლობის დაცვით, შესაბამისი, ფართის ბინების შესყიდვა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში დადგენილი იყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემი ორგანო - აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭო, რომელსაც ჰქონდა სრული უფლებამოსილება, გამოეცა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მოსაზრება, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულება გამოიწვევდა სისხლის სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და განმარტა, რომ სადავო აქტში განსაზღვრული იყო დადგენილების შემსრულებელი ორგანოები, რომლებსაც დაევალია «უზრუნველყოთ ... ქუჩის #4/6-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების ათვისება და მათში მცხოვრები ოჯახებისათვის, საქართველოს კანონმდებლობის დაცვით, შესაბამისი ფართის ბინების შესყიდვა», ამასთან, სასამართლოს დასკვნით, მოცემულ შემთხვევაში, სზაკ-ის 60.2. მუხლის თანახმად, დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენდა ქ. ბათუმის მერია, საქართველოს საზღვაო დეპარტამენტი და ბათუმის საზღვაო ნავსადგური, რის გამოც ზ. ხ-შვილისა და ც. ნ-ძის სარჩელი უსაფუძვლო იყო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ზ. ხ-შვილმა და ც. ნ-ძემ, რომლითაც მოითხოვეს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 13.09.06წ. განჩინებით ზ. ხ-შვილისა და ც. ნ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო დადგენილების მიღების დროს დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მოთხოვნა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის შესახებ, სათანადო კომპენსაციით. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სზაკ-ის მე-60 მუხლი შემოდებულ იქნა 2005 წლის 15 ივლისიდან, «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის 47-ე მუხლის თანახმად კი, კანონს არა აქვს უკუძალა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.09.06წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ზ. ხ-შვილმა და ც. ნ-ძემ, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კეტეგორიის საქმეთა პალატის 18.01.07წ. განჩინებით ზ. ხ-შვილისა და ც. ნ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.09.06წ. განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმის ხელახალი განხილვისას უნდა ემსჯელა, აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭო იყო თუ არა უფლებამოსილი, გამოეცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საკუთრების ჩამორთმევის შესახებ და არსებობდა თუ არა შესაბამისი საკანონმდებლო აქტი და სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც იქნა მიღებული სადავო დადგენილება. ამასთან, სასამართლოს უნდა გამოეკვლია და დაედგინა, არსებობდა თუ არა სასკ-ის 25-ე მუხლით დადგენილი აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის საფუძველები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.10.07წ. გადაწყვეტილებით ზ. ხ-შვილისა და ც. ნ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 13.02.06წ. გადაწყვეტილება; ზ. ხ-შვილისა და ც. ნ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა; არარა აქტად იქნა აღიარებული აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 26.11.96წ. #229 დადგენილება ბათუმში, ... ქ. #4/6-ში მდებარე ც. ნ-ძის სახლის ათვისებასთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის საფუძველზე საკუთრების უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია, ხოლო იმავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისათვის და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით. ერთ-ერთი გათვალისწინებული პირობის არარსებობის შემთხვევაში საკუთრების უფლების ჩამორთმევა წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებული და უზრუნველყოფილი უფლების დარღვევას. სზაკ-ის 5.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან სხვა სახის ქმედება, რომელიც იწვევს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ან თავისუფლებების შეზღუდვას, დაიშვება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე

თავის შესაბამისად, კანონის ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. სასამართლოს აზრით, საქმის მასალებით არ დასტურდება კანონით ან კანონქვემდებარე აქტით ამგვარი უფლებამოსილების აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოსათვის მინიჭება. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების წინაპირობა არის ამ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება - კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა მოაწესრიგოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით. იგი უნდა შეესაბამებოდეს სამართლის იმ ნორმებს, რომელთა აღსრულებასაც ის ახდენს, ამასთან არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქვეყანაში მოქმედ სამართლის ნორმებსა და კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს. აჭარის ა/რ მთავრობის მიერ გამოცემული აქტი სამართლებრივ საფუძველს არ ეყრდნობა. იმ პერიოდისათვის საქართველოში მოქმედი არც ერთი საკანონმდებლო აქტი არ ანიჭებდა აჭარის ა/რ მთავრობას საკუთრების ჩამორთმევის უფლებამოსილებას, თუნდაც გადაუდებელი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმის არსს არ ცვლის ის გარემოება, რომ გასაჩივრებული აქტის საფუძველზე 27.12.96წ. ც. ნ-ძესთან დაიდო ხელშეკრულება, ბინის საკომპენსაციოდ 12000 აშშ დოლარის ეკვივალენტის გადაცემის შესახებ. სააპელაციო სასამართლოს აზრით განმსაზღვრელია ის, რომ მოპასუხეს არ ჰქონდა საკუთრების ჩამორთმევის უფლებამოსილება, ამიტომ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, დადგენილება არის არარა აქტი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.10.07წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ა/რ მთავრობამ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და მოსარჩელეთათვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ 27.12.96წ. დეკემბრის ხელშეკრულებით, ბინის დათმობის სანაცვლოდ 12000 აშშ დოლარის კომპენსაციის გამოყოფის თაობაზე, აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 22.10.03წ. გადაწყვეტილებითა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.07.04წ. განჩინებით დასტურდება, რომ მოსარჩელებს არ ჩამორთმევიათ სადავო ფართი. მოსარჩელებმა იცოდნენ, რომ საცხოვრებელი სახლი უნდა დაენგრიათ არა აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს სადავო დადგენილებიდან, არამედ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებიდან და ამასთან, მათ აღებული ჰქონდათ შესაბამისი კომპენსაცია ბინის დათმობის სანაცვლოდ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას აჭარის ა/რ მთავრობის მიერ წარდგენილ იქნა დამატებითი მტკიცებულებები, საიდანაც ირკვეოდა, რომ 27.12.96წ. მოქალაქე ც. ნ-ძეს და საზღვაო დეპარტამენტს შორის დაიდო წერილობითი ხელშეკრულება და ც. ნ-ძეს ოჯახის წევრებზე კუთვნილი ბინის საკომპენსაციოდ გამოეყო 12000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, ხოლო ც. ნ-ძეს ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი დღის ვადაში ნებაყოფლობით უნდა გაეთავისუფლებინა დაკავებული საცხოვრებელი ფართი. ხელშეკრულება მხარეთა მიერ შესრულებული იქნა და საკუთრების უფლება გადავიდა საზღვაო დეპარტამენტზე.

კასატორი აღნიშნავს, რომ ც. ნ-ძემ და ზ. ხ-შვილმა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიაში ერთხელ უკვე აღძრეს სარჩელი და მოითხოვეს აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 26.11.96წ. #229 დადგენილების, ასევე, 27.12.96წ. გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, იმ საფუძველით, რომ არ იყო დაცული კანონით გათვალისწინებული აუცილებელი სანოტარო ფორმა და ხელშეკრულება დაიდო იძულებით და მოტყუებით. აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 22.10.03წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძველობისა და ხანდაზმულობის გამო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.07.04წ. განჩინებით უცვლელად დარჩა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება. ამდენად, ც. ნ-ძემ და ზ. ხ-შვილმა ერთხელ უკვე იდავეს აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 26.11.96წ. #229 დადგენილების ბათილად ცნობაზე და სასამართლომ უარი უთხრა მათ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად, ც. ნ-ძისა და ზ. ხ-შვილისათვის არ მომხდარა საკუთრების ჩამორთმევა აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 26.11.96წ. #229 დადგენილების საფუძველზე, მათ თავიანთი ნებით, ხელშეკრულების დადების გზით, თვითონვე დათმეს საკუთრება კომპენსაციის მიღების სანაცვლოდ. სასკ-ის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი. კასატორის აზრით, ც. ნ-ძეს და ზ. ხ-შვილს აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 26.11.96წ. #229 დადგენილების არარა აქტად ცნობის მოთხოვნის უფლება არ ჰქონდათ, ვინაიდან არ გააჩნდათ კანონიერი ინტერესი. აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 26.11.96წ. #229 დადგენილებას მათთვის არავითარი ზიანი არ მიუყენებია. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ აჭარის ა/რ მთავრობის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არასწორად შეაფასა და მიიჩნია, რომ მოცემულ დავაში ხელშეკრულება არ წარმოადგენდა დავის საგანს, რადგან მათ მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით დგინდებოდა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ ის, რომ საკუთრების უფლების ჩამორთმევა არ მომხდარა სადავო დადგენილებით. ამასთან, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, აღიარებითი სარჩელი არ შეიძლება აღიძრას, თუ მოსარჩელეს შეუძლია აღძრას სარჩელი ამ კოდექსის 22-ე-24-ე მუხლების საფუძველზე, მოსარჩელებს ერთხელ უკვე ჰქონდათ აღძრული სარჩელი აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 26.11.96წ. #229 დადგენილების ბათილად ცნობის

მოთხოვნით, რაც უზენაესი სასამართლოს საბოლოო განჩინებით არ დაკმაყოფილდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლომ არ იმსჯელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლით დადგენილი აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის საფუძვლების თაობაზე და აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 26.11.96წ. #229 დადგენილება არაა აქტად აღიარა. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ისე აღიარა აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 26.11.96წ. #229 დადგენილება არაა აქტად, რომ არ იმსჯელა სასკ-ის 25-ე მუხლის საფუძველზე სარჩელის დასაშვებობის საკითხზე. სასკ-ის 25-ე მუხლის გამოყენების შემთხვევაში, მას საერთოდ არ უნდა ემსჯელა აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 26.11.96წ. #229 დადგენილების მიღების სამართლებრივ საფუძვლებსა და კანონიერებაზე. კასატორის აზრით, სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია მოხდეს განმარტება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებია თუ არა ადმინისტრაციულ აქტზე აღიარებითი სარჩელი, თუკი მხარემ ერთხელ უკვე აღძრა სარჩელი ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით და სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების განცობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ აჭარის ა/რ მთავრობის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში მესამე პირად. «ბათუმის ზღვისპირა პარკის გაფართოება-განაშენიანებასთან და საზღვაო ვაჭრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით ... ქ. #4/6-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების ათვისების შესახებ» აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 26.11.1996წ., #229 დადგენილებით ათვისებას დაექვემდებარა ... ქუჩის #4/6-ში მდებარე საცხოვრებელი სახლები. დადგენილებით თანახმად, ქ. ბათუმის მერიას, საქართველოს საზღვაო დეპარტამენტს და ბათუმის საზღვაო ნავსადგურს დაევალით, უზრუნველყოთ ... ქუჩის #4/6-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების ათვისება და იქ მცხოვრები ოჯახებისათვის, კანონმდებლობის დაცვით, შესაბამისი ფართის ბინების შესყიდვა». საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ ხსენებული დადგენილების საფუძველზე 27.12.96წ. ც. ნ-ძესა და საზღვაო დეპარტამენტს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად ბინის საკომპენსაციოდ ც. ნ-ძისთვის გამოყოფილი თანხის სანაცვლოდ ფართი დაეთმო საზღვაო დეპარტამენტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობდა სასამართლოს მიერ ხსენებული ადმინისტრაციული ორგანოების, მათ შორის საზღვაო დეპარტამენტის უფლებამონაცვლეების (საქართველოს პრეზიდენტის 17.08.96წ. #541, 31.12.97წ. #777 ბრძანებულებები, საქართველოს ტრანსპორტის მინისტრის 01.03.97წ. #04-კ ბრძანება) საქმეში სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ჩაბმის აუცილებლობა.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ წარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სასკ-ის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლი, რომლის საფუძველზე არარად აღიარა აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს სადავო დადგენილება. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო აქტი გამოცემულია 26.11.96წ., ხოლო არარად ადმინისტრაციული აქტის ცნება ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში შემოღებულ იქნა «ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ» 24.06.05წ. კანონით, რომელიც ამოქმედდა 2005 წლის 15 ივლისისა და 16 ივლისისა და 17 ივლისის დადგენილებით. «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის 47-ე მუხლის თანახმად, ნორმატიული აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის უკუძალა კანონით დადგენილი არ ყოფილა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ვერ დაასაბუთა თუ რა საფუძველით გამოიყენა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად ცნობის ინსტიტუტი მისი მატერიალურ კანონმდებლობაში დანერგვამდე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ზ. ხ-შვილი და ც. ნ-ძე, აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს, ქ. ბათუმის მერიის, ქ. ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მიმართ, 16.04.03წ. აღძრული სარჩელით 27.12.96წ. ხელშეკრულების ბათილად ცნობასთან ერთად მოითხოვდნენ აჭარის



ა/რ მინისტრთა საბჭოს 26.11.96წ. #229 დადგენილების ბათილად ცნობას. აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 22.10.03წ. გადაწყვეტილებით ზ. ხ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობისა და უსაფუძვლოების გამო, გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 15.07.04წ. განჩინებით. მოსარჩელები იმავე საფუძველით ითხოვდნენ აქტის ბათილობას, რა საფუძველითაც დააყენეს აქტის არარად ცნობის მოთხოვნა - კერძოდ მიიჩნევდნენ, რომ აქტი გამოცემული იყო საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დარღვევით არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ. აღნიშნული დავის გადაწყვეტის პერიოდში ადმინისტრაციული კანონმდებლობა ითვალისწინებდა ადმინისტრაციული აქტის ბათილობის ინსტიტუტს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის პირობები მოიცავდა შემდგომში ამჟამად მოქმედ მე-60 მუხლში ასახულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად ცნობის საფუძველსაც. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა სსკ-ის 272-ე მუხლის და სსკ-ის 26<sup>2</sup> მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველების არსებობაზე. სსკ-ის 25-ე მუხლით დადგენილი აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის საფუძველების არსებობის გამოკვლევის აუცილებლობის შესახებ საკასაციო პალატის 24.04.07წ. განჩინებაში მითითების მიუხედავად, სააპელაციო სასამართლო არ იქონია მსჯელობა სარჩელის დასაშვებობის საკითხზე.

სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სადავო აქტის არარად აღიარებას საფუძველად დაედო ის გარემოება, რომ აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს სადავო დადგენილებით მოწინააღმდეგე მხარეს ჩამოერთვა საცხოვრებელ ფართზე საკუთრების უფლება, სააპელაციო სასამართლო მიუთითა, რომ აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს არც კანონით და არც კანონქვემდებარე აქტით სადავო დადგენილების გამოცემისას არ ჰქონდა მინიჭებული საკუთრების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის უფლებამოსილება, აჭარის ა/რ მთავრობის სადავო აქტი სააპელაციო სასამართლოს აზრით მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. სააპელაციო პალატის დასკვნა არ ემყარება საქმის მასალებს და არ არის დასაბუთებული, სადავო დადგენილებით აღინიშნა ტერიტორიის ათვისების საჭიროება, ადმინისტრაციულ ორგანოებს მიეცათ დავალება კანონმდებლობის დაცვით შეესაბამისი ფართის ბინები (ქ. ბათუმის მერიას - 6, საქართველოს საზღვაო დეპარტამენტს - 9, ბათუმის საზღვაო სანაოსნოს - 2 ბინა). კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით მოქ. ც. ნ-მესა და საზღვაო დეპარტამენტს შორის დაიწყო წერილობითი ხელშეკრულება საცხოვრებელი სახლის დათმობის სანაცვლოდ შესაბამისი კომპენსაციის მიღების შესახებ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი ეხება სახელმწიფოს მიერ ცალმხრივი ნების გამოვლენით საკუთრების ჩამორთმევის შესაბამისი წინამძღვრების - აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების ან გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას. კანონიერ ძალაში შესული აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 22.10.03წ. გადაწყვეტილებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.07.04წ. განჩინებით დადგენილად არის მიჩნეული, რომ მოსარჩელეთა მიერ საცხოვრებელი ფართის დათმობა მოხდა ნებაყოფლობით - ხელშეკრულების დადების გზით, შესაბამისი კომპენსაციის სანაცვლოდ. სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული მოსარჩელეთა მოსაზრება ხელშეკრულების ბინის აღების შემდეგ, მოტყუებით და იძულებით დადების თაობაზე. სსკ-ის 106-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები, თუ სხვა საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, დამტკიცებას არ საჭიროებს. ამდენად, კანონიერ ძალაში მყოფ ხსენებულ გადაწყვეტილებებს პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს განსახილველ საქმეში. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ქონების საქართველოს კონსტიტუციის 21.3 მუხლის მოთხოვნის დარღვევით მოსარჩელებისათვის ჩამორთმევის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია საპროცესო და მატერიალური ნორმების დარღვევით, გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, არ ემყარება კანონმდებლობის მოთხოვნებს და საქმეში დაცულ მტკიცებულებებს. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არ არის გამოკვლეული საქმეში დაცული მტკიცებულებები, რის გამოც საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ზემოაღნიშნული მითითებებით სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა დაუბრუნდეს განსახილველად სააპელაციო სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. აჭარის ა/რ მთავრობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.10.07წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
2. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარება

### განჩინება

#ბს-202-197-(კ-08) 10 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციული აქტების გაუქმება და ბინიდან გამოსახლება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ა. ა-შვილმა საბურთალოს რ-ნის სასამართლოში სარჩელი აღძრა თ. და ჟ. თ-შვილების წინააღმდეგ და მიუთითა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 25.02.1994წ. #487 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული იქნა საპრივატიზებო ნუსხა თბილისის ტერიტორიაზე განთავსებული მუნიციპალურ საწარმოთა პრივატიზების შესახებ. აღნიშნულ ნუსხაში 42-ე ნომრად განისაზღვრა ფართი, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. #3-ში, რომელიც იმ დროისათვის წარმოადგენდა სურსათის #29 მაღაზიას. პრივატიზების შედეგად ფართი შეიძინა შპს «ჯიმექსმა». 19.04.96წ. ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების სამმართველოს მიერ ქ. თბილისში, დიდ დიდობში, ... ქ. #3-ში მდებარე 370-კვ.მ-ზე, გაცემულ იქნა #23/940 საკუთრების მოწმობა შპს «ჯიმექსის» სახელზე. ამ უკანასკნელმა ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა ა. ა-შვილთან, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე გახდა ფართის მესაკუთრე. ა. ა-შვილმა 20 000 ლარის საფასურად საკუთრების უფლება შეიძინა ქ. თბილისში, ... ქ. #3-ში მდებარე 370 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე. მოსარჩელემ განმარტა, რომ მოპასუხეებმა დაიკავეს მის საკუთრებაში არსებული 370 კვ.მ ფართიდან 107 კვ.მ ფართი. მოპასუხეებმა წარუდგინეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 17.06.97წ. #12.23.681 დადგენილება და 25.09.97წ. #19.20.1141 დადგენილების 8.1 პუნქტი და აღნიშნული სამართლებრივი აქტების საფუძველზე დადებული პრივატიზების ხელშეკრულებები. მოპასუხეების სახელზე გაცემული იყო ბინის ორდერები. მოსარჩელემ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 17.06.97წ. #12,23.681 დადგენილებისა და 25.09.97წ. #19.20.1141 დადგენილების 8.1 პუნქტის ბათილად ცნობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის მიერ გაცემული #01-7437 და #0174-38 ორდერების გაუქმება, ადგილობრივი ორგანოს მიერ საბინაო საქსპლოატაციო ორგანიზაციის წარმომადგენელსა და მოპასუხეებს - შორის გაფორმებული პრივატიზების ხელშეკრულების გაუქმება და მოპასუხეების სადავო ფართიდან გამოსახლება მოითხოვა.

15.06.02წ. სასამართლო სხდომაზე მოპასუხე მხარის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე განსახილველ საქმესთან გაერთიანდა სამეურნეობათაშორისო ექსპერიმენტალური ქარხანა «კრწანისის» დამხმარე მეურნეობა «ალგეთის» სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 17.06.97წ. #12.23.681 დადგენილებისა და 25.09.97წ. #19.20.1141 დადგენილების უკანონოდ ცნობას. დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მოსარჩელემ მოითხოვა, აგრეთვე, სადავო სამართლებრივი აქტების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების გაუქმება იმ მოტივით, რომ დარღვეული იყო 07.07.1990წ. საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, რითაც შეილახა მისი კანონიერი უფლებები და ინტერესები.

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 25.09.03წ. გადაწყვეტილებით ა. ა-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 17.06.97წ. #12.23.681 დადგენილება და თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 25.09.97წ. #19.301.141 დადგენილების 8.1 პუნქტი, გაუქმდა თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ჟ. თ-შვილის სახელზე და თ. თ-შვილის სახელზე გაცემული ორდერები, თბილისის მერიას და თბილისის ვაკე-საბურთალოს გამგეობას სოლიდარულად დაევალათ თ. თ-შვილისა და ჟ. თ-შვილისათვის მათ მიერ დაკავებული ბინების შესაბამისი ბინების შექმნა და ბინიდან გადასვლის ხარჯების ანაზღაურება, თბილისის მერიასა და თბილისის ვაკე-საბურთალოს გამგეობას დაევალათ თ. და ჟ. თ-შვილების გამოსახლება სადავო ფართიდან თანმხლებ პირებთან ერთად. სამეურნეობათაშორისო ექსპერიმენტალური ქარხანა «კრწანისის» დამხმარე მეურნეობა «ალგეთის» სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 25.09.03წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების

ხელშეწყობის ცენტრმა, თ. თ-შვილმა, თბილისის ვაკე-საბურთალოს რ-ნის გამგეობამ. დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო სააპელაციო პალატის 29.01.04წ. განჩინებით ქ. თბილისის საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშეწყობის ცენტრის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, ამასთან, ამ უკანასკნელის ლიკვიდაციის გამო საქმეში ჩაერთო ქალაქ თბილისის მერია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.03.07წ. გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა, გაუქმდა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების 1-4 პუნქტები და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ა-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, რაიონული სასამართლოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული, რომ გასაჩივრებული აქტები, თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 17.06.97წ. #12.23.681 დადგენილება და 25.09.97წ. #19.301.141 დადგენილება წარმოადგენდა აღმქურველ ადმინისტრაციულ აქტებს, რადგანაც, საბოლოო ჯამში, მათ საფუძველზე მოპასუხეებს წარმოემვათ სარგებლობის უფლება თბილისში, ... ქ. #3-ში მდებარე ფართზე, რომელიც შემდგომ, 31.10.97წ. #250 და 04.04.98წ. #217 ხელშეკრულებებით პრივატიზებული იქნა თ. და ქ. თ-შვილებზე. შესაბამისად ამ აქტების საფუძველზე განხორციელდა იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლის თანახმად არ დაიშვება 2000 წლამდე გამოცემული აღმქურველი ადმინისტრაციული აქტების გაუქმება, რომლის საფუძველზეც მხარის მიერ შესრულებულია რაიმე იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედება. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეთა მიერ განხორციელებული იყო იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედება პრივატიზაციის ხელშეკრულების სახით. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ თბილისის მერიისა და თბილისის ვაკე-საბურთალოს გამგეობის მიერ თ. და ქ. თ-შვილებისათვის მათ მიერ დაკავებული ფართობის შესაბამისი ბინების შეძენისა და გადასვლის ხარჯების ანაზღაურების დავალდებულება არ წარმოადგენდა დავის საგანს, შესაბამისად, უსაფუძვლოა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი ხსენებული ვალდებულების დაკისრების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.03.07წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ა-შვილმა. კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ზაკ-ის 218-ე მუხლი და არ გაითვალისწინა, რომ ამავე მუხლში მითითებულია დათქმა «გარდა ამ კოდექსის მე-60 მუხლის I ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა». ზაკ-ის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული აქტი არარა აქტია და გამოცემისთანავე ითვლება არარად. კასატორის განცხადებით, სადავო აქტები არარა აქტებია. საბურთალოს რ-ნის სასამართლოში საქმის განხილვისას ქ. თბილისის მერიის წარმომადგენელი ცნობდა სარჩელს, ანუ აღიარებდა, რომ მერიის მიერ განიკარგა ფართი, რომელიც წარმოადგენდა შპს «ჯიმექსის» საკუთრებას. ქ. თბილისის მერიას პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია და ამდენად, გადაწყვეტილება მის მიმართ შესულია კანონიერ ძალაში. სადავო არ არის ის გარემოება, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის მიერ განიკარგა ქონება, რომელზეც შპს «ჯიმექსის» საკუთრების უფლება წარმოექმნა 05.03.96წ. ჩატარებული აუქციონის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს სარჩელი დაუშველად უნდა ეცნო. მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული აქტები წარმოადგენენ არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემულ აქტებს რადგან მუნიციპალიტეტის კაბინეტმა განკარგა კერძო საკუთრებაში არსებული ქონება. კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად სადავო ქონების რეგისტრირებული მესაკუთრე დარჩა ქონების გარეშე ისე, რომ ძალაში დარჩა საკუთრების უფლების წარმომშობი დოკუმენტი. მოსარჩელეს წაერთვა საკუთრება, რომელზე უფლებაც აღიარებული და უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით. პარლამენტის 27.12.01წ. დადგენილებით რატიფიცირებული «ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისებურებათა დაცვის ევროპის კონვენციის» პირველი ოქმი პირდაპირ განამტკიცებს ადამიანის საყოველთაო უფლებას - ფლობდეს საკუთრებას. ოქმის თანახმად, აღნიშნული უფლების დაცვის გარანტიაა სახელმწიფო და მოქმედი კანონმდებლობა. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული მტკიცე პოლიტიკური ვალდებულებები სწორედ საკუთრების გარანტირებულ, დაცულ უფლებას უკავშირდება. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საკასაციო პალატის მიერ საქმეზე არსებითი გადაწყვეტილების გამოტანა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.10.08წ. განჩინებით ა. ა-შვილის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

საკასაციო პალატის 26.11.08წ. განჩინებით, საქართველოს მთავრობის 30.07.08წ. #161 დადგენილებისა და სსკ-ის 92.1 მუხლის საფუძველზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

საკასაციო პალატის სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და ითხოვა მისი დაკმაყოფილება. მოწინააღმდეგე მხარე - თ. და ქ. თ-შვილების და ქ. თბილისის მერიის წარმომადგენლებმა საკასაციო საჩივრის საფუძველები არ ცნეს და ითხოვეს სააპელაციო

სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება. მესამე პირმა - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს. შპს «ალგეთი» და ვაკე-საბურთალოს რ-ნის გამგეობის წარმომადგენლები საკასაციო პალატის სხდომაზე არ გამოცხადდნენ, სხდომის ჩატარების შესახებ მათი პროცესუალური კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფრთხილების მიუხედავად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

მართებულია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს სასარჩელო განცხადებით არ მოუთხოვია თბილისის მერიისათვის და ვაკე-საბურთალოს რ-ნის გამგეობისათვის ბინების შექმნის დავალდებულება თ. და ჟ. თ-შვილებისათვის, აგრეთვე, მათთვის გადასვლის ხარჯების ანაზღაურება. სსკ-ის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლო საქმეს იხილავს და გადაწყვეტილება გამოაქვს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მართებულად დაკმაყოფილდა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რ-ნის გამგეობის სააპელაციო საჩივარი და გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომლითაც ქ. თბილისის მერიას და ვაკე-საბურთალოს გამგეობას სოლიდარულად დაევალა თ. თ-შვილის და ჟ. თ-შვილის სასარგებლოდ ბინების შექმნა და გადასვლის ხარჯების ანაზღაურება. ამასთანავე, კასატორის წარმომადგენელმა საქმის განხილვისას დააზუსტა, რომ საკასაციო საჩივარი არ მოიცავს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ამ ნაწილს, რის გამოც სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების ეს ნაწილი ძალაში უნდა დარჩეს.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, ზაკ-ის 218.2 მუხლის თანახმად, სადავო აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა დაუშვებელია.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, «არ შეიძლება ამ კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ან დადასტურებული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება, თუ პირმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება ამ აქტის საფუძველზე, გარდა ამ კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» და «გ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა». ამავე კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 17.06.97წ. #12,23.681 დადგენილება და 25.09.97წ. #19.20.1141 დადგენილების 8.1 პუნქტი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის მიერ გაცემული #01-7437 და #0174-38 ორდერები, ადგილობრივი ორგანოს მიერ საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციის წარმომადგენელსა და მოპასუხეებს შორის გაფორმებული პრივატიზების ხელშეკრულება და მოპასუხეების სადავო ფართიდან გამოსახლება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 17.06.97წ. #12.23.681 დადგენილებისა და 25.09.97წ. #19.20.1141 დადგენილების 8.1 პუნქტის ბათილად ცნობას მოსარჩელე ითხოვდა იმ საფუძველზე, რომ მის საკუთრებაში მყოფი უძრავი ქონება განკარგა არაუფლებამოსილმა პირმა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტმა. მითითებული გარემოება ზაკ-ის 218.2 მუხლის შესაბამისად, აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძველია.

თავისი არსით დავა ეხება არა აქტის ბათილად ცნობას, არამედ არარად აღიარებას. მხედველობაში მისაღები ის გარემოება, რომ სარჩელის აღძვრის დროს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა აქტის არარად ცნობას. ვინაიდან სააპელაციო პალატის მიერ საქმის განხილვის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა აქტის არარად გამოცხადების შესაძლებლობას, საკასაციო პალატა თვლის, რომ ასკ-ის 28<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე, მოთხოვნის არსიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყო სარჩელის ტრანსფორმირება. ვინაიდან დავა ეხება სადავო აქტების არაუფლებამოსილი ორგანოების მიერ გამოცემას, შესაბამისად მოთხოვნა ემყარება ზაკ-ის მე-60 მუხლის «ბ» ქვეპუნქტს, რომელიც ზაკ-ის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსის თანახმად, არის 218-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობის გამომრიცხველი. ამდენად, დაუსაბუთებელია ზაკ-ის 218-ე მუხლზე მითითებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. ზაკ-ის 218-ე მუხლი ამავე კოდექსის მე-60 მუხლის «ბ» ქვეპუნქტს უთითებს, როგორც აქტის ბათილობის გამომრიცხველ გარემოებას, მაშინ, როდესაც აღნიშნული მუხლი სადღეისოდ ეხება აქტის არა ბათილობას, არამედ არარად გამოცხადების საფუძველს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა მიღებული (სსკ-ის 394-ე მუხ.), კერძოდ, სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მიერ არ იქნა დადგენილი განსახილველი დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება. სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლა რა სზაკ-ის 218-ე მუხლზე მითითებით, არ დაადგინა საქმის

გადასაწყვეტად საჭირო ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, გაურკვეველი დარჩა საკითხი იმის შესახებ, თუ ვის საკუთრებაში იმყოფებოდა სადავო ფართი, განიკარგა თუ არა მუნიციპალიტეტის მიერ ის ფართი, რომელზედაც შპს «ჯიმექსს» წარმოევა საკუთრების უფლება 05.03.96წ. ჩატარებული აუქციონის შედეგად. იმის გასარკვევად, იყო თუ არა მუნიციპალიტეტის კაბინეტი უფლებამოსილი განიკარგა ქონება, უნდა დადგინდეს განკარგვის მომენტში ქონების მესაკუთრე, ფართის კერძო საკუთრებაში ყოფნა. მართალია მოპასუხეებს არ დაუსვიათ პრივატიზების, ა. ა-შვილის მიერ ქონების შეძენის გაუქმების მოთხოვნა, მაგრამ მოსარჩელე ა. ა-შვილის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლების არსებობა თავისთავად გულისხმობს მის მიერ შეძენილი ფართის და შესაბამისად შპს «ჯიმექსის» მიერ პრივატიზებული ფართის თანაფარდობის, მათ შორის საზღვრების დადგენას. კასატორის მითითება იმ გარემოებაზე, რომ რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას ქ. თბილისის მერიის წარმომადგენელი აღიარებდა მერიის მიერ იმ ფართობის განკარგვას, რომელიც წარმოადგენდა შპს «ჯიმექსის» საკუთრებას, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური საწყისების გამო, არ გამორიცხავს ხსენებული საკითხების სასამართლოს მიერ გარკვევის საჭიროებას. საკასაციო პალატა თვლის, რომ დავის კანონიერი გადაჭრისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო ფართის შპს «ჯიმექსის» მიერ 19.04.96წ. ხელშეკრულებით შეძენის ფაქტის გარკვევას. სააპელაციო სასამართლომ მითითებული ფაქტობრივი გარემოების დადგენის მიზნით უნდა გამოიკვლიოს საქმის მასალებში დაცული მტკიცებულებები და ასევე გამოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებები. პრივატიზებულ ფართთან დაკავშირებით საქმის მასალებში დაცულია ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემები. საქმეში დაცული საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და შპს «ჯიმექსს» შორის 16.04.96წ. გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულების საგანს შეადგენს ... ქ. #3-ში განთავსებული მუნიციპალური საწარმო სურსათი #29-ის ქონება - საცხოვრებელი სახლის პირველი სართული - 370 კვ.მ. ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტის 19.04.96წ. გაცემული #23/340-ა საკუთრების მოწმობის თანახმად, შპს «ჯიმექსს» საკუთრებაში გადაეცა მუნიციპალური საწარმო «სურსათის #29» ძირითადი საშუალებები და არასაცხოვრებელი ფართი 370 კვ.მ., მდებარე ქ. თბილისში, საბურთალოს რ-ნში, ... ქ. #3-ში. არასაცხოვრებელი სადგომის (ნაგებობის) დაქირავების შესახებ 01.07.93წ. #119 საბინაო-საექსპლუატაციო უზნისა და კვებვაჭრობის მაღაზია «სურსათი #29» შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ხელშეკრულების საგანია ... #3-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართობი, ძირითადი ფართი - 220 კვ.მ, ხოლო სარდაფი - 150 კვ.მ., საიჯარო ქირის განაკვეთიც მითითებულია ცალ-ცალკე: ძირითად ფართსა და სარდაფზე. საყურადღებოა, რომ მითითებული ძირითადი ფართობისა და სარდაფის საერთო ჯამი 370 კვ.მ. შეადგენს. სსკ-ის 105.2 მუხლის მოთხოვნის დარღვევით სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა ხსენებული მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. ამდენად გარკვევას საჭიროებს საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე არსებული ფართის ოდენობა, შპს «ჯიმექსის» მიერ პრივატიზების შედეგად შეძენილი ფართის ადგილმდებარეობა, საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე შესყიდული ფართის ოდენობა, მისი ურთიერთკავშირი მოპასუხეებისათვის გამოყოფილ და ამჟამად მათ მიერ პრივატიზებულ ფართთან. პრივატიზებული ფართის ოდენობის და ფარგლების დადგენის, მისი ზუსტი იდენტიფიცირების მიზნით მიზანშეწონილი იქნებოდა პრივატიზებული ობიექტის საპრივატიზაციო საქმის გამოთხოვა, მასში არსებული საპრივატიზებო მასალების შესწავლა.

ის გარემოება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა ქ. თბილისის მერიის მიერ, არ ადასტურებს მერიის მიმართ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას. ამ მიმართებით საკასაციო საჩივარში მოყვანილი მოსაზრება არ არის დასაბუთებული, ვინაიდან გადაწყვეტილება გასაჩივრდა თ. თ-შვილის მიერ, რომელსაც გააჩნია აღმკურველი მუნიციპალიტეტის აქტების ძალაში ყოფნის ინტერესი.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში არ არის ჩაბმული სადავო სამართალურთიერთობის ყველა მონაწილე, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის ა. ა-შვილის ერთ-ერთ მოთხოვნას შეადგენს თ. და ქ. თ-შვილების გამოსახლება სადავო ფართიდან თანმხლებ პირებთან ერთად. მიუხედავად აღნიშნულისა, საქმეში მხარეებად ჩართული იქნენ მხოლოდ თ. და ქ. თ-შვილები, სასამართლოს მხარედ არ მოუწვევია სადავო ფართში მცხოვრები მათი ოჯახის წევრები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო ფართში მუდმივად მცხოვრებ თ. და ქ. თ-შვილების ოჯახის ყველა წევრს იურიდიული ინტერესი გააჩნიათ განსახილველი დავის მიმართ, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილება ზემოქმედებას მოახდენს მათ უფლება-მოვალეობებზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლო საქმეში უნდა ჩააბას თ. და ქ. თ-შვილების ოჯახის წევრები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ საჭიროა სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირება, საქმეში ყველა მხარის ჩართვა, დავის გადასაწყვეტად საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, რაც, სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს ქმნის.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

1. ა. ა-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.03.07წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმდა ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 25.09.03წ. გადაწყვეტილების 1,2,4 პუნქტები და მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ა. ა-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.03.07წ. გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

3. სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**5. ადმინისტრაციული წარმოება**

**ადმინისტრაციული აქტის გამოსაგემად ადმინისტრაციულ წარმოებისათვის დადგენილ მოთხოვნათა დარღვევა**

**განჩინება**

#ბს-855-817(კ-07) 29 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
მ. ვაჩაძე

**დავის საგანი** - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

გ. ბ-მემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხის - თავდაცვის სამინისტროს მიმართ, რომლითაც მოითხოვა გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელე - გ. ბ-მე თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 1 აპრილის #822 ბრძანებით, როგორც რიგითი, გაწვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში და დაინიშნა, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, თავდაცვის სამინისტროს მე-2 ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის III ბატარეის II საცეცხლე ოცეულის მძღოლად. 2005 წლის 2 სექტემბრამდე მოსარჩელე მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებდა პირნათლად და მას ხელმძღვანელობისგან რაიმე სიტყვიერი ან წერილობითი საყვედური არ მიუღია. 2005 წლის 2 სექტემბერს გ. ბ-მეს შრომის კანონთა კოდექსის 135<sup>1</sup> და 136-ე მუხლების უხეში დარღვევით გამოეცხადა სიტყვიერი საყვედური შევხულებიდან დაგვიანების გამო, ხოლო იმავე წლის 19 სექტემბერს გამოეცხადა სასტიკი საყვედური სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე ნასვამ მდგომარეობაში ყოფნისათვის, თუმცა მისი ნასვამობა სათანადო წესით არ დადგენილა. 2005 წლის 26 სექტემბერს, ისე, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი არ იყო და არც მისი დასწრება იქნა უზრუნველყოფილი, მე-2 ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის მუდმივმოქმედმა სამანდატო კომისიამ განიხილა გ. ბ-მის საკითხი, რის გამოც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ გ. ბ-მის მასალები წარედგინათ თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტისათვის მისი შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის შესახებ, რის შესაბამისად მიღებულ იქნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 1 ოქტომბრის #2660 ბრძანება.

სარჩელის ფაქტობრივი გარემოებები:

2005 წლის 18 დეკემბერს მოსარჩელეს საჩხერის რ-ნის ფოსტის მეშვეობით ჩაჰპარდა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ გაგზავნილი წერილი, რითაც მისთვის ცნობილი გახდა მისი თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობიდან ამორიცხვისა და ყველა სახის

კმაყოფის მოხსნის შესახებ თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 1 ოქტომბრის #2660 ბრძანების თანახმად. მოსარჩელისათვის ასევე ცნობილი გახდა, რომ თავდაცვის სამინისტრომ სარჩელით მიმართა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას გ. ბ-მის მიმართ და მოითხოვა კონტრაქტის დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურება.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 1 ოქტომბრის #2660 ბრძანება მიღებული იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13, 52-ე და 53-ე მუხლების უფლებდებლობით, რის გამოც იგი ექვემდებარებოდა ბათილად ცნობას, კერძოდ, მოსარჩელე გ. ბ-მეს არ მისცემია არათუ თავისი აზრის გამოთქმის, არამედ - დასწრების უფლებაც. პრეტენზიები, რომლებიც წარედგინა გ. ბ-მეს, არაობიექტური იყო. მას 5 თვის მანძილზე არავითარი საყვედური არ მიუღია და კომისიის პრეტენზიები აბსოლუტურად განსხვავდებოდა 2005 წლის 2 სექტემბერსა და 19 სექტემბერს დადებული დისციპლინური სასჯელებისაგან. ამასთან, მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სადავო ბრძანების გამოცემისას არსებითად დაირღვა მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი წესი, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენდა. მითითებული, ბრძანება არ პასუხობდა ზაკ-ის 52.2.3. და 53-ე მუხლების მოთხოვნებს. მასში მითითებული გ. ბ-მის დათხოვნის საფუძველი მომდევნო რიცხვითაა დათარიღებული, ვიდრე - თვით ბრძანება. ასევე, მოსარჩელეს არ ჰქონდა გაშვებული სსკ-ის 204-ე მუხლის თანახმად, ბრძანების გასაჩივრების ვადა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით გ. ბ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; აგრეთვე, ახალი აქტის გამოცემამდე მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

მოსარჩელე გ. ბ-მე თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 1 აპრილის #822 ბრძანებით, როგორც რიგითი, გაწვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში და დაინიშნა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, თავდაცვის სამინისტროს მე-2 ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის III ბატარეის II საცეცხლე ოცეულის მძღოლად. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 1 ოქტომბრის #2660 ბრძანების საფუძველზე, გ. ბ-მე დათხოვნილ იქნა სამსახურიდან «სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-2 თავის 21.2. მუხლის «თ» ქვეპუნქტის - კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის «დ» ქვეპუნქტი და განმარტა, რომ მითითებული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება, მუშაკის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა შემოწმებულიყო ამ აქტის შესაბამისობა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონით და შრომის კანონთა კოდექსით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. ზემოაღნიშნული კოდექსის 5.1. მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს, კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ამავე კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას და ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ, არ იყო დასაბუთებული ის გარემოებები, ოთუ კონკრეტულად, რამ განაპირობა მის მიმართ აღნიშნული პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების მიზანშეწონილობა და ამასთან, გათავისუფლების საფუძველად მითითებული «სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-2 თავის 21.2. «თ» მუხლი - კონტრაქტის პირობების დარღვევა, კერძოდ, კონტრაქტის რა პირობა იქნა დარღვეული. მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.1.4. ქვეპუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი იყო სამხედრო მოსამსახურის მიერ, სისტემატურად ან ბრალეულად ხელშეკრულებით ნაკისრი ან შესაბამისი სამხედრო თუ საბრძოლო წესდებებით დადგენილი ვალდებულებების დარღვევა, ხოლო მითითებული 9.1. პუნქტის თანახმად კი შესაძლებელი იყო მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე წინასწარი, ერთი თვით ადრე, გაცემული წერილობითი შეტყობინების მეშვეობით. მოპასუხის მიერ კი ასეთის დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოში წარდგენილი არ ყოფილა.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის მითითება სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე და განმარტა, რომ «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 127.2<sup>1</sup> მუხლის თანახმად, სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული აქტების გასაჩივრების ვადა აითვლება კანონმდებლობით დადგენილი წესით

აქტის გაცნობიდან. კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხე მხარის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მოსარჩელისათვის აქტის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

აპელანტის განმარტებით, მოსარჩელე გ. ბ-მე იყო სამხედრო მოსამსახურე და მას ევალეზობდა განსაკუთრებული პასუხისმგებლობით სამხედრო დისციპლინის დაცვა. 2006 წლის 5 იანვარს მან მიმართა სასამართლოს და მოითხოვა თავდაცვის მინისტრის ბრძანების ბათილად ცნობა და იმავე სამხედრო ნაწილში აღდგენა მაშინ, როცა მას მიტოვებული ჰქონდა სამსახური და 2005 წლის 19 სექტემბრიდან ფაქტობრივად სამხედრო ნაწილში აღარ ირიცხებოდა. ადმინისტრაციას არ შეუზღუდია მხარე, საკუთარი მოსაზრება წარედგინა სამანდატო კომისიის სხდომაზე ან მის შემდეგ. მისთვის არავის აუკრძალავს, მიემართა ზემდგომი სამსახურისათვის საჭიროების შემთხვევაში, თუკი მას ნამდვილად სურდა სამხედრო სამსახურის გაგრძელება. მოსარჩელეს სამსახურში აღდგენა არ მოუთხოვია თვეების განმავლობაში და მხოლოდ მაშინ მიმართა სასამართლოს, როცა თავდაცვის სამინისტრომ კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, მისგან თანხის ანაზღაურება მოითხოვა.

საქალაქო სასამართლომ არ გაითვალისწინა სამხედრო სამსახურის დანიშნულება, რომელიც წარმოდგენდა სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და სამხედრო მოსამსახურის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა ხდებოდა «სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 21-ე მუხლის თანახმად, რაც კონკრეტულ შემთხვევაში განხორციელდა. მოსარჩელეს კანონით დადგენილ ვადაში არ გაუსაჩივრებია სადავო ბრძანების საფუძველი, უპასუხისმგებლოდ მიატოვა სამხედრო სამსახური, რაც მოქმედი კანონდებლობით დასჯადი იყო და მხოლოდ მაშინ მოისურვა სამსახურში დაბრუნება, როდესაც ჩათვალა მისთვის საჭიროდ და აუცილებელ სასარჩელო არგუმენტად. ასევე, მოსარჩელის მიერ უგულბელყოფილ იქნა სამხედრო სამსახურის განსაკუთრებული სპეციფიკა და დისციპლინის მოთხოვნები.

სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ბ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება გ. ბ-მის გათავისუფლების ნაწილში და მოპასუხეს დაევალა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გამოცემა; ამასთან, მოპასუხეს დაევალა მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ახალი აქტის გამოცემამდე, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

პირველი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრებული საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 1 ოქტომბრის #2660 ბრძანებას არ შეიძლება დაერღვია მოსარჩელის უფლებები და ინტერესები, ვინაიდან მხარეთა მიერ დადასტურდა და სასამართლოს მიერ გამოთხოვილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ მითითებული ბრძანებით არ მომხდარა მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნა. სასამართლოში წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 ოქტომბრის #2730 ბრძანებით მოსარჩელე დათხოვილ იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იმსჯელა მითითებული ბრძანების კანონიერებასა და დასაბუთებულობის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქალაქო სასამართლომ არსებითად სწორად იმსჯელა დაყენებულ მოთხოვნაზე, თუმცა მხარეთა მიერ სადავო ბრძანება შეცდომით იქნა წარდგენილი. ასევე, არსებითად სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი და განმარტა, რომ მითითებული ნორმის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აუნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითებოდა ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის საფუძველზე მიიჩნია, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. ამდენად, არსებობდა ასკ-ის 32.4. მუხლით დადგენილი გარემოება და გასაჩივრებული აქტის გაუქმებით, სადავო საკითხის არსებითი გადაწყვეტის გარეშე, ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საქმის გარემოებების გამოკვლევა, სათანადო შესწავლა და შესაბამისი გადაწყვეტილების - ახალი აქტის გამოცემა.



სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

**კასაციის მოტივი:**

სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის 21.2. მუხლი, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 99.2. მუხლი. სააპელაციო სასამართლომ არ დაასაბუთა მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა, განეკუთვნებოდა თუ არა სამხედრო საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებას და შესაბამისად, რამდენად მიზანშეწონილი იყო ამგვარი დავის განხილვისას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გამოყენება.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეიძლება არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, კერძოდ, მოსარჩელემ 2005 წლის 31 მარტს თავდაცვის სამინისტროსთან გააფორმა ხელშეკრულება (კონტრაქტი) 4 წლის ვადით, რითაც ჩაირიცხა შეიარაღებულ ძალებში და იკისრა ვალდებულება, დაეცვა სამხედრო კანონმდებლობით და კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები. საქმეში არსებული გ. ბ-ძის უშუალო მეთაურების პატაკებით და ახსნა-განმარტებებით დადგენილია, რომ მოსარჩელის მხრიდან ხშირად ხდებოდა დისციპლინის დარღვევები, რისთვისაც მას მიღებული აქვს არაერთი გაფრთხილება და საყვედური. 2005 წლის სექტემბერში გ. ბ-მე გაეცნო გასაუბრების ფურცელს, სადაც ასახულია ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, მისი შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ. დადგენილია, რომ გ. ბ-მე სამსახურიდან დათხოვილი იქნა 2005 წლის 19 ოქტომბრის #2730 ბრძანებით. ასევე, დადგენილია, რომ მოსარჩელეს ეცნობა თავდაცვის მინისტრის ბრძანების შინაარსი. მოსარჩელემ შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნა სადავოდ გახადა 2006 წლის იანვარში, როცა მისთვის ცნობილი გახდა, რომ თავდაცვის სამინისტრომ კონტრაქტის დარღვევისთვის მის მიმართ თანხის ანაზღაურების თაობაზე სარჩელით მიმართა სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინებით თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. მუხლის «გ» პუნქტის საფუძველზე მიჩნეულ იქნა დასაშვებად /პროცესუალური კასაცია/.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთების შემოწმებისა და საქმის სასამართლოს სხდომაზე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატის 2007 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის განხილვისა და გადაწყვეტისას დარღვეული არ ყოფილა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას არ დაურღვევია სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორი შეფასება მისცა საქმის მასალებს და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად მოქმედი კანონის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2. მუხლის საფუძველზე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ თავდაცვის მინისტრის 2005 წლის 19 ოქტომბრის #2730 ბრძანებით მოსარჩელე გ. ბ-მე დათხოვილი იქნა შეიარაღებული ძალების რიგებიდან «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის «თ» ქვეპუნქტის - კონტრაქტის პირობების დარღვევის საფუძველზე. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.1.4. ქვეპუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი იყო სამხედრო მოსამსახურის მიერ, სისტემატურად ან ბრალეულად ხელშეკრულებით ნაკისრი ან შესაბამისი სამხედრო თუ საბრძოლო წესდებებით დადგენილი ვალდებულებების დარღვევა, ხოლო მითითებული 9.1. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელი იყო მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე წინასწარი, ერთი თვით ადრე გაცემული წერილობითი შეტყობინების მეშვეობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია, შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წანამდგერები, რომელთა საფუძველზეც გამოიგა იგი, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი - უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ბრძანება გამოცემულია საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების დროს საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ იქნა მოკვლეული ჯეროვნად, შესაბამისად გ. ბ-ძის საქმესთან დაკავშირებით სამსახურებრივი მოკვლევა ჩატარდა არასრულყოფილად, რამდენადაც სადავო აქტში არ არის დასაბუთებული, კონკრეტულად რამ განაპირობა მოსარჩელის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით სამსახურიდან გათავისუფლების ზომის გამოყენება, კერძოდ, კონტრაქტის რომელი პირობა იქნა დარღვეული მოსარჩელის მიერ, ამასთან რა ვალდებულება არ იქნა შეუსრულებელი ან არაჯეროვნად შესრულებული მოსარჩელის მიერ. მეტიც, საქმეში არსებული ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის მუდმივმოქმედი სამანდატო კოისიის 2005 წლის 20 სექტემბრის სხდომის ოქმის თანახმად, კომისიამ ისე იმსჯელა გ. ბ-ძის საკითხთან დაკავსრებით, რომ ამ უკანასკნელს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობა არ მიუღია, შესაბამისად არ მიეცა საშუალება ესარგებლა კანონით მისთვის მინიჭებული გარანტიით - თავი დაეცვა მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ბრძანება გამოცემულია საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების დროს საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ იქნა მოკვლეული ჯეროვნად, შესაბამისად, სამსახურებრივი მოკვლევა ჩატარდა არასრულყოფილად, გაურკვეველია, იქნა თუ არა მოკვლეული საქმის მასალები და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები გ. ბ-ძის საქმიანობასთან დაკავშირებით, ასრულებდა თუ არა ეს უკანასკნელი სამსახურებრივ მოვალეობას კეთილსინდისიერად, როგორც ხასიათდებოდა სამსახურში და ა.შ.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup>.1. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, ხოლო ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევით, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ბრძანებაში არ არის მითითებული მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების კონკრეტული გარემოებები, ფაქტები, რომელთა შეფასებისა და გამოკვლევის საფუძველზეც მოხდა ბრძანების გამოცემა, რაც წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ არსებით დარღვევას, რაც გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველია, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. აქტში არ არის ასახული, თუ კონკრეტულად, ხელშეკრულების რომელი პუნქტი იქნა დარღვეული მოსარჩელის მიერ, არღვევდა თუ არა ეს უკანასკნელი სისტემატურად ან ბრალეულად ხელშეკრულებით ნაკისრ ან შესაბამისი სამხედრო თუ საზრდოლო წესდებით დადგენილ ვალდებულებას, სრულყოფილად არ არის დადგენილი ფაქტები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რის გამოც არსებითად არის დარღვეული ადმინისტრაციული აქტის მიღების, მომზადებისა და გამოცემის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1. მუხლის თანახმად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთმეჯერების საფუძველზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული. კონკრეტულ შემთხვევაში, კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნები უგულვებელყოფილ იქნა სადავო ბრძანების გამოცემისას, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, შეეფასებინა და ემსჯელა, არსებობდა თუ არა რეალურად, მოსარჩელისათვის ვადამდე ადრე კონტრაქტის შეწყვეტის საფუძველი და კონკრეტულად, კონტრაქტის რომელი პუნქტის საფუძველზე შეუწყდა მას კონტრაქტი ადმინისტრაციულ ორგანოსთან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აქტის გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილია პროცედურის დაცვა, რამდენადაც მიუკერძოებლად, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის

დასაბუთებულობა-კანონიერების ხარისხი გაცილებით მაღალია, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წარმოების პროცედურის დაცვა განსაზღვრულ მნიშვნელობას ანიჭებს თვით აქტის კანონიერებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზეა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, კერძოდ, მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, მათ შორის, გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი ისე, რომ არ შეაჯეროს და არ შეაფასოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებანი, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა, რაც მოცემულ შემთხვევაში მოხდა, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება, გამოკვლეულ იქნა თუ არა თავდაცვის სამინისტროს მიერ საქმის მასალები სრულყოფილად. ამასთან, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მათეზულად გამოიყენა მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლი, რამდენადაც სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე.

რაც შეეხება იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნას, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნულ ნაწილშიც მოთხოვნა საფუძვლიანია და სწორად იქნა დაკმაყოფილებული სააპელაციო სასამართლოს მიერ, რამდენადაც «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო მოხელეს ხელფასი ეძლევა სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, განსაზღვრულია საჯარო მოხელისათვის ხელფასის გაცემის პერიოდი, რაც მოიცავს დროს სამსახურში მიღებიდან გათავისუფლებამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშეუსაბამობის თაობაზე, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძველები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თავდაცვის სამინისტროს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.2. მუხლის საფუძველზე, სასამართლო ხარჯების სახით უნდა დაეკისროს 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 390-ე, 411-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების წესი

### განჩინება

№ბს-36-36-(კ-08)

11 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 2 თებერვალს თ. მ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 12 ივლისის #141 ბრძანებით, ... ქუჩის #2 კორპუსის მცხოვრებლებს საერთო წილად საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, რომელიც რეგისტრირებულია ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში და შესაბამისად, გაცემულია საკადასტრო რუკა.

2006 წლის 18 დეკემბერს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს, რომლითაც მოითხოვა სამოქალაქო კოდექსის 208-ე და 212-ე მუხლების შესაბამისად, ამხანაგობა «მომავლის იმედის» 2006 წლის 22 თებერვლის კრების გადაწყვეტილების საფუძველზე მოეხდინა მისთვის და ამხანაგობის წევრ მინასიანისათვის წილობრივ საკუთრებაში გადაცემული 23 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით რეგისტრაცია: თ. მ-მისთვის - 12 კვ.მ, ზომით - 4X3; მინასიანისთვის - 11 კვ.მ, ზომით - 4X2,7.

სარეგისტრაციო სამსახურის მიერ თ. მ-მეს უარი ეთქვა საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე, რაც სზაკ-ის 177-ე მუხლის მოთხოვნათა საფუძველზე გაასაჩივრა იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

მოსარჩელის განმარტებით, მას აუკრძალეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღება, რის გამოც მის მიმართ დარღვეულ იქნა სზაკ-ის 75-ე მუხლით გათვალისწინებული, საჩივრის განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლება. მოპასუხის მიერ დარღვეულ იქნა სზაკ-ის 85-ე მუხლიც, რომლის შესაბამისადაც, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, განემარტა მისთვის უფლებები და მოვალეობები, გაეცნო საჩივრის განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა. სზაკ-ის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ასევე ვალდებულია, აცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ, ხოლო ამავე კოდექსის 99-ე მუხლის შესაბამისად - გააცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალები. მოპასუხე ორგანიზაციის მიერ დაირღვა გასაჩივრებული აქტის მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი წესიც.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2007 წლის 30 იანვრის #01/11-396/2/მ გადაწყვეტილების ბათილად ცნობასა და ზიანის ანაზღაურებას.

მოპასუხე - იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ სასარჩელო განცხადება არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით თ. მ-მის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2007 წლის 30 იანვრის #01/11-396/2/მ გადაწყვეტილება და იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და ფაქტების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შევსლიდან ერთი თვის ვადაში.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ გასაჩივრებული აქტი არ ეწინააღმდეგებოდა კანონს, მოსარჩელის კანონიერ უფლებას და ინტერესს არ აყენებდა პირდაპირ და უშუალო ზიანს და არ ზღუდავდა მის უფლებას. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია, თუ რამდენად არსებობდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისთვის მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი, აგრეთვე არ დაეთანხმა სასამართლოს შეფასებას იმის თაობაზე, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას არ იყო შესწავლილი საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 27 ნოემბრის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ თავისი გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიიღო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავის მოთხოვნათა დაუცველად, ანუ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების გარეშე. ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარისათვის არ მიუცია საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა, ასევე, არ უცნობებია წერილობით დაინტერესებული მხარისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ და ადმინისტრაციული წარმოებისას არ უხელმძღვანელია ზემოხსენებული კოდექსის 185-ე მუხლით, რომელიც შეიცავს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დებულებების გამოყენების წესს.

სზაკ-ის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს, განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა.

სააპელაციო პალატის განმარტებით კი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სადავო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოების გარეშე, რითაც მოსარჩელეს წაერთვა დამატებითი დოკუმენტების, საკუთარი აზრის წარმოდგენის შესაძლებლობა და ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება, რაც საჩივრის განმხილველ ადმინისტრაციულ ორგანოს მისცემდა კანონიერი გადაწყვეტილების მიღების, ხოლო საჩივრის ავტორს - საკუთარი უფლებების დაცვისა და რეალიზაციის შესაძლებლობას. აღნიშნულით დაირღვა სზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, დაირღვა სზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილიც, ვინაიდან, თუკი ადმინისტრაციული ორგანო მისცემდა თ. მ-მეს დოკუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, შესაძლებელი იყო, მოცემულ საკითხზე ადმინისტრაციულ ორგანოს მიეღო სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მართებულად იქნა გამოყენებული სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმადაც, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ საერთო კრების ოქმი, რომლის მიხედვითაც თ. მ-მეს საკუთრებაში უნდა გადასცემოდა მიწის ნაკვეთი, არ უნდა იქნეს მიჩნეული იურიდიული ძალის მქონედ, რადგან იგი ნოტარიულად დაუმოწმებულა, რაც, სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მიხედვით, რეგისტრაციისათვის მიმართვის დროს, სავალდებულო იყო.

ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 220-ე მუხლის შესაბამისად, საერთო საკუთრების მართვა ეკისრებათ ბინის მესაკუთრეებს ერთობლივად, ხოლო იმ კრების ოქმით, რომლის შედგენაში მონაწილეობდა ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის მხოლოდ 8 წევრი, თ. მ-მეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ ექნებოდა კანონიერი უფლება იმ უძრავი ნივთიდან წილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რომელიც საერთო საკუთრებას წარმოადგენს, ეს მიწის ნაკვეთი ამხანაგობის წევრებს ერთმანეთში არ გაუნაწილებიათ და, შესაბამისად, არც თ. მ-მისთვის არ გადაუციათ საკუთრებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის განმარტებით, მოსარჩელე - თ. მ-მის განცხადების ხელმოწერად განხილვის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული ვერ იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება, რადგან მას არ მოუპოვებია მიწის ნაკვეთზე საკუთრების რეგისტრაციის უფლება.

კასატორი მიიჩნევდა, რომ მის მიერ არ დარღვეულა სზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლი, რადგან სადავო აქტი გამოცემული იყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით სზაკ-ის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მათ მიერ შესწავლილ იქნა საფუძვლიანად როგორც თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში არსებული სარეგისტრაციო წარმოების მასალები, აგრეთვე თ. მ-მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რაზეც შემდგომში დაეყრდნო სადავო აქტის გამოცემისას.

დაინტერესებული მხარის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობა სავალდებულო არ იყო, რადგან სზაკ-ის 75-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების რეალიზაციის უზრუნველყოფის ვალ-

დებულება ადმინისტრაციულ ორგანოს იმ შემთხვევაში აქვს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს დაინტერესებული პირის სამართლებრივი მდგომარეობა, მოცემულ შემთხვევაში კი, კასატორის მოსაზრებით, თ. მ-მის სამართლებრივი მდგომარეობა არ გაუარესებულა, რის გამოც მას არ წარმოშობია ვალდებულება, ეცნობებინა დაინტერესებული მხარისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო ერთმანეთისაგან გამიჯნავს განცხადებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებასა და ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებას, რა მიზნითაც კასატორის ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებებზე: უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის მოთხოვნით პირის განცხადებასთან დაკავშირებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამსახურები ვალდებული არიან, ჩაატარონ მარტივი ადმინისტრაციული წარმოება, რა დროსაც დაცული უნდა იყოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის მოთხოვნები. ამ ტიპის ადმინისტრაციული წარმოებისას კანონმდებელი არ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული პირის სავალდებულო ჩაბმას, ანუ განმცხადებლის სავალდებულო მოწვევას. შესაბამისად, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დასაშვებია ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გადაწყვეტილების მიღება განმცხადებლის დაუსწრებლად, არსებულ და წარდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის I ნაწილი ხაზგასმას აკეთებს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებაზე და არა ვალდებულებაზე, ჩაბმას დაინტერესებული მხარე. რაც შეეხება ამავე მუხლის მე-2 ნაწილს, აღნიშნულში უკვე საუბარია ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებაზე, აცნობოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ დაინტერესებულ მხარეს და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, სავალდებულო პირობად კანონმდებლის მიერ მიჩნეულია ის ვითარება, როდესაც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს პირის სამართლებრივი მდგომარეობა.

მითითებულ ნორმებზე დაყრდნობით საკასაციო სასამართლო ცალსახად ადასტურებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის უფლებას, თ. მ-მის განცხადება განეხილა და გადაწყვეტილება მიეღო ამ უკანასკნელის მოწვევისა და მონაწილეობის გარეშე, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი პირობა, კერძოდ, ამ შემთხვევაში არ უარესდება თ. მ-მის სამართლებრივი მდგომარეობა, ვინაიდან, დაუშვებელია საუბარი იმ უფლების გაუარესებაზე, რომელიც ჯერ არ წარმოშობილა.

ამ თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო გარკვეულწილად იზიარებს კასატორის არგუმენტაციას, მაგრამ აქვე კასატორის ყურადღებას მიაქცევს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციაზე და ხაზგასმას აკეთებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად იქცა არა თ. მ-მის განცხადებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების წესების დარღვევა, არამედ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 თავის მოთხოვნათა შეუსრულებლობა, რომელიც, თავის მხრივ, არეგულირებს ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისა წესსა და პროცედურებს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მარტივი ადმინისტრაციული წარმოებისაგან განსხვავებით, პირის საჩივართან დაკავშირებით, კანონმდებლობის მხრიდან შემოტანილია დაცვის უფრო მაღალი ხარისხი, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარმოდგენის შესაძლებლობა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ წერილობით აცნობოს ყველა იმ პირს, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში და უზრუნველყოს მათი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. უფრო მეტიც, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლში ამომწურავადაა მითითებული ის შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საჩივარი ზეპირი მოსმენის გარეშე. ამასთან, ზეპირი მოსმენის გამართვაზე უარის თქმის საფუძველი მითითებული უნდა იყოს ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს რა ზემოაღნიშნული მუხლების მოთხოვნებს, განმარტავს, რომ მითითებულ მუხლებში დეკლარირებული ნორმები მიეკუთვნება ადმინისტრაციული

სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპებს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს იმ პირის უფლებათა მაქსიმალური დაცვა, რომელთა ინტერესებიც შესაძლოა შეილახა ადმინისტრაციული წარმოების პროცესში. სწორედ ამიტაა განპირობებული ის გარემოება, რომ აღნიშნული მუხლის ნორმები ატარებს იმპერატიულ ხასიათს და არ არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოს შეხედულობაზე.

უდავოა და აღნიშნულს არ უარყოფს თავად კასატორიც, რომ მისი მხრიდან საჩივრის განხილვა არ მომხდარა მითითებული ნორმების მოთხოვნათა დაცვით, რაც, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ქმნის გასაჩივრებული აქტის ფორმალური საფუძვლით გაუქმების საკმარის მოტივს.

აქვე საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს მიუთითოს იმ გარემოებაზე, რომ არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას აქტის მატერიალური სამართლის ნორმებთან შეუსაბამობის თაობაზე და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, ამ თვალსაზრისით, კანონი არასწორად გამოიყენა და მცარად განმარტებას, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ აპელანტს ფაქტობრივად მართებულად ეთქვა უარი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, ხოლო გასაჩივრებული აქტი ბათილადაა ცნობილი სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, საკასაციო სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს იმსჯელოს აქტის მატერიალური სამართლის ნორმებთან შესაბამისობაზე და თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება ძალაში უნდა იქნეს დატოვებული, როგორც არსებითად სწორი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I მუხლის II ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 27 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.